http://www.tsu.ge/newspaper



# თბილისის უნივერსიტეტი

15 იანვარი
ორშაბათი
N8 (2053)
2007 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი  გამოდის 1927 წლიდან  ფასი 30 თეთრი

# დღემდე გვიწევს უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფა

## ინტერვიუ რექტორთან გიორგი ხუბუასთან

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რიგით 25-ე რექტორი ჰყავს. აკადემიური საბჭოს 12-ვე წევრმა ამ თანამდებობაზე, ოთხი წლით, გიორგი ხუბუას კანდიდატურას დაუჭირა მხარი.*

ნინო კაკულია



**— აკადემიური საბჭოს წევრების გამოკითხვის თანახმად, მათ, თქვენი არჩევით მხარი დაუჭირეს თქვენს მიერ წარმოდგენილ სამოქმედო პროგრამასა და თქვენს პრინციპულობას, რის შეცვლას აპირებთ და რა არის თქვენი სამოქმედო გეგმა?**

— ჩემი სამოქმედო გეგმის ამოსავალი პუნქტია ის, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტში განხორციელდეს ფრაგმენტული ცვლილებები. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ცვლილებები უნდა იყოს სისტემური და მან უნდა მოიცვას საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა მხარე — იქნება ეს სასწავლო პროცესი, სამეცნიერო კვლევა, უნივერსიტეტის მართვა, სტუდენტური ცხოვრება, სტუდენტთან ურთიერთობა და ა.შ. — სამოქმედო გეგმა სწორედ ამ ფილოსოფიას ეყრდნობა. ცვლილებები, რომელიც დაგეგმილი გვაქვს, უნდა განხორციელდეს სინქრონულად, რა თქმა უნდა, იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რა პრიორიტეტებსაც განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. ჩვენ ვამბობთ, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა და მან კვლავაც უნდა შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალური პროფილი — რაც მას, როგორც პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს, სხვა უმაღლესი სასწავლებლისგან გამოარჩევდა. უნივერსიტეტმა საზოგადოების, სახელმწიფოს და რეგიონის მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა შეინარჩუნოს სპეციალობათა ფართო სპექტრი.

**— როგორ ხორციელდება რეფორმა უნივერსიტეტში. რა პრობლემები გამოიკვეთა პირველ სემესტრში სწავლისა და სწავლების კუთხით?**

— მთავარი პრობლემა დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვასთან, რაც არსებითად პირველ სემესტრში გამოიკვეთა. უნდა ვაღიაროთ, რომ სერიოზული ხარვეზი გვქონდა სასწავლო ცხრილების დროულად მომზადების კუთხით, ცხრილის შესაბამისად ლექციების ჩატარებისა და, განსაკუთრებით, ლექციების გაცდენის თვალსაზრისით. წარმოუდგენელია, უნივერსიტეტში სერიოზული მსჯელობის თემა იყოს დისციპლინაზე საუბარი და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში, ამ პრობლემის წინ წამოწევა აღარ დაგვჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას არ მოვერიდებით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ფაკულტეტის ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის კონტროლის საკითხს მომავალში უფრო ყურადღებით მოეკიდება. არანაკლებ პრობლემურია სწავლების ხარისხის ამაღლება. ცხადია, ვამაყობთ ჩვენი ტრადიციებით და სწავლების იმ დონით, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან გამოარჩევს, მაგრამ ჩვენ არ შეიძლება გვქონდეს თვითკმაყოფილების განცდა. მომავალში ჩვენ მთლიანად ვიქნებით სწავლების დონის ამაღლებაზე ორიენტირებულნი.

**— ზოგიერთი პროფესორი აღნიშნავს, რომ ბაკალავრიატი სტუდენტს სათანადოდ ვერ ამზადებს. ასევე, საუბრობენ, რომ სტუდენტები სპეციალობებს ვერ ირჩევენ და მხოლოდ კრედიტების დასაგროვებლად სწავლობენ საგნებს. როგორ მოგვარდება ეს პრობლემა?**

— ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სისტემა არის ყველაზე უფრო ოპტიმალური და მისაღები ფორმა იმ თვალსაზრისით, რომ იგი იძლევა სტუდენტის უნარის, მისი შესაძლებლობებისადმი დიფერენცირებულად მიდგომის შესაძლებლობას. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მთავარი იდეა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სასწავლო პროცესში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სტუდენტის უნარი. ჩვენ ტყუილუბრალოდ დრო არ უნდა დავაკარგვინოთ იმ სტუდენტს, ვისაც მაგისტრატურაში სწავლის დიდი სურვილი, უნარი და შესაძლებლობა არ გააჩნია. ბაკალავრიატი, რომელიც დღეისათვის ოთხ წელზეა გათვლილი, როგორც კრედიტების მოცულობით, ასევე, სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტისა და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადების საშუალებას იძლევა. მართალია, სტუდენტთა თავისუფლება გაიზარდა, მაგრამ, ამავე დროს, გაიზარდა მათი პასუხისმგებლობაც, რამეთუ ისინი ინდივიდუალურად გეგმავენ სასწავლო ცხრილსა და, გარკვეულწილად, პროგრამასაც. ცხადია, საწყის ეტაპზე სირთულე მოსალოდნელი იყო. ამიტომ მათ დასაძლევად ფაკულტეტებზე ჩამოყალიბებულია ტუტორების ინსტიტუტი. მომავალში ჩვენ ვგეგმავთ საკონსულტაციო სამსახურების შექმნასაც, რომლებიც სტუდენტებს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად დაგეგმვაში დაეხმარებიან. ამიტომ პრობლემა, ვფიქრობ, უფრო ამ კონსულტაციების ინტენსივობასა და ხარისხშია, ვიდრე იმაში, რომ თითქოს სტუდენტები კრედიტების ძიებით ბაკალავრიატის სისტემის გამო არიან დაკავებულნი. ამას ნამდვილად ვერ დავეთანხმები. პრობლემა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, მომავალში, აუცილებლად უნდა ავამაღლოთ სტუდენტთა კონსულტაციისა და მომსახურების დონე, რათა დავეხმაროთ სას-

მე-3 გვერდზე

ანონსი

**რექტორის სამოქმედო პროგრამა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები

ÌÄ-7-8 ÂÅ.

**ბიზნესი და ეთიკა ჩვენთან ჯერ კიდევ არ დამეგობრებულან**

ინტერვიუ წიგნის – „ბიზნესის ეთიკის" ავტორთან მზია ქირთბაიასთან

ÌÄ-11 ÂÅ.

**საქართველოში რომ არ გყავდეს ასეთი კაცი, უნდა გამოიგონო...**

სტუდენტებმა გოდერძი ჩოხელს უნივერსიტეტში შემოქმედებითი საღამო მოუწყვეს

ÌÄ-13 ÂÅ.

## აკადემიური საბჭოს არჩევანი: სამოქმედო პროგრამა+პრინციპულობა, დემოკრატიული ბუნება და პატიოსნება

ნინო კაკულია

პროფესიონალიზმის და არა მხოლოდ პოპულარობის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება ჩვენს საარჩევნო კულტურაში იშვიათია. დიდ პოლიტიკაში ხშირად ჩვენ ხმას ვაძლევთ არა საარჩევნო პროგრამას, არამედ ლიდერს, რომელსაც საზოგადოება ზოგჯერ უნებურად აიტაცებს ხოლმე და პირველ კაცად აქცევს. თავსმოხვეული არჩევანი საკუთარი პრინციპებისადმი რწმენას გვირყევს და მუდამ მომავლისთვის ვდებთ ჩვენი, როგორც მოქალაქის პასუხისმგებლობის შეფასების საკითხს.

მე-2 გვერდზე

## ომს ხარისხიანი გენერლები იგებენ

ინტერვიუ პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარესთან ნოდარ გრიგალაშვილთან

ნინო კაკულია



**_ უნივერსიტეტმა რექტორი აირჩია. დამთავრდება თუ არა იმაზე საუბარი, რომ უნივერსიტეტს ავტონომიასართმევენ?**

_ საუბარი იმაზე, რომ უნივერსიტეტს სახელმწიფომ წაართვა ავტონომია, სიმართლეს არ შეესაბამება.

მე-5 გვერდზე

## ევროკავშირისთვის უკრაინასა და თურქეთზე წინ ვართ

ინტერვიუ პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან

მაია ტორაძე

ევროკავშირმა ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანებით დაასრულა გაფართოების მორიგი ეტაპი და ახლო მომავალში ცვლილებებს აღარ გეგმავს. მიუხედავად ამისა, მიერთების კანდიდატი და სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესში მყოფი ქვეყნები აგრძელებენ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის სათანადო წინაპირობის მზადებას.

ამ პროცესში გამოკვეთილი ადგილი უჭირავს საქართველოს, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ქვეყანა ჯერ მზად არ არის.

მე-6 გვერდზე

## ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნება

ინტერვიუ ეკონომისტ ემზარ ჯგერენაიასთან

მარიამ ბეთლემიძე

ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ უცხოელ ინვესტორებთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საბოლოო შედეგები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა აქტიური დებატები ამ თემაზე უკვე შედგა.



მე-9 გვერდზე

## ზღვარი ჟურნალისტიკასა და PR-ს შორის სახიფათოდ ქრება

რას წერს ჟურნალი "Bild der Wissenschaft"

ანა კირვალიძე

ყოველდღიურ გაზეთებში რედაქტორები სტატიებს სულ უფრო ნაკლებად წერენ. პრესაში მზა სტატიების გადმობეჭდვა უკვე გავრცელებული პრაქტიკაა. ამასობაში კი ზღვარი ჟურნალისტიკასა და PR-ს შორის სახიფათოდ ქრება — ამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას გერმანული ჟურნალი "Bild der Wissenschaft". ვფიქრობთ, საქართველოშიც არსებობს მსგავსი საფრთხე და, ამდენად, გასათვალისწინებელია ის ღონისძიებები, რაზეც უცხოელი ექსპერტები საუბრობენ.

მე-10 გვერდზე

# აკადემიური საბჭოს არჩევანი: სამოქმედო პროგრამა+ პრინციპულობა, დემოკრატიული ბუნება და პატიოსნება

პირველი გვერდიდან

რატომ არ ვიწყებთ ანალიზს — ვის ვაძლევთ ხმას? რას მოვითხოვთ მისგან და რა გვევალება ჩვენ? — პოლიტიკაში ამ კითხვებზე პასუხები მოსაძებნია, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1919 წლის შემდეგ პირველად აკადემიურმა საბჭომ უნივერსიტეტის რექტორი აირჩია, ხმა მისცეს პროფესიონალურ სამოქმედო პროგრამას, რომელიც გიორგი ხუბუამ წარმოადგინა. რექტორის მოვალეობის შესრულებისას მასთან საქმიანმა ურთიერთობამ აკადემიური საბჭოს წევრებს გარკვეული შთაბეჭდილება ჩამოუყალიბა — თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა? პატიოსნება, დემოკრატიული ბუნება და პრინციპულობა გახლავთ ის საფუძველი, რასაც ყველამ დაუჭირა მხარი, რადგან იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, წარმოდგენილი პროგრამიდან ვინ რისი შემსრულებელია.

ჩვენს შეკითხვაზე, რას და ვის დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებზე, აკადემიური საბჭოს წევრებმა თავიანთი პოზიციები წარმოაჩინეს.



**გუგული მაღრაძე:**

— მე მხარი დავუჭირე უნივერსიტეტის განვითარების თანამედროვე ხედვას, რომელიც ბატონმა გიორგი ხუბუამ წარმოადგინა. მისი პროგრამა აგებულია იმ მიმართულებებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც იკვეთება მსოფლიო მეცნიერებისა და განათლების სისტემაში.

გარდა ამისა, პროგრამაში ჩადებულია ყველა ის მექანიზმი, რომლითაც უნივერსიტეტი მოახერხებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გახდეს ფლაგმანი და არ იქცეს ერთერთ რიგით უნივერსიტეტად. ბატონი გიორგის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში კარგად არის გაწერილი, რა და როგორ უნდა გაკეთდეს უახლოესი 5 წლის განმავლობაში.

ჩემი აზრით, უნივერსიტეტს სჭირდება ფინანსების მოძიება ისეთი დარგების განვითარებისათვის, რაც გარე ფონდების მესვეურთათვის შეიძლება საინტერესო არ იყოს, მაგრამ ეროვნული სამეცნიერო განვითარებისთვის კი აუცილებელი იყოს. მაგალითად, ქართველოლოგია, რომლის დაფინანსებისთვისაც შიდა ფონდები უნდა არსებობდეს. ბატონ გიას პროგრამაში ეს საკითხიც ნათლად ჰქონდა გაანალიზებული.

**მარიამ ჩხარტიშვილი:**

— ბატონი გიორგის პროგრამამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერი იყო გათვლილი — პროექტები, ღონისძიებები და ჩატარებული სამუშაოს ანალიზი, ანუ როგორ დაიგეგმოს მუშაობა, როგორ განხორციელდეს და როგორ შემოწმდეს იგი.

ბატონ გიორგი ხუბუასთან უკვე რამდენიმე თვეა ვმუშაობ, რამაც მომცა იმის საშუალება, რომ გავცნობოდი მისი მუშაობის სტილს — მე მომწონს, რომ მას უყვარს მოსმენა და არასოდეს აქვს წინასწარ აკვიატებული რა-



იმე თვალსაზრისი. საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხების გადასინჯვისა და დაზუსტების შესაძლებლობა ყოველთვის გვეძლევა. ეს არ ხდება ფორმალურად. მე მიადვილდება მასთან მუშაობა.

**ზურაბ დავითაშვილი:**

— მოკლედ რომ ვთქვა, მე ხმა მივეცი უნივერსიტეტის მომავალს. პროგრამაში გათვლილი იყო ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტის გზები, რომელიც უნივერსიტეტის წინაშე დგას. ნათლად იყო დასახული მიზანი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდეს კონკურენტუნარიანი ევროპის მასშტაბით. სხვა საქმეა, როგორ შესრულდება ეს, მაგრამ პროგრამა უდავოდ იმსახურებს მხარდაჭერას.

პრობლემა ბევრია. დავიწყოთ იმით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,უნიკალური" უნივერსიტეტია იმ თვალსაზრისით, რომ ბიბლიოთეკას ვერ იყენებს. შეიძლება ეს უნივერსიტეტი სტუდენტმა ისე დაამთავროს, რომ ბიბლიოთეკაში არ შევიდეს, რადგან არსებული ფონდი დიდი ხანია ახალი ლიტერატურით არ შევსებულა. მატერიალურ ბაზაზე აღარ ვლაპარაკობ. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აშკარად ჩამორჩა ევროპულ დონეს. ამ პრობლემების მოგვარება ძალიან ღრმა, სერიოზული რეფორმის გარეშე შეუძლებელია.



სხდომაზე წამოიჭრა ბევრი წინადადება. გამოიკვეთა მიმართულებებიც: უცხოეთთან კონტაქტების გაძლიერება, ქართველოლოგიური მიმართულებებისა და მეცნიერებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, ყველა იმ ცნობილი პროფესორ-მასწავლებლის უნივერსიტეტში მოწვევა, რომლებმაც არ ან ვერ გაიარეს კონკურსი. ჩვენ დასაკარგი ხალხი არ გვყავს. შეიძლება ვინმემ პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების გამო კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დღეს ეს პოზიცია არ არის სწორი. ვისაც ესმის პრობლემა, მან ძალიან კარგად იცის, რომ უნივერსიტეტის იმ სახით შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 4-5 პროცენტი იწყებდა მუშაობას თავისი სპეციალობით. ბატონი გიორგის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში პრობლემების გადაჭრის გზები ნათლად ჩანდა და ამიტომ იმსახურებდა იგი მხარდაჭერას.

**გიორგი დავითაშვილი:**

— მე ხმა მივეცი უნივერსიტეტში სწრაფი და ეფექტური რეფორმების განხორციელებას, რაც გულისხმობს უახლოეს მომავალში მართლაც კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავლებლის შექმნას. მოკლე ვადაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპის მასშტაბით არა, მაგრამ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახდეს, რომელიც მართლაც მაღალკვალიფიციურ კადრებს მოამზადებს. ამისათვის აუცილებელია სერიოზული ნაბიჯების გადადგმა და სრულიად ახალი მენეჯმენტის ჩამოყალიბება. ამის გარეშე დასახული მიზნების განხორციელება შეუძლებელი იქნება. ვგულისხმობ საბიუჯეტო დიფერენციაციას, ცენტრალური ბიუჯეტისა და ფაკულტეტების ბიუჯეტს შორის გამიჯვნის პროცესს, ფაკულტეტებზე მენეჯმენტის ნაწილის გადატანას, მათ ტერიტორიულ გამიჯვნას და, აქედან გა-



მომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, რაც დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ა.შ.

მე იმედი მაქვს, რომ ბატონი გიორგი განახორციელებს სწორედ ამ პოლიტიკას. პრინციპში სხვა პოლიტიკის განხორციელება უნივერსიტეტისთვის ჩიხი იქნება. ამ თვალსაზრისით, დღეს, უნივერსიტეტს დიდი არჩევანი არ აქვს. საბაზრო ურთიერთობების პირობებში უნივერსიტეტის ძველი მეთოდებით მართვა წარმოუდგენელია. არ შეიძლება სირაქლემას პოზა დავიჭიროთ და ისე გავაგრძელოთ ცხოვრება, თითქოს არაფერი ხდება და თითქოს კონკურენტები არ გვყავს. მხოლოდ ცენტრალური აპარატი საქმეს თავს ვერ გაართმევს. სიმძიმის ცენტრი, გარკვეულწილად, ფაკულტეტებზე უნდა გადანაწილდეს და პასუხისმგებლობაც ნაწილობრივ თავიანთ თავზე უნდა აიღონ, მათ შორის ფინანსურ საკითხებშიც. ეს პრობლემა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**ირაკლი კოვზანაძე:**

— ჩემთვის უნივერსიტეტი განსხვავებულია — ეს არის ის დაწესებულება, სადაც ვსწავლობდი და ვმუშაობდი. უნივერსიტეტთან მშობლიური გრძნობები მაკავშირებს. მე მხარი დავუჭირე რექტორის პოსტზე გიორგი ხუბუას კანდიდატურას ორი მომენტის გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა, რო-



მელსაც საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც ყველაზე მისაღები და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები ჰყავდა, თავისი პრიორიტეტულობა უნდა დაიბრუნოს. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ პროფესორთა ის ნაწილი, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო, უნივერსიტეტმა ამა თუ იმ ფორმით და პირობით უნდა დაიბრუნოს. ისინი ჩვენს უნივერსიტეტს და სტუდენტობას სჭირდება. თითოეულმა ჩვენთაგანმა ამ პროცესში გარკვეული შრომა უნდა გასწიოს. რაც მთავარია, რექტორი ამ პოზიციას დაეთანხმა.

**რევაზ გველესიანი:**

— მე ხმა მივეცი რექტორის დეტალურად წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას. მასში მთავარ პრიორიტეტად გამოყოფილია სამეცნიერო კვლევების სრულყოფა, სწავლების ხარისხის ამაღლება. ყველაფერი ეს სწავლების ინტერნაციონალიზაციის პრიზმაშია გარდატეხილი. სამოქმედო გეგმის ავტორი, ბატონი გიორგი ხუბუა მასში გულისხმობს იმას, რომ დღეისათვის აუცილებელია გააქტიურდეს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, განხორციელდეს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ასევე, დამკვიდრდეს ერთი სემესტრით მაინც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის ლექციების სავალდებულო მოსმენა და უცხოელი პროფესორების მოწვევა ახალი პროგრამებისა და დისციპლინების შესახებ ლექციების წასაკითხად. რექტორის სამოქმედო პროგრამაში წინა პლანზეა წამოწეული უწყვეტი განათლების სისტემა, უნივერსიტეტის თანამშრომელთა სოციალური დაცვის პროგრამა, რაც კიდევ მუშავდება. გარდა ამისა, ჩემთვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ გიორგი ხუბუას ბოლოდროინდელი სტაჟირებები ისეთ ცნობილ უნივერსიტეტებში, როგორიცაა მიუნხენის, ჰაიდელბერგის, ბერნის უნივერსიტეტები... ვფიქრობ, ეს საკმარისი კრიტერიუმებია იმისათვის, რათა ხმა მიმეცა ისეთი რექტორისთვის, რომელიც ცდილობს ჩვენი უნივერსიტეტის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების დონე ევრო-



პულ სტანდარტებს მიუახლოოს. აქვე დავძენ იმასაც, რომ ჩემი აზრით, რაც უფრო მეტად არის პიროვნება ნაზიარები ევროპულ კულტურასა და განათლებას, მით მეტად შეუძლია ეროვნულის დაცვა.

უნივერსიტეტის, როგორც დიდი კორპორაციის მართვას თანამედროვე მენეჯმენტი ცოტა სხვაგვარად უყურებს. დიდ კორპორაციაში მისი სტრუქტურული ერთეულები ნაკლებად გრძნობენ კონკურენციის სიმკაცრეს, ამიტომ მათ ეს სიმკაცრე უნდა იგრძნონ. რაც უფრო კონკურენტული გარემოა შექმნილი, მით უფრო მაღალია სამეცნიერო კვლევების დონე და სწავლების ხარისხიც. ასე რომ, მართვის სისტემაში ბევრი რამ კიდევ მოსაფიქრებელია და ამ კუთხით, შეიძლება მოვუსმინოთ როგორც ჩვენს ღვაწლმოსილ მეცნიერებს, ისე უცხოელ ექსპერტებსაც.

**ირმა რატიანი:**

— მე მხარი დავუჭირე უნივერსიტეტის სტაბილურობას, მოწესრიგებას, საინტერესო პერსპექტივებს და კარგ სამომავლო გეგმებს.





**ალექსანდრე შენგელია:**

— ჩვენ მხარი დავუჭირეთ იმ რეფორმების გაგრძელებას, რაც უნივერსიტეტში უკვე დაიწყო. ამ რეფორმების მიზანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდეს მსოფლიო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცის სრულუფლებიანი და ღირსეული წევრი.

**მერაბ კილაძე:**

— ჩემი აზრით, ხმა მივეცი ღირსეულ კანდიდატურას და ოპტიმა-



ლური გადაწყვეტილება მივიღე. თავის პროგრამაში მან აღნიშნა, რომ ნომერ პირველი ამოცანა — ეს არის უნივერსიტეტის იმიჯის — სწავლისა და სამეცნიერო კვლევის ხარისხის ამაღლება. მე ამ ორ რეალისტურ და მიმზიდველ გეგმას დავუჭირე მხარი.

**ელიზბარ ნადარაია:**

— აკადემიურმა საბჭომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩია პროფესორი გიორგი ხუბუა — განათლებული და



პატიოსანი ადამიანი, რომელმაც კარგად იცის საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ნიუანსი. სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პრიორიტეტები. ამ პროცესის უმთავრეს კრიტერიუმად მიღებულია სწავლებისა და კვლევის ხარისხი. გიორგი ხუბუას სამოქმედო გეგმაში, აგრეთვე, მოცემულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მწყობრი კონცეფცია და, ჩემი ღრმა რწმენით, ბატონი რექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კონკურენტუნარიან სასწავლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებად გახდის.

# დღემდე გვიწევს უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფა

## ინტერვიუ რექტორთან გიორგი ხუბუასთან

პირველი გვერდიდან

წავლო ცხრილისა და სასწავლო პროგრამების ინდივიდუალურ დაგეგმვაში.

**— რა საფუძველს ემყარება ოპონენტების განცხადებები უნივერსიტეტში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის გაუქმებაზე?**

— მაგისტრატურაში წელს გაცილებით უფრო მაღალი დონით და უფრო უკეთესი პროგრამებით დაიწყება სწავლება, ვიდრე წინა სემესტრში. გარდა ამისა, ხარისხობრივად ამაღლდა თვითონ მაგისტრატურის პროგრამებიც. რამდენიმე პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები აღიარებული იქნება ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების მიერ. მიმდინარე წელს, საქართველოს სინამდვილეში პირველად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე კიოლნის უნივერსიტეტთან ერთად განხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა. ეს ნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტს შეუძლია კიოლნის უნივერსიტეტის მიერ აღიარებული დიპლომიც მიიღოს. ეს პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება და სხვა სპეციალობებსა და ფაკულტეტებსაც მოიცავს. ჩვენი უნივერსიტეტისთვის ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება — ეს არის ძალიან რეალური პერსპექტივა. გაიზარდა მომთხოვნელობა სადოქტორო პროგრამების მიმართ: აუცილებელი ხდება ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და უცხოეთის რომელიმე უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამის განხორციელება. ანუ ჩვენთვის მთავარი ორიენტირია ხარისხი. არ გვინდა, სტუდენტს შევუქმნათ იმის ილუზია, რომ უნივერსიტეტში სწავლობს მხოლოდ დიპლომის მისაღებად. მას აქვს უფლება — უნივერსიტეტში ხარისხიანი განათლება მიიღოს და უნივერსიტეტი ვალდებულია — მას ხარისხიანი განათლება მისცეს.

რაც შეეხება ოპონენტების მტკიცებას მაგისტრატურისა და დოქტორანტურის გაუქმებაზე, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტის მიმართ არაკეთილმოსურნედ განწყობილი ხალხის წინასწარ აკვიატებული უსაფუძვლო ბრალდება. ჩვენ ცოტა დრო გვჭირდება იმისათვის, რომ საზოგადოებამ დაინახოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებების პირველი შედეგი.

**— აქვს თუ არა რეალურად, უნივერსიტეტს, ავტონომიის პრობლემა და, როგორც არჩეული რექტორი, რას გააკეთებთ ამ მიმართულებით?**

— უნივერსიტეტს ჰყავს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა, ჰყავს არჩეული აკადემიური საბჭო, არჩეული წარმომადგენლობითი საბჭო, არჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ჰყავს უკვე არჩეული რექტორი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ავტონომია დაცულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტის საქმეებში ჩარევა იურიდიულად აბსოლუტურად გამორიცხულია. უნივერსიტეტი თვითონვე განსაზღვრავს სასწავლო პროგრამებს, მთლიანად არის პასუხისმგებელი შიდა საუნივერსიტეტო საქმეებისა და ფინანსების მართვაზე... არარსებულ ფაქტსა და მოვლენაზე არ შეიძლება რაიმე ნოსტალგია გვქონდეს. უნივერსიტეტი არასოდეს ყოფილა საქართველოში ისე ავტონომიური, როგორც ეს დღეს არის. ასევე, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, არასოდეს ყოფილა საუნივერსიტეტო განათლების თემა ისე აქტუალური, როგორც დღეს. მე, როგორც იურისტმა, შემიძლია თამამად ვთქვა: იმ პერიოდშიც კი, როდესაც მე დანიშნული რექტორი ვიყავი (ნამდვილად არაფერი მჭირს საიმისო, რომ არაგულწრფელი ვიყო), არც სახელმწიფოს და არც განათლების სამინისტროს მხრიდან უნივერსიტეტის შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობის სურვილიც არ მიგრძვნია. ანუ, დღეს უნივერსიტეტის ავტონომია ინსტიტუციონალურად და სამართლებრივადაც დაცულია. საქართველოში ყველა აცნობიერებს უნივერსიტეტის განსაკუთრებულ მისიასა და დანიშნულებას. იციან ისიც, რომ უნივერსიტეტი სწორედაც რომ უფრთხილდება აკადემიურ თავისუფლებას, უნივერსიტეტის სუვერენიტეტის იდეას, და მინდა, ყველა დავარწმუნო იმაში, რომ, როგორც იურისტი, ყოველთვის განსაკუთრებით ვიქნები უნივერსიტეტის ავტონომიის სამართლებრივად დაცვის არა მარტო მომხრე, არამედ ვიქნები ვალდებულიც — ეს გავაკეთო. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნო, რომ არავითარი საფრთხე ან განწყობა იმისა, რომ მომავალში უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვის ან მასში ჩარევის სურვილი ვინმეს გაუჩნდეს, ნამდვილად არ არსებობს.

**— იმ პროფესორების დაბრუნებაზე რას იტყოდით, ვინც უნივერსიტეტის გარეთ დარჩა და ღირებულია უნივერსიტეტისათვის? მრჩეველთა საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ თქვენ ანგარიში გაუწიეთ მათ თხოვნას ზოგიერთი მათგანის დასაბრუნებლად. თუ გაგრძელდება ეს პროცესი?**

— უნივერსიტეტში უკვე მუშაობს რამდენიმე ჩვენი კოლეგა, რომლებიც საწყის ეტაპზე, სამწუხაროდ, ცვლილებების მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. მომავალშიც, ცხადია, ჩვენ მზად ვართ უნივერსიტეტში მომუშავე თუ არაუნივერსიტეტელ ნებისმიერ კოლეგასთან თანამშრომლობისათვის, მიუხედავად მისი განწყობისა. მთავარი კრიტერიუმი არის მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაცია. ჩვენთვის ამოსავალია ის, რომ სტუდენტს მივცეთ საშუალება — მოისმინოს ყველაზე უფრო მაღალი დონისა და კვალიფიკაციის მქონე პროფესორის ლექცია. თუ ჩვენ ასეთ შესაძლებლობას დავინახავთ, არ არსებობს არანაირი ხელის შემშლელი ფაქტორი, რომ უნივერსიტეტში ვინმეს საქმიანობის საშუალება არ მივცეთ. ჩვენ გულწრფელად გვინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქვეყნის ინტელექტუალურმა ელიტამ მოიყაროს თავი. ამ მიზნით უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ჩვენ გვაქვს მათი საქართველოში მოწვევის შესაძლებლობა, რათა სემესტრის განმავლობაში წაიკითხონ ლექციები და ჰქონდეთ კონტაქტი ქართველ სტუდენტებთან. ამ კონტაქტების გააქტიურების შედეგად მომავალში სტუდენტების საზღვარგარეთ მიწვევის პერსპექტივაზეც შეგვეძლება საუბარი.





რექტორის არჩევნები

**— თუ ხორციელდება საინტერესო სამეცნიერო კვლევები? რა მიღწევები აქვს ამ კუთხით უნივერსიტეტს და როგორ წარმოგიდგენიათ კვლევების ხელშეწყობა?**

— ხელშეწყობა, პირველ რიგში, მაინც განისაზღვრება ფინანსური მომენტით და ინფრასტრუქტურით: უნივერსიტეტი რამდენად აძლევს საშუალებას მეცნიერს — აწარმოოს კვლევა. ჩვენ მაქსიმალურად გავზარდეთ ხელფასები იმის მიხედვით, რის საშუალებასაც უნივერსიტეტის ბიუჯეტი გვაძლევდა, თუმცა ეს არ არის ზედა ზღვარი. ჩვენ ვფიქრობდით, ასევე, შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდის ჩამოყალიბებას, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი სახელფასო ფონდი დაახლოებით 4 000 000 ლარით გაიზარდა, ამ ეტაპზე პრობლემური აღმოჩნდა სამეცნიერო ფონდის შექმნა. მომავალში მას აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ. ფონდში, შემოწირულობის სახით, საქართველოში მოქმედი დონორი ორგანიზაციებიც დაგვეხმარებიან. ასეთი სამეცნიერო ფონდი საშუალებას მოგვცემს, დავაფინანსოთ ის პრიორიტეტული მიმართულებები, რაც უნივერსიტეტს საჭიროდ მიაჩნია, და რასაც, უნივერსიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს.

ზოგადად, სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია გულისხმობს, რომ ჩვენი აკადემიური პერსონალი, ამავდროულად, უნდა ახორციელებდეს სამეცნიერო კვლევებსაც. ამ ეტაპზე პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იმის საშუალებას იძლევა, რომ თანამშრომელმა სათანადო დრო დაუთმოს სამეცნიერო გამოკვლევებსაც.

მომავალში უნივერსიტეტში ჩამოყალიბდება ვიწრო პროფილის ინსტიტუტები. ეს იქნება ძირითადი უჯრედი, სადაც წარიმართება სამეცნიერო კვლევა. თვითონ ხელშეკრულება, რომელიც აკადემიურ პერსონალთან გვაქვს დადებული, განსაზღვრავს საათების რაოდენობას შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევების მიხედვით, ანუ კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე, დღეს დასაქმებული 800-მდე პერსონალი ვალდებულიც არის, პარალელურად, აწარმოოს სამეცნიერო კვლევებიც. უნივერსიტეტში ახლო მომავალში სამეცნიერო კვლევების შეფასების ერთიანი სისტემა ჩამოყალიბდება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ინდივიდუალურად შევაფასოთ როგორც მკვლევარის სამეცნიერო საქმიანობა, ასევე, უნივერსიტეტში არსებული ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობაც.

**— დღეს აქტუალურია ფაკულტეტებისთვის უფლებამოსილების გადანაწილებისა და ბიუჯეტის გამიჯვნის თემა. როგორ წარიმართება თვითმმართველობის პროცესი უნივერსიტეტში?**

— ცხადია, ფაკულტეტებს საბიუჯეტო ავტონომია ექნებათ. დეცენტრალიზაცია გარდაუვალია, მაგრამ ეს პროცესი არც ერთ შემთხვევაში ხელს არ უნდა უწყობდეს ფაკულტეტებზე ან სხვა სტრუქტურულ ერთეულებში პარტიკულარიზმის ტენდენციების გაძლიერებასა თუ ხელშეწყობას. უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, უნივერსიტეტის სათაო ადმინისტრაციასა და ფაკულტეტებს შორის აუცილებლად უნდა გაღრმავდეს კომუნიკაცია. დეცენტრალიზაცია არ ნიშნავს ანტიცენტრალიზმს. ის, რომ ფაკულტეტებს დიდი უფლებამოსილება მიენიჭებათ, ამავე დროს, გულისხმობს იმას, რომ ფაკულტეტების მიმართ გაიზრდება მომთხოვნელობაც.

**— აკადემიური საბჭოს წინაშე სამოქმედო პროგრამის პრეზენტაციაზე აქცენტი უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებაზე გააკეთეთ. რა ღონისძიებებს მოიცავს ეს პროცესი?**

— იმიჯს, პირველ რიგში, განსაზღვრავს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების დონე. ამავე დროს, საჭიროა მიღწეული წარმატებების მეტი პოპულარიზაცია. ამ მხრივ, თქვენს გაზეთს დიდი როლის შესრულება შეუძლია. მომავალში გვინდა გამოვცეთ ალმანახი, სადაც წარმოჩენილი იქნება უნივერსიტეტის უახლოესი მიღწევები სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით. აუცილებლად უნდა გავააქტიუროთ კავშირი მედიასთან, საზოგადოებასთან... ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება უფრო მრავალფეროვნებით უნდა გამოირჩეოდეს. დარწმუნებული ვარ, რომ იდეების დეფიციტი ჩვენს სტუდენტობას ნამდვილად არ ექნება. ასევე, მომავალში ვფიქრობთ სპეციალური პროექტების რეალიზაციას, რომელიც პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის მიმართ საზოგადოებაში სათანადო განწყობის დამკვიდრებას მოემსახურება. სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯის ხელოვნურად შელახვაზე ბევრი იმუშავეს. ფაქტია, რომ დღემდე გვიწევს უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფა. მათ დასაშოშმინებლად ყველაზე კარგი არგუმენტი იქნება საქმე და რეალური შედეგი, რასაც საზოგადოება მალე იხილავს.

**— უნივერსიტეტს ადრე სხვა მისია ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ქვეყნის დასაცავად პირველი ეროვნული სიტყვა სწორედ აქ ითქმოდა. დღეს დაკვეთა, ალბათ, შეიცვალა. უმაღლესი სასწავლებლის გადაქცევა პოლიტიკური შეფასებების არენად აქტუალური აღარ უნდა იყოს. ამდენად შეიცვალა მისი მისიაც...**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ. შეცვლილ სიტუაციასა და შეცვლილ გარემოში უნივერსიტეტის მისია მართლაც შეიცვალა. დღეს ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტს არ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტურად ანალოგიური მისია, რაც მას ჰქონდა იმ პერიოდის საქართველოში, როცა ჩვენი ქვეყანა დიდი იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. დრომ უმაღლესი სასწავლებელი ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა. ეს არის აკადემიური პრობლემა. პათეტიკის და გრძნობად-ემოციურად დამუხტული პატრიოტიზმის დონეზე უნივერსიტეტის მისიის განსაზღვრა აღარ არის აქტუალური. ჩვენ აკადემიურ საკითხებზე უფრო მეტად მოგვიწევს კონცენტრაცია. დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საზოგადოებისთვის, ოჯახისთვის მისაღებ ფასეულობებსა და ღირებულებებზე გაზრდილი თაობა სჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე თაობა, რომელმაც იცის დროისა და შრომის ფასი და ისიც იცის, რომ წარმატების ერთადერთი გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია.

### შეკითხვა რექტორატს

*— რატომ არა გვაქვს პირველკურსელებს ჩათვლის წიგნაკები?*

**თინათინ კაკუშაძე, თსუ სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:**

— გაცნობებთ, რომ სტუდენტების აკადემიური მოსწრების (ე.წ. „ჩათვლის") წიგნაკები ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისისათვის დამზადდა და შემოვიდა უნივერსიტეტში (ახალმიღებული კონტინგენტისათვის სრული გათვლით).

ფაკულტეტებმა შესაბამისი განცხადებით უნდა გამოითხოვონ აკადემიური მოსწრების წიგნაკების მათთვის საჭირო რაოდენობა და შევსებული სახით გასცენ პირველკურსელ სტუდენტებზე.

**გიორგი არჩუაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი:**

*— როგორი იქნება ახალი რეგისტრაციის სისტემა მეორე სემესტრში?*

**ჯემალ სოლოღაშვილი, თსუ სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:**

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006-2007 სასწავლო წლის მეორე ანუ გაზაფხულის სემესტრის რეგისტრაცია ჩატარდება შემდეგნაირად:

1. ის სტუდენტები, რომელთაც რეგისტრაცია გაიარეს 2006-2007 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში და აქვთ ინტერნეტით სტუდენტურ ბაზაზე წვდომის პირადი პაროლი, მეორე სემესტრში რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტის მეშვეობით. კერძოდ, ვისაც არ ეკუთვნის სწავლის საფასურის გადახდა, აკადემიურ რეგისტრაციაზე დაშვების უფლებას ავტომატურად მოიპოვებს და მათ დაჭირდებათ მხოლოდ აკადემიური რეგისტრაცია მას შედეგ, როცა მოხდება რეგისტრაციის ბაზაში ზამთრის საგამოცდო შეფასებების შეტანა. მათ, ვისაც ეკუთვნის სწავლის საფასურის გადახდა, მხოლოდ შესაბამისი თანხის "TBS" ბანკში ან ბანკში „რესპუბლიკა" გადახდის შემდეგ შეეძლებათ აკადემიური რეგისტრაციის გავლა ინტერნეტის მეშვეობით.

2. იმ სტუდენტებმა, რომელთაც რეგისტრაცია არ გაუვლიათ წინა სემესტრში და არა აქვთ სტუდენტურ ბაზაზე წვდომის პირადი პაროლი, დეკანატებში უნდა მოიპოვონ ინფორმაცია ფინანსური დავალიანებისა და სემესტრული გადასახადის თაობაზე, გადაიხადონ გადასახადი ბანკში და შემდეგ შესაბამისი საბუთები წარადგინონ რეგისტრაციის ოფისში. ამის შემდეგ მათ მიეცემათ სტუდენტური ბაზის მეშვეობით აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება.

3. ფაკულტეტების დეკანები ვალდებულნი არიან სტუდენტებს მიაწოდონ დროულად ინფორმაცია რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

4. ასარჩევი საგნების შესახებ სტუდენტთა კონსულტირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დეკანების მიერ გამოყოფილ ტუტორებს.

# ატაცებული ფრაზა: „მინდა ვიყო სტუდენტების რექტორი“

**შურთხია ბეროშვილი**



უნივერსიტეტში რექტორის არჩევნებმა საახალწლო მზადებაც კი დაჩრდილა. ამ დღეს ყველა თავისებური მოლოდინით შეხვდა. მღელვარება ყველას გადაედო — რა იქნება მომავალში? დაპირებები და სურვილები კარგია, მაგრამ შეძლებს კი ახლადარჩეული რექტორი დანაპირების შესრულებას? რა თქმა უნდა, პროფესორ-მასწავლებლებშიც და სტუდენტებშიც იყვნენ როგორც პესიმისტები, ასევე, ოპტიმისტები. ,,უნივერსიტეტში ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი" — მხრებს იჩეჩდნენ პესიმისტები. ,,მაგრამ მან მოკლე დროში შეძლო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა" — პასუხობდნენ ახალი რექტორის მხარდამჭერები და კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებდნენ თავიანთ პოზიციას. მაგალითები კი მრავლად ახსოვთ სტუდენტებს. სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად იყო არჩევნების ორომტრიალში ჩართული. მათი თქმით, ბატონმა გიორგი ხუბუამ ჯერ კიდევ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე ყოფნის დროს აგრძნობინა სტუდენტებს თავისი თანადგომა. რას მოელიან სტუდენტები არჩეული რექტორისგან? — ამ კითხვაზე პასუხისთვის სტუდენტები სიამოვნებით დაგვეთანხმდნენ.

**გიორგი ავალიანი** — სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

როგორც იცით, უნივერსიტეტში შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც დაევალა არჩევნების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა. მასში, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს, მეც მხვდა პატივი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიმეღო. თამამად შეიძლება ითქვას — არჩევნები შედგა! — არც ერთი კითხვის ნიშანი!

მთავრდება წინააღმდეგობებით სავსე გარდამავალი პერიოდი, რომელმაც დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის ახლანდელი კურსი სწორია. ახლა უკვე ჩვენ გვყავს დემოკრატიული გზით არჩეული რექტორი, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, — ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ უნივერსიტეტი ჩაითვალოს ავტონომიურ ლეგიტიმურ ორგანოდ. ჩვენ ბატონი გიორგის პიროვნებაში ვაფასებთ იმ პრინციპულობას, რომელსაც იგი ავლენს ყოველგვარი სიახლის დამკვიდრებისას, ამიტომ ახალი რექტორისაგან საინტერესო ინიციატივებს ველოდებით.

**არჩილ კაიკაციშვილი**, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

— უნივერსიტეტის რექტორად გიორგი ხუბუას არჩევას უაღრესად მნიშვნელოვანს ვუწოდებ. მნიშვნელოვანია ამ არჩევანის ისტორიული როლიც, ვინაიდან სწორედ გიორგი ხუბუა ხდება ახალი ქართული უნივერსიტეტის სულისჩამდგმელი. მან უკვე შეძლო მორალურ ღირებულებებზე მდგარი საუნივერსიტეტო აკადემიური გარემოს ჩამოყალიბება და ეს უკვე დიდი წარმატებაა. გიორგი ხუბუას დაპირება — სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოც რეალურია. რასაც ამ ადამიანში ყველაზე მეტად ვაფასებ, არის ის, რომ გიორგი ხუბუა უნივერსიტეტელია და ყველაზე კარგად ესმის საუნივერსიტეტო პრობლემები. მას შეუძლია აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის საშუალებით უნივერსიტეტი აქციოს ეროვნული ფასეულობების მთავარ ნიშანსვეტად, ქართული მეცნიერების განვითარების საფუძვლად და გადაწყვეტილებების ავანგარდში მუდამ მოიაზროს სტუდენტური საზოგადოება. როცა რექტორისთვის ერთი სტუდენტის საფიქრალი უნივერსიტეტის საფიქრალი ხდება, ასეთი ურთიერთობა ძალიან ბევრის მთქმელია. მე ყოველთვის სურვილი მქონდა მესწავლა ასეთ უნივერსიტეტში და არა ისეთ სასწავლებელში, სადაც საკუთარი შესაძლებლობები და ცოდნა მიზანს რთულად მიმაღწევინებდა. სწორედ ამ ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს ჩემი დღევანდელი მდგომარეობა — მე ფასიანი განყოფილების სტუდენტი ვარ (რაც ძალიან მაწუხებს), მაგრამ ოჯახის ტრადიციას მაინც ვაგრძელებ — უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მერქმევა. მჯერა, რომ გიორგი ხუბუა იქნება ის რექტორი, რომელიც მანკიერი წარსულის გადახაზვით უნივერსიტეტის ისტორიაში თავისი მოღვაწეობის ახალ თავფურცელს შექმნის. მე ვისურვებდი, რაც შეიძლება მალე მოხდეს იმ დეკლარაციის რეალიზება, რომელიც ბატონ გიორგის სტუდენტებმა მისი რექტორად დანიშვნის დროს წარვუდგინეთ. მასში, სტუდენტის სოციალური დაცვის აუცილებლობიდან დაწყებული, უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის შექმნით დამთავრებული, ყველაფერზეა საუბარი. ვფიქრობ, არჩეული რექტორი მას უფრო აქტიურად განახორციელებს. ვუსურვებ მას უაღრესად წარმატებულ მოღვაწეობას, წარმატებულ 2007 წელს. უნივერსიტეტში გიორგობაა. დაე, კეთილი იყოს...

**თინათინ ნიბლოშვილი**, გაზეთ ,,ახალგაზრდა იურისტის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელძღვანელი, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

— პირადად მე მხარს ვუჭერ ბატონ გიორგი ხუბუას, ვინაიდან მასში ვხედავ ისეთ თვისებებს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს უნდა ახასიათებდეს.

უპირველესად, იგი დადებით განწყობას იწვევს ჩვენში, სტუდენტებში, ვინაიდან ურთიერთობს ჩვენთან და მზადაა მოისმინოს ჩვენი მოთხოვნები. იგი იცავს ჩვენს უფლებებს.

**მარიკა არევაძე**, გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის“ მთავარი რედაქტორი, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

— 2007 წლის 5 იანვარი დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს სახელმწიფო უნვერსიტეტისთვის. ჩემი აზრით, ბატონი გიორგი ხუბუა იმიტომ უნდა იყოს უნივერსიტეტის რექტორი, რომ მას გააჩნია კონკრეტული სამოქმედო გეგმა და აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ ბატონ ტარიელ ფუტკარაძის და არასამთავრობოების განცხადებებს. თუმცა მათი პოზიციების დაფიქსირება დემოკრატიულობის მაჩვენებელია. მახარებს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტს ბოლოს და ბოლოს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც სტუდენტებისთვის და სტუდენტებთანაა.

**რუსუდან ჯიქია**, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

— გიორგი ხუბუამ თავის გუნდთან ერთად ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო მუშაობა და თავისი გეგმის განხორციელება, როდესაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო. დარწმუნებული ვარ, ბატონი გიორგი ეცდება, რეფორმები ბოლომდე განახორციელოს. ველოდებით, რომ შეიქმნება სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რასაც გვპირდება კიდეც. გასაკეთებელი მართლაც ბევრია: სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით სტუდენტები ჯერ კიდევ გაურკვევლობაში არიან. ამ პიროვნების მიმართ ყველაზე დადებითად მაშინ განვეწყვე, როდესაც მან განაცხადა: მე მინდა ვიყო სტუდენტების რექტორიო — ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

**თეონა ჭალიძე**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ამ რეფორმებმა შედეგები მოიტანა. ის ფაქტი, რომ ბატონი გია ერთსულოვნად აირჩიეს რექტორად, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ მას სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან სრული ნდობა აქვს. მინდა მივულოცო და ვუსურვო წარმატებები, მინდა გადასცეთ, რომ მისი იმედი გვაქვს.

**თამარ შენგელია**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

— ვფიქრობ, რომ სასწავლო პროცესი დაიხვეწება. ველოდები, რომ აღდგება ძველი სპეციალობები. მე ვარ ამერიკანისტიკის სპეციალობაზე და გადავედი ანგლისტიკაზე. ეს ორი სპეციალობა განსხვავდება ერთმანეთისგან.

**დავით ჩოფლიანი**, იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი:

— მოლოდინი დიდია. მე ჯერ ვერ გავრკვეულვარ ამ პროცესებში, რაც ამჟამად უნივერსიტეტში მიმდინარეობს. ვიცი, რომ რექტორს ბევრი რამ აქვს დაგეგმილი. ვისურვებდი, მან ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე და დაპირებები ფურცელზე არ დარჩეს. ახლა უნივერსიტეტში გარდამავალი პერიოდია და ყველაფერი არ არის დალაგებული.

**თამარ ცერცვაძე**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— ახალი რექტორი მომწონს, ან რატომ არ უნდა მომწონდეს: ვხედავ, რომ ჩვენი შრომა დაფასებულია. კონკრეტულად რას ველოდები? — იმედი მაქვს, რომ მისი დანაპირები ფუჭი არ აღმოჩნდება და კიდევ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება.

**ირაკლი ქეზურია**, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— მე იმედი მაქვს, რომ შეიცვლება ბევრი რამ. კონკრეტული თხოვნა ან პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ აქ სწავლით აღფრთოვანებულიც არ ვარ. რექტორზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ვნახოთ, ვნახოთ...

**ნოდარ კავთელაძე**, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— ვფიქრობ, რომ რექტორის არჩევნები ჩატარდა ობიექტურად. მე და ჩემი მეგობრები მხარს ვუჭერთ ბატონ გიორგი ხუბუას, რადგან ვხედავთ, რომ მისი მოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. რას ველოდები? — ჩემი ცოდნის დაფასებას.

**სტუდენტი** (გვარი და სახელი არ დაასახელა):

— არანაირი აზრი არა მაქვს ახალ რექტორთან დაკავშირებით. ხანდახან თუ შემოვივლი უნივერსიტეტში მეგობრების სანახავად. სწავლით თავს არ ვიკლავ, ამიტომ ვთხოვ, არ გამრიცხოს და ყოველთვის მის გვერდით ვიქნები.

**გაგა ხაბულიანი**, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი:

— ჩვენთვის რექტორი არც ისე „ახალია“. მასთან თანამშრომლობის საშუალება უკვე გვქონდა და დავრწმუნდი, რომ ის მართლაც ღირსეული კანდიდატი იყო და ამ არჩევნებში ღირსეულადაც გაიმარჯვა. მან უდიდესი საქმე წამოიწყო, რომლის ბოლომდე მიყვანა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიხარია, რომ საშუალება მომეცა ჩვენი გაზეთის საშუალებით მივულოცო ეს გამარჯვება.

**სალომე ლალიაშვილი**, იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— ვფიქრობ, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდა. ბატონმა გიამ რეფორმების განხორციელება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ფაკულტეტზე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, ახლა უფრო მეტს გააკეთებს. ჩემი მეგობრების სახელით ვულოცავ მას ამ გამარჯვებას.

**ვახტანგ ლომჯარია**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრი, სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარე:

— ჩვენი მოთხოვნაა — უნივერსიტეტმა დღევანდელ კონკურენტიან გარემოს გაუძლოს, როდესაც ისეთი სასწავლებლებიც არსებობს, როგორიც არის კავკასიის ბიზნეს სკოლა და იესემი, რომელიც მაღალი კვალიფიკაციურ კადრებს ამზადებს. რექტორისგან ეფექტურ ცვლილებებს ველით. ამის რესურსები უნივერისტეტს გააჩნია. მიმაჩნია, რომ კიდევ ერთი პრობლემა აქვს უნივერსიტეტს გადასაჭრელი. მთავარი არ უნდა იყოს სტუდენტთა რაოდენობაზე ორიენტირება. დღეს ათასობით სტუდენტი ამთავრებს სასწავლებელს, მაგრამ იშვიათად შეხვდებით მაღალკვალიფიციურ კადრს. სასწავლო პროცესში თეორიასთან ერთად პრიორიტეტი უნდა იყოს პრაქტიკა, საქმიან თამაშებში ჩართვა, რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი ლექტორის მოზიდვა, ცნობილი ბანკების მენეჯერების მოწვევა. ძალიან მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამების წარმატებით განხორციელება.

ინტელექტუალთა აზრით

# რექტორის დაუწერელი კონცეფცია – უხუცესთა მოსმენა

**მაია ტორაძე**

რექტორის არჩევნებმა უნივერსიტეტის სამეცნიერო და სტუდენტურ წრეებში ერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია — პროგრამა, რომელიც პროფესორმა გიორგი ხუბუამ აკადემიური საბჭოს წინაშე წარადგინა, უდავოდ პროგრესულია და ითვალისწინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართვას საუნივერსიტეტო სწავლების ევროპულ სისტემაში.

ამ არჩევნებით რეფორმის ერთი ეტაპი დასრულდა. საუნივერსიტეტო საზოგადოება რექტორისაგან უკვე კონკრეტულ ნაბიჯებს ელის. სასწავლო პროგრამებისა და პროცესების თაობაზე მოსაზრებების გამოთქმა მრჩეველთა საბჭოს წევრებს არჩევნების დასრულებისთანავე ვთხოვეთ.

**ნუგზარ ალექსიძე:**

— ჩემი აზრით, ბატონმა გიორგიმ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. მისი საქმიანობის დაწყება დაემთხვა რეორგანიზაციას, რაც ყოველთვის რთულად მიმდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ რექტორმა მაინც მოახერხა შედარებით რბილად ჩაეტარებინა ეს უმძიმესი პროცესი და, როგორც თვითონ ამბობს, პრაქტიკულად თავიანთი დამსახურების მიხედვით შეინარჩუნა უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები.

რა თქმა უნდა, აკადემიური კონკურსის ჩატარების დროს შეცდომები იყო, მაგრამ, როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, და ჩვენ გვჯერა მისი — ეს ხარვეზები გამოსწორდება.

არჩევნების ჩატარების შემდეგ ბატონი გია უკვე სრულუფლებიანი რექტორია და მას ხელები გახსნილი აქვს, რაც, რეორგანიზაციის დასრულებისთვის უფრო სერიოზული ნაბიჯების გადადგამაში დაეხმარება.

მას აქვს ბევრი კარგი თვისება, რომელიც წაადგება უნივერსიტეტს, მაგრამ, ჩემი აზრით, ახალი რექტორის ერთერთი ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ შეუძლია მოუსმინოს ადამიანებს და მრჩეველთა საბჭოსთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება. ეს ნამდვილად მიუთითებს მენეჯმენტის სწორად წარმართვის უნარზეც.

კარგია ისიც, რომ ის არის ივანე ჯავახიშვილის ყველაზე ახალგაზრდა მემკვიდრე, რაც ძალიან ბევრს ავალებს და, ალბათ, დიდი მუშაობა მოუწევს იმისათვის, რომ უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესი ღირსეულად განვითარდეს. არ არსებობს სწავლება მეცნიერების გარეშე და მეცნიერება სწავლების გარეშე. უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და სტუდენტების სამეცნიერო კვლევით მუშაობაში ჩაბმა აუცილებელია. როგორც რექტორმა განაცხადა, ის ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

მინდა მივულოცო ბატონ გიორგის ეს დიდი წარმატება და ვიმედოვნებ, რომ მისი ყოველი შემდგომი ნაბიჯი უნივერსიტეტს დააახლოებს თანამედროვე მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების სისტემასთან.

**მარიამ ლორთქიფანიძე:**

— უნივერსიტეტის რექტორი არჩეულ იქნა იმ წესით, რომელიც დააკანონა ხელისუფლებამ. ჩემთვის ეს წესი მისაღები არ არის, მაგრამ აზრი არავის უკითხავს.

გავეცანი ბატონ გიორგის სამომავლო პროგრამას. შეიძლება ზოგიერთ კონკრეტულ საკითხში არ ვეთანხმებოდე, მაგრამ მთლიანობაში პროგრამა საინტერესოა. თუ ბატონი გიორგი შეძლებს მის მიერ წარმოდგენილი პროგრამის რეალიზებას, მალე სასიკეთო ძვრების მომსწრენი უნდა გავხდეთ და მისი მუშაობაც, როგორც რექტორისა, ამის მიხედვით შეფასდება და დაფასდება.



რექტორის შეხვედრა მრჩეველთა საბჭოს წევრებთან

**ჯუმბერ ჭუმბურიძე:**

— საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტს ამიერიდან ეყოლება არა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, არამედ, რექტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უფლება-მოვალეობანი უფრო გაფართოვდა. ამავე დროს, ალსანიშნავია, რომ რექტორის არჩევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს უნივერსიტეტის დამოუკიდებლობასა და ავტონომიას, რაც უნივერსიტეტის თანამშრომელთა დიდი ნაწილის მოთხოვნა და სურვილი იყო.

საერთოდ, უნივერსიტეტის საქმიანობა ყველა ნორმალურ ქვეყანაში უკავშირდება ავტონომიის პრინციპს. ამას საფუძვლად უძევს ცნობილი მოაზროვნის იასპერსის თვალსაზრისი, რომელიც მან გამოხატა ნაშრომში „უნივერსიტეტის შესახებ“, სადაც ლაპარაკია უნივერსტეტსა და სახელმწიფოს,

მე-5 გვერდზე

# ომს ხარისხიანი გენერლები იგებენ

## ინტერვიუ პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარესთან ნოდარ გრიგალაშვილთან

პირველი გვერდიდან

რექტორის არჩევის შემდეგ ისევ გაკეთდა მსგავსი პოლიტიკური განცხადებები. უნივერსიტეტთან მიმართებაში კანონი ნათლად განსაზღვრავდა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში უნივერსიტეტის ავტონომია შეზღუდული იყო, მაგრამ გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტს ენიჭება სრული ავტონომია.

ამის პირველი ეტაპია უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ აკადემიური საბჭოს არჩევა და უკვე აკადემიური საბჭოს მიერ რექტორის არჩევა. სახელმწიფოს არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა და არც სურვილი გააჩნდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო გარედან დაენიშნა ან საბჭოში სასურველი წევრები აერჩია. განცხადება, რომ რექტორის არჩევით უნივერსიტეტის ავტონომია დასამარდა, აბსურდულია. ძველი კანონით რექტორს მართალია ირჩევდნენ, მაგრამ მას საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებდა. ამჟამად 1919 წლის შემდეგ პირველად აირჩიეს რექტორი, რომლის დამტკიცება ან არ დამტკიცება ჩვენზე — პარლამენტზე, არც სამინისტროზე და არც პრეზიდენტზე არ არის დამოკიდებული.

არის თუ არა რაიმე გულდასაწყვეტი იმაში, რომ უნივერსიტეტმა რექტორად გიორგი ხუბუა აირჩია, მიუხედავად იმ ლანძღვა-გინებისა, რაც ოპონენტებისგან მისი მისამართით ისმოდა. პირადად მე, დიდი ხანი არ არის, რაც მას ვიცნობ, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში მასზე ჩემი შეხედულება ჩამოყალიბდა. ჩემი აზრით, იგი ნამდვილად ღირსეული რექტორი იქნება. მას აქვს ყველა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს რექტორს: პატიოსნება, განათლება, თავმდაბლობა, მოყვასის სიყვარული, ადამიანის სიყვარული — ეს ყველაფერი თქვენს რექტორს გააჩნია. ის არის ერთერთი წარჩინებული, წარმატებული მეცნიერი, არის პრინციპული და პატიოსანი ადამიანი. მართალია, მის წარდგენაში, როგორც პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, არც ჩავრეულვარ, მაგრამ არ დაგიმალავთ — მისი არჩევით კმაყოფილი დავრჩი.

**— საინტერესოა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მიმართ თქვენი დამოკიდებულება. აკეთებენ აქცენტს იმაზე, რომ მაგისტრატურა და დოქტორანტურა თითქმის აღარ არსებობს, რომ ბაკალავრიატი სტუდენტს სპეციალისტად მომზადების საშუალებას არ აძლევს. განათლების კომიტეტს რა პოზიცია აქვს საუნივერსიტეტო რეფორმასთან დაკავშირებით?**

— განათლების კომიტეტმა თავისი პოზიცია წარმოადგინა კანონით ,,უმაღლესი განათლების შესახებ". მასში ყველაფერი გაწერილია ბაკალავრიატთან და მაგისტრატურასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში რეფორმები დიდი წინააღმდეგობის ფონზე წარიმართა. ამ რეფორმებს თან ახლდა შეცდომები, როგორც განათლების სამინისტროს მხრიდან, ისე რექტორატის მხრიდანაც. მაგალითად, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიღებამდე უნივერსიტეტში დაიწყო ბუნტი იმის გამო, რომ კანონში ჩადებული მთელი რიგი მუხლები უნივერსიტეტის პროფესურას და სტუდენტებს არ მოეწონათ. ბუნებრივია, ეს მათი ბრალი არ იყო. კანონპროექტი შევასწორეთ, მაგრამ პროტესტანტული ტალღა მაინც დარჩა. აღმოჩნდა, რომ მათ მხოლოდ კანონი კი არ აინტერესებდათ, არამედ კანონი და მისი მუხლები რევანშისტული ძალებისათვის ბუნტის საბაბი იყო. მე არ უარვყოფ შეცდომებს, რომელიც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაუშვა, მაგრამ საბოლოო ჯამში იგივე უნივერსიტეტის ინტერესები მოითხოვდა, რომ რადიკალური პოზიციები და მხარეთა ხედვები უნივერსიტეტის სასიკეთოდ ერთმანეთთან დაახლოებულიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, დაპირისპირებამ უკიდურესი ხასიათი მიიღო, რაც შიმშილობასა და მჯდომარე თუ მდგომარე აქციებში გადაიზარდა.

ამ მხრივ უნივერსიტეტი ცხელი წერტილი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ამან ვერ არგო ვერც დაპირისპირებულ მხარეს და ვერც რეფორმის მსვლელობას.

მე თავის დროზე პარლამენტის ტრიბუნიდანაც განვაცხადე, რომ კომისიებმა, რომლებმაც კონკურსის ჩატარების დროს იმუშავეს, ბოლომდე ობიექტურნი და პრინციპულები არ აღმოჩდნენ. მათ მუშაობას მთელი რიგი ნაკლოვანებები ახლდა. ეს ნაკლოვანებები ადამიანთა ბედზე ,,გადატყდა". შტატში ბევრი ისეთი პროფესორი ვერ აღმოჩნდა, რომელსაც თავისი ცოდნით და ცხოვრების წესით ეს ეკუთვნოდა. ამ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია დღესვე — ეს პროფესორები უნივერსიტეტს შეუძლია მოიწვიოს. რამდენადაც ვიცი, პროცესი უკვე დაწყებულია.

**2007 წლის ივლისის შემდეგ უნივერსიტეტის ცხოვრებაში გარდამავალი პერიოდი მთავრდება. ის სრულ ავტონომიას იღებს. ევროპაში ძალიან ცოტას ნახავთ ისეთ კანონს, რომელიც უმაღლეს დაწესებულებას ასე ფართო მასშტაბის ავტონომიას ანიჭებს. ანუ, უნივერსიტეტს თავად შეუძლია კონკურსების გამოცხადება, თანამშრომლების შერჩევა, დატოვება, გაშვება, ახლის მოყვანა — ყველაფერი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელში გადადის.**

თუ ვინმეს გიორგი ხუბუა არ მოსწონს და ამის გამო თვლის, რომ უნივერსიტეტი მისმა მოსვლამ დაასამარა, ასევე წარმატებით შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, რომ იმ ვინმეთაგან რექტორად რომელიმე მათგანი რომ აერჩიათ, უნივერსიტეტი სწორედ მაშინ დასამარდებოდა. მთავარია პროცესები კანონის მიხედვით გაგრძელდეს. პროფესურა და სტუდენტები თავიანთ ბედს თავად წყვეტენ. 2007 წლის ივლისის შემდეგ სახელმწიფოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არანაირი შეხება არ ექნება, გარდა იმისა, რომ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ — სტუდენტის სწავლის რა ფასსაც დაადგენს უნივერსიტეტი, ის გადავუხადოთ. შემდგომში ფასის დადგენაც კი მისი კომპეტენცია იქნება. ამჟამად ფასი სახელმწიფოს მიერაა დადგენილი, რის გამოც კერძო სასწავლებლებთან შედარებით სახელმწიფო უნივერსიტეტი უარეს მდგომარეობაში იმყოფება. ასე რომ, უნივერსიტეტს მიეცემა (კანონით ასეა განსაზღვრული) უფლება, რომ არა მხოლოდ თავად შეიმუშაოს თავისი ბიუჯეტი და თავად ხარჯოს, არამედ თავად დაადოს ფასი საკუთარ შრომას.



რაც შეეხება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პრობლემას, უნდა ითქვას, რომ ამდენ ორომტრიალში სწავლების პროცესი დაზარალდა. საჭიროა, მშვიდ ატმოსფეროში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დაჯდეს და ეს პროცესები გამოასწოროს, რათა სტუდენტს ჰქონდეს განცდა იმისა, რომ ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, თუ კარგად ისწავლის, მაგისტრატურასა და შემდეგ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პრობლემა არ ექნება. კანონით ეს განსაზღვრულია, ახლა ეს საკითხები პრაქტიკულად არის გადასაწყვეტი.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 2010 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითდაფინანსებაზე გადასვლა იგეგმება. ამ საკითხში გარკვევა აკადემიური საბჭოს წევრებსაც აინტერესებთ. მათ სწორედ რექტორის არჩევნებისას დასვეს ეს კითხვა: როგორი იქნება სახელმწიფოს როლი?**

— თვითდაფინანსებაზე გადასვლა არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტზე ან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაზე სახელმწიფო ხელს იღებს და მას აღარ დააფინანსებს. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ მხოლოდ საკუთარი სახსრებით ევროპული დონის საუნივერსიტეტო სკოლა ჯერჯერობით ვერ შეიქმნება. აქ ხაზია გასმული ფინანსურ ავტონომიაზე და არა იმაზე, რომ მათი ბიუჯეტი მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ მოძიებული თანხებით შეივსება და სახელმწიფო ხელს დაიბანს. პირიქით მოგახსენებთ: ჩვენ მას ვაფინანსებთ სტუდენტის მეშვეობით, სტუდენტს ვაძლევთ ფულს და უნივერსიტეტში სახელმწიფოს ფული ამ გზით შედის. კონსტიტუციურადაც გარანტირებულია, რომ სახელმწიფო უმაღლეს განათლებას კანონით განსაზღვრული წესით აფინანსებს, ამიტომ, ვინც სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხება, და მაღალ ქულებს მიიღებს, მას კვლავინდებურად სახელმწიფო დააფინანსებს და ეს დაფინანსება იქნება ბევრად უფრო მეტი, ვიდრე დღეს არის.

გარდა ამისა, საქართველოში სამეცნიერო ფონდი მუდმივად იარსებებს. წლევანდელი წლიდან დაიწყება ქართველოლოგიაში, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებში გრანტების გაცემა. ეს ფონდი არ არის განსაზღვრული მხოლოდ 2010 წლამდე. ის მუდმივად იქნება და მეცნიერები, რომლებიც გრანტზე წარადგენენ თავიანთ ნაშრომებს, გრანტს მიიღებენ. ჩვენი ამოცანა არის მეცნიერებისა და სწავლების შერწყმა. ტრადიცია იმისა, რომ ადამიანი ლექტორი იყო, არაფერს წერდე და არაფერს ქმნიდე, მაინცდამაინც არ არის გამართლებული. უნივერსიტეტის ის პროფესურა, რომელიც ცოდნის გაცემასთან ერთად ახალსაც ქმნის, მიიღებს გრანტს. ასე რომ, სახელმწიფოსაგან დაფინანსების შეწყვეტაზე საუბარი არასწორია.

კუდრაჭა გოგონებისთვის მასწავლებლების მიერ დისერტაციების დაწერა უნდა გამოირიცხოს. **რეფორმის ამოცანა არ არის ის, თუ რამდენი გენერალი გვეყოლება. ბევრი გენერალი არ იგებს ომს, ომს ხარისხიანი გენერლები იგებენ! რეფორმის ამოცანაა — გვყავდეს ხარისხიანი მეცნიერები. ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა ახალგაზრდებმა გადაწყვიტონ მეცნიერებაში წასვლა. პერსპექტივები გამოჩნდა იმ აზრით, რომ ნათლიმამობით ველარავინ ვერავის დანიშნავს, ყველგან კონკურსი ცხადდება — ეს ნიჭიერი ადამიანის წისქვილზე ასხამს წყალს,** მაგრამ მატერიალური თვალსაზრისით ახალგაზრდების დაინტერესებას ჯერ ვერ მოვახერხებთ, თუ ამ მიმართულებით არ ვიფიქრეთ.

**— ჩვენ 14-ში ძველით ახალ წელს აღვნიშნავთ. რას უსურვებთ უნივერსიტეტს ახალ 2007 წელში გარდა სრული ავტონომიისა?**

— დოსტოევსკის ნათქვამს მოვიშველიებ: — ყველანი გოგოლის შინელიდან ვართ გამოსულიო. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც უნივერსიტეტის შინელიდანაა გამოსული. თუ ვინმეს მიმართ გვაქვს მადლიერების გრძნობა, ესენი არიან ჩვენი მასწავლებლები. მათგან ზოგი აღარ არის ამქვეყნად, ზოგი კვლავ მოღვაწეობს ღვთის მადლით და მინდა მათ დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო. ერთხელ ფოლკლორისტიკის კათედრიდან გიორგი (იურა) ჯაფარიძემ მითხრა (შეიძლება ახალმა თაობამ აღარ იცოდეს, ვინ იყო ეს კაცი): — ,,უნივერსიტეტი იმ წმინდა მდინარეს ჰგავს, რომელსაც გზა და გზა წყლების სახით შეიძლება ბევრი ჭუჭყიანი შენაკადი უერთდებოდეს, მაგრამ ეს წმინდა ნაკადულია, რომელიც ყველაფერს წმინდავს და ბოლოს ისევ ანკარა რჩება". უნივერსიტეტს ბევრი ზიგზაგი გადაუტანია, მაგრამ თვით უნივერსიტეტის იდეა იმდენად მაღალი და ლამაზია საქართველოში, იმდენად ახლობელია ყველა ოჯახისთვის, რომ დღემდე საერო ტაძრის ფუნქციას ასრულებს. როცა ადამიანი უნივერსიტეტში შედის, ინსტიქტურად ქუდს იხდის. ეს არც ერთ დაწესებულებაში არ ხდება. თვითონ შენობაში შესვლისთანავე კაცს თითქოს უცხო ძალა აიძულებს — ქუდი მოიხადოს. ამით ქუდს უხდი ილია ჭავჭავაძეს, რომლის იდეა სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, ქუდს უხრი ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილს. საქართველოც ხომ მათ შექმნეს... უნივერსიტეტის პირველმა თაობამ შექმნა საქართველო. უნივერსიტეტი ის ნაღვერდალია, ნაცარში რომ იმალება და მაშინვე ცეცხლად აინთება, როგორც კი სულს შეუბერავ.

კომუნისტების დროს, როგორც კი საშუალება მიეცა ქართველ ხალხს, სწორედ იქ დაჰბერა სული და ის ნაღვერდალი ცეცხლად აინთო. 70-იან წლებში დაწყებული (უფრო სწორად, აღდგენილი) ეროვნული მოძრაობა, სათავეს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იღებს. არასოდეს იმდენი ადამიანი ქუჩაში იმპერიის წინააღმდეგ არ გამოსულა, რამდენიც გამოვიდა 1978 წლის 14 აპრილს. ისეთი მთლიანი საქართველო არასოდეს უნახავთ. ზარები რეკდნენ. ასე რომ, ქართველი ერის გადარჩენაში უნივერსიტეტს ძალიან დიდი როლი აქვს ნათამაშები, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თუ ვინმეს ჭკუა მოეკითხება — ყველა უნივერსიტეტელია.

დღეს კარგია, თუ უნივერსიტეტს ეს ფუნქცია აღარ აქვს. ნორმალურ გარემოში მას უნდა ჰქონდეს ის ფუნქცია, რაც ეკისრება სასწავლებელს. დღეს მას ევალება, მისი გაზრდილი სტუდენტი იყოს უფრო მაგარი, ვიდრე ბერლინში, ლონდონში, ნიუ-იორკში გაზრდილი ახალგაზრდა. ჩვენ ვერასდროს დავეწევით ამ ქვეყნებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინფრასტრუქტურით... ჩვენი ბავშვი კი მათზე ნაკლებად ნიჭიერი არ არის. ბავშვი დაუწერელი დაფაა, მათიც და ჩვენიც. ამ დაფაზე ვინ უფრო ოსტატურად დაწერს, ვინ უფრო მეტ ცოდნას მისცემს, ის გახდება უფრო მაგარი მოქალაქე. დღეს უნივერსიტეტს შეუძლია, რომ ამით დავეწიოთ ევროპას — ეს იქნება საქართველოსთვის ბრძოლა!

---

ინტელექტუალთა აზრით

# რექტორის დაუწერელი კონცეფცია – უხუცესთა მოსმენა

მეოთხე გვერდიდან

ანდა უნივერსიტეტსა და მეცენატს შორის ურთიერთობაზე, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის ავტონომიის ხელშეუხებლობას.

სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტი ამჟამად შორს არის ამისაგან. იგი დამოკიდებული გახლავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობაზე, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ და ვისურვოთ, რომ დროთა განმავლობაში უნივერსიტეტმა მიაღწიოს თავის მიზანს — დამოუკიდებლობას.

ახლა რაც შეეხება ახალი რექტორის საქმიანობას — რას ველით მისგან. მე იმედი მაქვს, რომ, უწინარეს ყოვლისა, მოხერხდება უნივერსიტეტში თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის დაბრუნება. ასეთი ნაბიჯი რექტორმა უკვე გადადგა — მოიწვია ზოგიერთი ისეთი სპეციალისტი, რომელთა საქმიანობა ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერად იყო დაკავშირებული უნივერსიტეტთან. ისიც მინდა დავსძინო, რომ ამ შემთხვევაში რექტორმა გაითვალისწინა მრჩეველთა საბჭოს თხოვნა.

გარდა ამისა, უსათუოდ უნდა აღდგეს და გაიშალოს სამეცნიერო მუშაობა, უნივერსიტეტი არ შეიძლება დავიყვანოთ კოლეჯის დონეზე. იმის იმედიც მაქვს, რომ შეკოწიწებული საფაკულტეტო სისტემა — 23-დან 6-მდე რომ დავიყვანეთ, კვლავ გადაისინჯება და ფაკულტეტთა რაოდენობა შედარებით გაიზრდება. ასევე, უნდა მოხერხდეს ზოგიერთი სპეციალობის აღდგენა. უნივერსიტეტში აღარ იკითხება ბევრი სპეციალური კურსი, ზოგიერთი საგანი საერთოდ ამოგდებულია სასწავლო პროგრამიდან... ამის შესახებ პრინციპული მსჯელობაა საჭირო — რა საგნები უნდა შევიტანოთ სასწავლო პროგრამაში, რა სახით, რა მოცულობით... ვფიქრობ, რექტორი მოინდომებს სერიოზულად გადასინჯოს სასწავლო პროგრამა.

აქვე აღვნიშნავ ჩემთვის ძალზე სასიამოვნო ფაქტს — სამეცნიერო ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში დაკარგული იყო, როგორც სტუდენტებისათვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. რამდენადაც ვიცი, რექტორს განზრახული აქვს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაუბრუნოს უნივერსიტეტს და ახალი კორპუსი აშენდეს პირველი კორპუსის ეზოში. ასევე, გადაწყდა, მუშაობა განაახლოს უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

პრესის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩამოაჭრის 10 მილიონ ლარს. თუ ეს ეკონომია გავრცელდა ჩვენს უნივერსიტეტზე, მაშინ ძალიან გაძნელდება ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება, რაც უარყოფითად იმოქმედებს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაზე.

ოთარ ჯაფარიძე:

— არჩევნებს რაც შეეხება, რა კანონიც იყო დადგენილი, იმ კანონის ჩარჩოებში ჩატარდა.

სამწუხაროდ, რექტორის პროგრამას არ ვიცნობ. დრო გავა და მისი მუშაობის შედეგებიც გამოჩნდება.

თეიმურაზ იოსელიანი:

— ჩემთვის სასიხარულოა, რომ არჩევნებზე ბატონმა გიორგიმ აკადემიური საბჭოსაგან ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. ვემხრობი საუნივერსიტეტო რეფორმას და იმედი მაქვს, რომ დაწყებულ საქმეს რექტორი ბოლომდე მიიყვანს. მე მასთან პირად საუბარშიც აღვნიშნე და მინდა იცოდეს, რომ თუკი დაჭირდება, მზადა ვარ მთელი ჩემი ენერგიითა და შესაძლებლობებით დავუდგე მხარში.

გიორგი ტყეშელიაძე:

— უნივერსიტეტის რექტორებად ყოველთვის გამოჩენილი მეცნიერები იყვნენ. ამჯერად ჩვენ ავირჩიეთ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც გამოირჩევა პატიოსნებითა და ზნეობრიობით, სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის ღრმა ცოდნით, საკმაოდ ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილებითა და ადმინისტრაციული მართვის უნარით, რაც მან დაადასტურა აკადემიის სისტემაში სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელობისას. ასე რომ, წინაპირობები არსებობს და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამის გათვალისწინებით, უნივერსიტეტს ეყოლება სასახელო რექტორი. ღმერთმა ასე ინებოს!

ვაჟა ოკუჯავა:

— არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და ძალიან კარგია, რომ ჩატარდა. მთავარია, როგორი პიროვნება ავირჩიეთ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე.

პროფესორ ხუბუაზე, რაც მე ვიცნობ და მიხდება მასთან თანამშრომლობა, ძალიან დადებითი შთაბეჭდილება მაქვს. როგორც ადმინისტრატორი, როგორც მოქალაქე, როგორც პროფესიონალი, ის ყოველ მხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც შეიძლება წავუყენოთ წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელს.

უნივერსიტეტში, ისე როგორც ჩვენს ცხოვრებაში, ახლა დიდი რეფორმები მიმდინარეობს. მე ვხედავ, რომ ბატონი გიორგი ჯერჯერობით გონივრულად მართავს სასწავლებელს და იმედით ვუყურებ, რომ მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის საქმე კარგად წარიმართება.

ახლა ჩვენი მთავარი მიზანია, რომ თბილისის უნივერსიტეტი კარგად შეეთვისოს თანამედროვე ევროპულ საუნივერსიტეტო სისტემას. ეს არის ძალიან კარგი ჩანაფიქრი, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს იქამდე, რომ ჩვენი უნივერსიტეტი აღიარონ ნებისმიერი მოწინავე ევროპული უნივერსიტეტის თანატოლად, ხოლო ჩვენი კურსდამთავრებულები — ისეთი დონის სპეციალისტებად, როგორც ნებისმიერი სხვა ევროპული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. უფრო მეტიც, მე იმედი მაქვს, რომ იქნება სტუდენტების ინტენსიური გაცვლა მსოფლიოს სხვა და სხვა უნივერსიტეტში. თბილისის უნივერსიტეტი იმდენად მოწინავე უნდა იყოს, რომ უცხოელმა ახალგაზრდობამ აქ სწავლა, ან სწავლის რაღაც მონაკვეთის გატარება ისურვოს.

რას ველი, პირადად მე, ბატონი გიორგისაგან? თქვენ იცით, რომ თანამედროვე უმაღლესი განათლებისათვის ერთერთი მთავარი ფაქტორი არის განათლების მეცნიერული დონე. მეცნიერების გარეშე ჭეშმარიტი უმაღლესი განათლება და სპეციალისტის აღზრდა შეუძლებელია. სწავლის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს სამეცნიერო კვლევის მაგალითზე და სამეცნიერო კვლევის პროცესში. მე ველი, რომ ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან საუნივერსიტეტო მეცნიერებას ძლიერი მხარდაჭერა ექნება.

# ევროკავშირისთვის უკრაინასა და თურქეთზე წინ ვართ

## ინტერვიუ პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან

პირველი გვერდიდან

ამის თაობაზე ხელისუფლება ღიად საუბრობს და აცხადებს, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლის და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მოქმედებას. ეს შეთანხმება მოიცავს პოლიტიკურ დიალოგს და თანამშრომლობას საკანონმდებლო, ვაჭრობის, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. ამ კუთხით განსაკუთრებულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 2006 წლის ოქტომბერში ხელმოწერილი ევროკავშირის „სამეულის“ და საქართველოს ერთობლივი განცხადება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შეთანხმების თაობაზე.

ამ პროცესების თანდათანობით დარეგულირებასა და საქართველოს ევროპაში დამკვიდრების პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **დავით ბაქრაძე:**

**— ბატონო დავით, რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანებით ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების მორიგი ეტაპი. რა წინაპირობები დააკმაყოფილეს ამ ქვეყნებმა ამისათვის?**

— ევროკავშირში გაფართოების საკითხი, ფაქტობრივად, შექმნის დღიდან იდგა. დღეს მის შემადგენლობაში, რუმინეთისა და ბულგარეთის ჩათვლით, უკვე 27 წევრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი დაარსებიდან გეგმავდა ზრდას. ყველაზე ცნობილი გაფართოების ტალღა ცივი ომის დასრულებას მოჰყვა, როდესაც ევროკავშირს ერთბაშად ათი ახალი წევრი დაემატა. ეს იყო 2004 წელს. გაფართოების ტალღამ, რომელიც უპრეცედენტოდ დიდი აღმოჩნდა, გარკვეული პრობლემები გამოიწვია.

გაწევრიანების დროს ნებისმიერი სახელმწიფო უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ფორმალურ და არაფორმალურ კრიტერიუმებს. ფორმალური კრიტერიუმებია ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმები, რომელიც გულისხმობს, რომ სახელმწიფოში უნდა იყოს ლიბერალური დემოკრატია, ფუნქციონირებდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, არსებობდეს საბაზრო ეკონომიკა. სახელმწიფოს უნდა შეეძლოს ევროკავშირის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება და მისი კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას.

ამის გარდა, არსებობს არაფორმალური კრიტერიუმები, რომელთაგან პირველი და მთავარია ევროკავშირის პოლიტიკური ნება. ზემოთ ნახსენებ ათწევრიან გაფართოებას პოლიტიკური ნება კი ახლდა, მაგრამ პრობლემები მაინც მოჰყვა — ათივე ახალ წევრ სახელმწიფოში ცხოვრების ეკონომიკური სტანდარტი დღემდე უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის ტრადიციულ წევრებში. ამიტომ ძალიან ბევრმა დასავლეთ ევროპაში გაფართოება გარკვეული პრობლემების დამატებად აღიქვა. ამით ევროკავშირმა, ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნის მიზნით, ახლადშემოერთებულ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის ზრუნვა იტვირთა.

იმის გამო, რომ ევროკავშირში ათი ქვეყნის ერთდროული ინტეგრაცია და პირობების გაუმჯობესება დასავლეთ ევროპისთვის მართლაც ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს, გაჩნდა ე. წ. გაფართოების მიმართ ფრთხილი განწყობა. გამონაკლისი იყო ბულგარეთი და რუმინეთი. აქ იმოქმედა პოლიტიკურმა ნებამ — ბულგარეთსა და რუმინეთს თავის დროზე დაპირდნენ, რომ რეფორმების გარკვეული გზის გავლის შედეგად ამ ორ ქვეყანას ევროკავშირში მიიღებდნენ.

ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრიანებით ევროკავშირში გარანტირებული დაპირებული გაწევრიანების ტალღა დასრულდა. ამჟამად ევროკავშირში ახალი სახელმწიფოს გაწევრიანება დამოკიდებულია ფორმალურ, ანუ კოპენჰაგენის კრიტერიუმებზე — რამდენად არის ეს ქვეყანა დემოკრატიული, რამდენად განვითარებული ეკონომიკა აქვს და ა. შ.

როგორც აღვნიშნე, ევროკავშირში გაწევრიანებისთვის დიდ როლს თამაშობს არაფორმალური კრიტერიუმები — 1) პოლიტიკური ნება, თუ რამდენად არის მზად ევროკავშირი და, პირველ რიგში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, განიხილონ ესა თუ ის ქვეყანა, როგორც მომავალი კანდიდატი და მომავალი გაფართოების ნაწილი; 2) ევროკავშირის „შეწოვის უნარი“. რას ნიშნავს ეს? — ნებისმიერი ახალი ქვეყნის გაწევრიანება ევროკავშირში იწვევს ამ ქვეყნის ინტეგრაციას ევროკავშირის ყველა სტრუქტურაში. შეწოვის უნარი კი ნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს ისეთი გაწევრიანება, პრობლემას რომ შეუქმნის ევროკავშირს. ათი ახალი წევრის მიღებამ გამოიწვია დიდი რაოდენობის მოსახლეობის დამატება ევროკავშირის მოსახლეობაზე. თუ ეს შექმნიდა პრობლემას არსებული საემიგრაციო სისტემის, შრომითი ბაზრის ან სხვა მექანიზმისთვის, მაშინ ევროკავშირში გაერთიანება არ მოხდებოდა. **ნებისმიერი ახალი წევრი უნდა იქნას მიღებული მაშინ, როცა ევროკავშირი მზად არის უმტკივნეულოდ მოახდინოს ახალი წევრის ინტეგრაცია ყველა სტრუქტურაში.**

მოსახლეობის მომატება მარტივი მაგალითია. უფრო სერიოზულ მაგალითს წარმოადგენს ფინანსები. ევროკავშირი, ფაქტობრივად, ერთიან საფინანსო სივრცეს წარმოადგენს. მის შიგნით ხდება კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება და თუ რომელიმე ახალ ქვეყანას არ აქვს მდგრადი ეკონომიკა, მაშინ შეიძლება ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა საფრთხე შეუქმნას ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებსაც. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახალი გაფართოებისთვის ევროკავშირს შეწოვისა და ინტეგრირების უნარი უნდა გააჩნდეს. ეს ორი კრიტერიუმი — პოლიტიკური ნება და შეწოვის უნარი, ერთად განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკას და ამის მიხედვით გამოიკვეთება, თუ რომელი ქვეყნები მოხვდებიან შემდგომი გაფართოების ტალღაში.

**— აქედან გამომდინარე, სტაბილიზაციის და ასოცირების პროცესში მყოფი ქვეყნები, როგორიცაა ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები, შესაძლოა, ვერ გადავიდნენ შემდგომ ეტაპზე?**

— რაც შეეხება ბალკანეთის სახელმწიფოებს, აქ იმუშავა ერთმა კრიტერიუმმა — ევროკავშირის პოლიტიკურმა ნებამ, რომლის გამოც ის თავის დროზე დაჰპირდა ამ ქვეყნებს, რომ მათ გააწევრიანებდა. ეს ევროკავშირის მხრიდან იყო პოლიტიკური ჟესტი, რასაც ბალკანეთში ომების დასრულების და მშვიდობიანი მეზობლური ურთიერთობის განვითარების სტიმული უნდა გაეჩინა. თუმცა, ჯერჯერობით, ბალკანეთის ქვეყნებს ძალიან უჭირთ კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება — ამ ქვეყნების ვერც ეკონომიკური განვითარების დონე და ვერც პოლიტიკური სისტემის მდგრადობა ვერ პასუხობს კანდიდატის კრიტერიუმებს. ასე რომ, პოლიტიკური ნება და პირობა კი არსებობს, მაგრამ ეს იქნება ხანგრძლივი, დროში გაწელილი პროცესი.

**— ამის პარალელურად, არსებობს სახელმწიფოები, სადაც მეტ-ნაკლებად ყველა წინაპირობაა ევროკავშირში გასაწევრიანებლად, მაგალითად, თურქეთი და უკრაინა. ამ ქვეყნების გაწევრიანების პერსპექტივაზე რა შეიძლება ითქვას?**

— ამ ქვეყნებში პრინციპულად განსხვავებული პრობლემებია. რაც შეეხება უკრაინას, იგი ვერც პოლიტიკური მდგრადობის თვალსაზრისით, ვერც ეკონომიკური განვითარების კუთხით, ვერც რეფორმების მიმდინარეობის ინტენსივობით, ჯერჯერობით, ვერ აკმაყოფილებს კანდიდატობასთან დაკავშირებულ სტანდარტს. გარდა ამისა, სწორედ ამ ტიპის ქვეყნებზე მოქმედებს შეწოვის უნარი, რომელიც ზემოთ ვახსენე. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ან სლოვენია, გაწევრიანების დროს ეს არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ 50-70 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყნების შეწოვის უნარი ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოიდგინეთ, უკრაინისა და თურქეთის მიერთებით, ევროკავშირს ემატება დაახლოებით 130 მილიონი ადამიანი. ეს არის უზარმაზარი ნამატი და ევროკავშირი მზად უნდა იყოს, რომ ამ მასშტაბის ქვეყნების უმტკივნეულო ინტეგრაცია შეძლოს. დღეს ევროკავშირი აცხადებს, რომ ამისთვის ჯერ მზად არ არის.

როცა უკრაინაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის წინააღმდეგობას ქმნის, ასევე, პოლიტიკური მდგრადობისა და ეკონომიკური განვითარების დონე, დემოკრატიის ხარისხი და უნარი, რომ უკრაინის ეკონომიკა უმტკივნეულოდ გახდეს ევროკავშირის ეკონომიკის ნაწილი. ამ ზომის ეკონომიკის სათანადო დონეზე აყვანა ძალიან მძიმე ტვირთი იქნება ევროკავშირისთვის, რასაც ის, ამ ეტაპზე, ვერ მოერევა.

რაც შეეხება თურქეთს, ცოტა ხნის



წინ იქ იდგა ეკონომიკის პრობლემაც, მაგრამ 4-5 წლის წინანდელთან შედარებით, როდესაც არსებობდა ინფლაცია, პერიოდული ეკონომიკური კრიზისები და ა.შ., თურქეთმა მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა. ახლა ევროკავშირს თურქეთთან მიმართებაში სხვა პრეტენზიები გაუჩნდა. ეს შეეხება ქვეყნის დემოკრატიულობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ხარისხს. **ანუ, თუ უკრაინის შემთხვევაში უფრო ეკონომიკური პრეტენზიები არსებობს, თურქეთთან მიმართებაში, ძირითადად, პოლიტიკური პრეტენზიებია, თუმცა ამ ორ ქვეყანას საერთოც აქვს — ორივე დიდი ქვეყანაა და ორივე შემთხვევაში ევროკავშირს სჭირდება სპეციალური მომზადება ამ ქვეყნების უმტკივნეულო ინტეგრირებისათვის.**

**— ცნობილია, რომ საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების პრეტენზია ჯერ არ აქვს და არც ამის წინაპირობა არის, მაგრამ, სავარაუდოდ, რომელ ქვეყანას შეიძლება მიგვაბან, ან რამდენ ხანში დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში?**

— რაც შეეხება ჩვენს პოზიციას — ვაცხადებთ, რომ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი მაშინ, როცა საქართველოც და ევროპაც მზად იქნებიან ამისთვის. არ არის დასამალი, რომ საქართველოს ჯერ ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და უახლოესი 4-5 წლის მანძილზე ინტენსიური და აგრესიული რეფორმები უნდა გავაგრძელოთ.

არც ის არის დასამალი, რომ ევროკავშირი არ არის მზად, აიღოს ახალი პოლიტიკური ვალდებულებები და რომელიმე ქვეყანას გაწევრიანების გარანტია მისცეს. ისევ და ისევ ათწევრიანი მოუმზადებელი გაფართოებიდან გამომდინარე, რომელმაც გამოიწვია შიდა პოლიტიკური პრობლემები დასავლეთ ევროპაში, ეკონომიკური სტაგნაცია საფრანგეთსა და გერმანიაში, კონსტიტუციური რეფერენდუმის უარყოფითი შედეგები საფრანგეთსა და ჰოლანდიაში, ევროკავშირი თავს იკავებს ახალი ვალდებულებების აღებაზე. ამიტომ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ უახლოეს პერიოდში მზად ვართ ევროკავშირთან ვითანამშრომლოთ სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში და გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობები.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას სერიოზული წინააღმდეგობები არ უნდა შეხვდეს, რადგან ამისთვის ის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს. მაგალითად, თუ ავიღებთ მაკროეკონომიკურ და ფისკალურ მაჩვენებლებს, თუნდაც ბიუჯეტის ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით, საქართველო ბევრად უფრო წინ არის, ვიდრე ზოგიერთი ევროკავშირის წევრი ან ახლადგაწევრიანებული ქვეყანა. ასევე, თუ შევხედავთ პოლიტიკურ სისტემას, დღეს საქართველოს მიმართ არ არსებობს ბევრი ის პრეტენზია, რომელსაც ევროკავშირი უყენებს კანდიდატის სტატუსის მქონე თურქეთს. გარდა ამისა, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და შეწოვის თუ ინტეგრირების პრობლემა ევროკავშირში, ეკონომიკური თვალსაზრისით, არ დგას. თუ ტერიტორიული მთლიანობის არარსებობის პრობლემას განვიხილავთ, აქაც არ გვაქვს სხვაზე ცუდი მდგომარეობა, რადგან ევროკავშირში მიიღეს კვიპროსი, რომელსაც არათუ მთლიანობა აქვს დარღვეული, არამედ, საერთოდ, შუაში გაყოფილი სახელმწიფოა. ამ ქვეყანასთან მიმართებაში ევროკავშირმა დაუშვა, რომ მიეერთებინა გაყოფილი სახელმწიფოს ნახევარი.

ამით იმის თქმა მინდა, რომ პრინციპული პრობლემა არ არსებობს, გარდა იმისა, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს თავისი განვითარება ევროპული მიმართულებით, ევროკავშირმა კი უნდა გადალახოს თავისი შიდა პრობლემები და ისევ გაჩნდეს მზადყოფნა ახალი გაფართოებისთვის. ეს კი დამოკიდებულია შიდაევროპულ პროცესებზე და არჩევნებზე — რა ძალები მოვლენ ხელისუფლებაში. პირველ რიგში ეს შეეხება საფრანგეთსა და გერმანიას.

საქართველოს გაწევრიანება, ნაწილობრივ, დამოკიდებულია გლობალურ მოვლენებზეც — თუ, ვთქვათ, თურქეთს უთხრეს თანხმობა, მაშინ, უბრალოდ, აღარ რჩება მიზეზი, რის გამოც არ უნდა მიიღონ საქართველო. **თურქეთთან შედარებით, ან თურქეთის დონეზე საქართველო, პრაქტიკულად, ყველა პირობას აკმაყოფილებს. ასევეა უკრაინის შემთხვევაშიც _ თუ მას უთხრეს თანხმობა, რეალურად აღარ რჩება მიზეზი, რატომ არ უნდა მიიღონ საქართველო.** ყველა ეს პროცესი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: 1) ევროპის შიგნით არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე; 2) იმ სახელმწიფოების წარმატებაზე, რომელიც წევრობის კანდიდატების რიგში არიან (იგულისხმება, პირველ რიგში, თურქეთი და უკრაინა); 3) ჩვენი შიდა რეფორმების წარმატებაზე. ამ სამი ფაქტორის კომბინაცია მოგვცემს სურათს, თუ როდის დადგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი.

**— თქვენ ახსენეთ ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. რა განსხვავებაა დღევანდელ ჩვენს საგარეო პოლიტიკასა და მაღალი ხარისხის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას შორის? რას ნიშნავს საქართველოს მიერთება ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაზე?**

— ძირითადი განსხვავება არის ის, რომ დღეს ჩვენ ვთანამშრომლობთ ინტეგრაციის პერსპექტივის გარეშე, სამეზობლო პოლიტიკა კი ითვალისწინებს ინტეგრაციის პერსპექტივას.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამეზობლო პოლიტიკა გვაძლევს ევროპულ ბაზარზე შესვლის საშუალებას. საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმების მიღწევაზე. თუ ჩვენ ეს შეთანხმება გვექნება, ქართული პროდუქცია იპოვის თავის ნიშას ევროკავშირში და ძალიან ხელსაყრელი პირობებით შევა ევროკავშირის ბაზარზე. ჩვენი პროდუქციის პლიუსი მის სიიაფეშია. თუ საქართველოში წარმოებულმა პროდუქციამ გადაიხადა ყველა გადასახადი, რომელსაც იხდის, ვთქვათ, დანიაში გამოშვებული პროდუქტი, პროდუქციას ერთნაირი ფასი დაედება და, ამ შემთხვევაში, კონკურენციას ვერ გავუძლებთ. ჩვენი პროდუქტი ევროპულ ბაზარზე შესვლისთვის, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უნდა გაათავისუფლონ გარკვეული გადასახადებიდან. მხოლოდ იაფი ქართული პროდუქტი გაუწევს კონკურენციას შედარებით ძვირ დასავლეთევროპულ პროდუქციას. ჩვენი ამოცანაც ესაა — ნაკლები დაბეგვრის პირობებში ევროპის ბაზრებზე შესვლა უზრუნველვყოთ. ეს არის თავისუფალი ვაჭრობა, რაზეც უკვე ვიწყებთ მუშაობას. თუ ამას განვახორციელებთ, ეს იქნება ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი.

მეორე სფერო, სადაც შეიძლება ინტეგრაციაზე საუბარი, ეს არის ფინანსები და კაპიტალი. თანამშრომლობიდან ინტეგრაციაზე თანდათანობით გადასვლა შეეხება ინვესტიციებს, საბანკო სფეროს და კაპიტალის მოძრაობას. ევროპაში არ აქვს მნიშვნელობა კაპიტალის წარმომავლობას. არის ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც თავისუფლად ხდება დაბანდებაც, მოძრაობაც, ფისკალური ოპერაციებიც და ა. შ.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან მიერთებით საქართველო ხდება არა მხოლოდ ევროკავშირის სავაჭრო სივრცის, არამედ საფინანსო სივრცის ნაწილიც, რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია და ძალიან დაგვეხმარება შიდა ეკონომიკური და საფინანსო სივრცის განვითარებაში.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა გულისხმობს ევროკავშირის ქვეყნებში სავიზო გადაადგილების გამარტივებასაც. ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან ბევრს აწუხებს ჩვენს მოსახლეობაში. ამ ეტაპზე სავიზო რეჟიმის გაუქმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეუძლებელია, რადგან ამას მოჰყვება ძალიან მაღალი მიგრაციული პროცესები, რაც სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის, მაგრამ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და დაიწყება სავიზო რეჟიმის თანდათანობითი შემსუბუქება.

ამ კუთხით პირველი ნაბიჯი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეთათვის ვიზის ღირებულების შემცირება. ამის შემდგომ მოხდება თანდათანობითი იდენტიფიკაცია ჯგუფებისა, რომელთაც გაუმარტივდებათ ვიზის მიღების წესები. ეს ჯგუფები შეიძლება იყვნენ, მაგალითად, მოსწავლეები ან სტუდენტები, რომელთაც აქვთ მოწვევა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სასწავლებლებიდან, ბიზნესმენები, რომელთაც ჰყავთ ლეგალური ბიზნესპარტნიორი ევროკავშირის ქვეყანაში და აქვთ ერთობლივი ბიზნესი, სპორტსმენები, მეცნიერები, ადამიანები, ვინც ლეგალური, საქმიანი, კანონიერი მიზნებით მიემგზავრებიან ევროპაში.

გარდა ამისა, არის მთელი რიგი სასარგებლო საკითხები სამეზობლო პოლიტიკაში, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მაგალითად, თანამშრომლობა ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ჩართვა ევროპულ სატრანსპორტო სტრუქტურასა და ენერგეტიკულ სისტემაში.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა კონფლიქტები. ამ საკითხში, ცხადია, ევროკავშირთან ინტეგრაციას ვერ მოვახდენთ, მაგრამ სამეზობლო პოლიტიკა საშუალებას გვაძლევს უფრო მეტად ჩავრთოთ ევროკავშირი ამ საკითხის მოგვარების პროცესში. მომავალი ორი წლის განმავლობაში უნდა შევეცადოთ ევროკავშირის გააქტიურებას კონფლიქტების გადაწყვეტის პოლიტიკურ მექანიზმებში — ეს იქნება უფრო აქტიური დიალოგი რუსეთთან, საკონსულტაციო კომისიის მუშაობა თუ ნებისმიერი სხვა ფორმატი, რომელიც მუშაობს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებზე.

**— ფოთში იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ხომ არ გვხვდება წინააღმდეგობები სხვა ქვეყნების მხრიდან?**

— არანაირი წინააღმდეგობა არ არის. პირიქით, ეს იქნება ძალიან კარგი ნაბიჯი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის. თავისუფალი ეკონომიკური ზონები და თავისუფალი სავაჭრო ზონები არსებობს თვითონ ევროპაშიც და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მაგალითად, მალტა, თავისუფალი სავაჭრო და ეკონომიკური ზონების კლასიკურად განვითარებულ ქვეყანად ითვლება.

დამატებით შემიძლია გითხრათ, რომ გარდა ევროკავშირისა, მიმდინარეობს თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკება თურქეთთან, რომელიც ჯერ ევროკავშირის წევრი არ არის. ალბათ, ადვილად მისახვედრია, რომ თურქეთი ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორია და მასთან თავისუფალი და დაუბეგრავი ვაჭრობა ჩვენი ეკონომიკისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ამ კუთხით, ფოთის თავისუფალი ზონის შექმნა, მისი გეოგრაფიული განლაგებიდან და თურქეთთან სიახლოვიდან გამომდინარე, იქნება ძალიან კარგი და პრაქტიკული ნაბიჯი, რაც უფრო ინტენსიურს გახდის ვაჭრობას და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

**— რა როლი შეიძლება შეასრულოს ამ პროცესებში რუსეთმა?**

— ჯერჯერობით რუსეთი ამ პროცესში აქტიურ როლს არ თამაშობს. ალბათ, იმიტომ, რომ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხი არ დგას. სამეზობლო პოლიტიკას კი ხელს არ უშლის და ვერც შეუშლის. თუმცა მისი მხრიდან არის მუდმივი მცდელობა, რომ საქართველო წარმოაჩინოს, როგორც პრობლემური და არშემდგარი ქვეყანა. ვინც უყურებს რუსულ საინფორმაციო საშუალებებს და კითხულობს რუსულ გაზეთებს, ექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ბეწვის ხიდზე დგას და რაღაც სასწაულით ჯერ არ ინგრევა, ქვეყანა, რომელსაც აქვს ეკონომიკური პრობლემები, რომელმაც არ იცის რა უნდა პოლიტიკურად, რომელსაც აქვს კონფლიქტები, ცდილობს დაჩაგროს ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. ეს არის ქვეყნის იმიჯის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელს გვიშლის ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობის მიმართულებითაც, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს სხვა ინფორმაციის წყაროები, და ინფორმატიულად ევროპა არ არის დამოკიდებული რუსეთზე. შეიძლება ითქვას, რომ, განსაკუთრებით უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ რუსეთს ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც საკმაო წარმატებით მოვუგეთ ინფორმაციული ომი.

**ამდენად, რუსეთი საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას ხელს ვერ უშლის, თუმცა, ძალიან ბევრს ცდილობს და დიდ რესურსს ხარჯავს იმაზე, რომ საქართველოს ურთიერთობები ევროპის სხვა ქვეყნებთან შეაფერხოს.**

ვნახოთ. ჯერჯერობით ჩვენი მხრიდან ეს ქმედებები გადაფარულია და იმედი მაქვს, რომ რაც უფრო წინ წავა ევროპასთან ჩვენი ურთიერთობები, მით უფრო რთული იქნება რუსეთისთვის ასეთი ტიპის დესტრუქციული პოლიტიკის თამაში.

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები


**გიორგი ხუბუა,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი**


## შესავალი

**პირველი ქართული უნივერსიტეტი დრომ ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა. უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს დროის გამოწვევა, განავითაროს მეცნიერება, სათანადოდ მოამზადოს სტუდენტები პროფესიული საქმიანობისათვის.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს არა მარტო კონკურენტუნარიანი დაწესებულება, არამედ დაამკვიდროს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების მაღალი სტანდარტები უმაღლესი განათლების სისტემაში.**

**„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეფორმები ნაწილობრივ განხორციელებულია. ნათლად სტრუქტურირებული საბაკალავრო და სამაგისტრო სისტემა სტუდენტებს აძლევს პროფესიული ორიენტაციის უკეთეს შესაძლებლობას განსხვავებული უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით, ხელს უწყობს საერთაშორისო გაცვლების გააქტიურებას.**

**წინამდებარე დოკუმენტი აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა განვითარდეს უნივერსიტეტი უახლოესი 5 წლის მანძილზე.**

**უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის რეალიზაციისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ფორმები:**

1. **პროექტები;**
2. **ღონისძიებები;**
3. **გეგმის განხორციელების ინდიკატორები.**

**პროექტებს** ენიჭებათ უმთავრესი პრიორიტეტი გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, პროექტები მუშავდება ცენტრალურ დონეზე. პროექტებში განისაზღვრება დაწყების და დამთავრების ზუსტი დრო, დეტალური გეგმა და პროექტის განმხორციელებელი ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის შედეგებზე. პროექტები, როგორც წესი, უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით.

პროექტებისაგან განსხვავებით, **ღონისძიებები** განხორციელდება არა საგანგებოდ ჩამოყალიბებული საპროექტო ჯგუფის, არამედ შესაბამისი სამეცნიერო ან ადმინისტრაციული ერთეულის მიერ მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებთან ერთად. ღონისძიებების გატარება, როგორც წესი, არ მოითხოვს დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების ჩართვას.

**ინდიკატორების** მეშვეობით შესაძლებელი იქნება მიღებული ან მოსალოდნელი შედეგების გადამოწმება. ინდიკატორები უნდა იყოს მაქსიმალურად ინფორმატიული. ინდიკატორები განიხილება როგორც კონტროლის, ისე მიღწეული წარმატების დოკუმენტალურად წარმოჩენის საშუალება.

### I. სტრატეგიის განხორციელება

უნივერსიტეტში უნდა განისაზღვროს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების **ძირითადი მიმართულებები.** უნივერსიტეტმა უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს არსებული სამეცნიერო პოტენციალი. ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, განსაკუთრებით სპეციალობების მიხედვით, უნდა მოხდეს სისტემურად და კოორდინირებულად. უნივერსიტეტი ფაკულტეტების აქტიური მონაწილეობით განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომელიც მიზნობრივად იქნება განვითარებული ან ჩამოყალიბებული მომავალი 5 წლის მანძილზე.

უნდა განისაზღვროს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების **პრიორიტეტები და პოსტერიორიტეტები.** ამ პროცესის უმთავრესი კრიტერიუმი იქნება სწავლებისა და კვლევის **ხარისხი.**

მიუხედავად არსებული ფინანსური სიძნელეებისა, უნივერსიტეტმა უნდა შეინარჩუნოს სპეციალობათა ფართო სპექტრი. ამავე დროს, ვიწრო სპეციალობები უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალ სტანდარტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ იქნება ამ სპეციალობათა შენარჩუნებაც. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ვიწრო სპეციალობათა მინიმალური აღჭურვილობა, ასევე, მათზე რეგიონის მოთხოვნილებები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხარისხი.

უნივერსიტეტის სასწავლო დისციპლინები უნდა ითვალისწინებდეს მეცნიერების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს. მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია დაიმსხვრა დისციპლინათა ძველი, ტრადიციული სქემა, მაგრამ, უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები დღემდე დარჩა სამეცნიერო დარგების ძველი სტრუქტურის ჩარჩოებში. სამეცნიერო დისციპლინების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები უნდა აისახოს სასწავლო დისციპლინების დასახელებასა და შინაარსზეც.

უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის აქტიური თანამშრომლობის პერსპექტივები. ცალკეული დისციპლინების მიხედვით წარმოებული კვლევა უნდა გახდეს ინტერდისციპლინური გამოკვლევებისა და სწავლების ინდივიდუალური პროფილის განვითარების საფუძველი.

**განხორციელების ფორმები:**

ინტერდისციპლინური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

ახალი სასწავლო და კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა;

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ცენტრების (ინსტიტუტების) და სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება.

### II. სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება და სრულყოფა

მეცნიერებისა და კვლევის განვითარების უმთავრესი **ორიენტირი უნდა იყოს ხარისხი.** უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს კომპლექსური, რთული ამოცანების გადაჭრისაკენ მიმართულ კვლევებს, ამ კვლევების შედეგად მიღებული ცოდნის გავრცელებას და გამოყენებას. განვითარდება როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერება. ადამიანის, კულტურისა და საზოგადოების ფუძემდებლური პრობლემების შესწავლა ორიენტირებული უნდა იყოს მათ გადაწყვეტაზე. სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს ინოვაციური ცოდნის მიღება.

სამეცნიერო კვლევები უნდა განვიხილოთ როგორც ბაზისი რეგიონალური, ეროვნული და ინტერნაციონალური თანამშრომლობისათვის. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, რეგიონალური წამყვანი სამეცნიერო ცენტრის ფუნქცია და განათლების ექსპორტისაკენ მიმართული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ამბიცია.

სამეცნიერო კვლევების ხარისხზე კონტროლი მოხდება პერიოდული შიდა და გარე შეფასების, ასევე მეცნიერთა თვითშეფასების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით.

**ღონისძიებები:**

სამეცნიერო კვლევების შიდასაუნივერსიტეტო ფონდის ჩამოყალიბება.

ინტერდისციპლინური სემინარების, შეხვედრების ორგანიზება და სხვ.

ცალკეული დარგების მიხედვით სამეცნიერო კვლევების გეგმის განსაზღვრა.

უახლესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება.

სამეცნიერო კვლევების საუნივერსიტეტო შეფასების სისტემის საერთო კონცეფციის შემუშავება.

დამატებითი სახსრების მოზიდვა.

დოქტორანტების სემინარის ორგანიზება.

აკადემიური თანამდებობის დაკავებისას დამატებითი სახსრების მოზიდვის პერსპექტივის გათვალისწინება.

ინსტიტუტების, ფაკულტეტების დონეზე დამატებითი სახსრების მოზიდვის საკითხებზე ტრეინინგების, სემინარების ორგანიზება; მეთოდური ხელშეწყობა ადამიანური და ფინანსური რესურსების ადმინისტრირების პროცესში.

სამეცნიერო კვლევების ინდივიდუალური პროფილის შენარჩუნება და განვითარება.

მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კავშირის განმტკიცება.

საპატენტო სისტემის განვითარება.

არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გააქტიურება.

სტუდენტური კვლევებისათვის ხელშეწყობა.

**ინდიკატორები:**

ნაციონალური და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხარისხი და ინტენსიურობა.

უნივერსიტეტის დოქტორანტების მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავება როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

აკადემიური ხარისხის დაცვების რაოდენობა.

სტიპენდიანტების რაოდენობა.

### III. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პირობების სრულყოფა

სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს არსებული ადამიანური და ფინასური რესურსების გათვალისწინებით. უნდა ამოქმედდეს სწავლების საკითხებზე კონსულტაციების სისტემა, როგორც სტუდენტების მომსახურების ერთ-ერთი სახე. გაიზრდება აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხზე. სწავლების შინაარსი ორიენტირებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მიზნებზე და აქტუალურ სამეცნიერო კვლევებზე.

სასწავლო პროცესი ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტების თვითრეალიზაციას, უნდა ითვალისწინებდეს მათ განსხვავებულ ინტერესებს. უნივერსიტეტი არ უნდა დაემსგავსოს უმაღლეს სკოლას. სკოლის მოსწავლისაგან განსხვავებით, უნივერსიტეტის სტუდენტი არ შეიძლება იყოს სასწავლო პროცესის ობიექტი. სტუდენტი უნდა გახდეს სასწავლო პროცესის აქტიური სუბიექტი.



კავშირი პროფესორსა და სტუდენტს შორის არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ აუდიტორიაში, ლექციის მსვლელობისას კონტაქტით. სტუდენტი იმთავითვე ჩართული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევებში. სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების ჩართვის ერთ-ერთ უმთავრესად ფორმად განიხილება ვიწრო პროფილის ინსტიტუტების ჩამოყალიბება საპროფესოროებთან.

სწავლების შინაარსის, სწავლების მეთოდების საკითხი უნდა გადაწყდეს საბუნებისმეტყველო, სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთობლივი მონაწილეობით და არა მხოლოდ ვიწრო, კონკრეტული მიმართულებების მიხედვით.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული უნდა იყოს კონკურენტუნარიანი კადრი შრომის თავისუფალ ბაზარზე. პოტენციური დამქირავებელი დარწმუნებული უნდა იყოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის მაღალ კვალიფიკაციაში. თავის მხრივ, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს შრომის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო. აუცილებელია შრომის თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და მომავალი სპეციალისტის პროფესიული კრიტერიუმების განსაზღვრა.

**პროექტები:**

სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდიკისა და შეფასების თანამედროვე მოდელების შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სამეცნიერო კვლევათა უახლოეს შედეგებს.

მოდულების გაძლიერება; შეფასებათა სხვადასხვა (გარეშე) სისტემების დანერგვა (ECTS, Kiploma supplement და სხვ.).

საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო სემესტრის სავალდებულო მოსმენა (ცალკეული სპეციალობების მიხედვით).

ფაკულტეტების მიხედვით სწავლების ხარისხობრივი სტანდარტების განსაზღვრა.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის განვითარება; ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალის მომზადება (ტრეინინგები, სემინარები და სხვ.).

აკადემიური პერსონალის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება და საკონკურსო პირობების სრულყოფა მასში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის ობიექტური შეფასების მიზნით.

სასწავლო კურსების შესახებ საკონსულტაციო სამსახურის ჩამოყალიბება.

სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვა ყველა სავალდებულო საგანზე.

ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამების შემუშავება.

პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის სპეციალური შესავალი კურსების შემოღება.

მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის განხორციელება.

ორგანიზაციული ფორმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის აქტიურ დიალოგს სალექციო კურსის მიზნებისა და შინაარსის, ასევე სასწავლო პროგრამების შესახებ.

სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად ორგანიზებული სასწავლო-სამუშაო ფორმების წახალისება.

**ინდიკატორები:**

თანაფარდობა უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებსა და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს შორის.

სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვის შედეგები.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, თუ რამდენად არიან ისინი კმაყოფილი უნივერსიტეტში მიღებული განათლებით.

სტუდენტთა გამოკითხვა, რამდენად არიან ისინი კმაყოფილნი აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობითა და კონსულტაციებით.

### IV. ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაცია თანაბრად უნდა შეეხოს სამეცნიერო კვლევებს, სწავლებას და უნივერსიტეტის მართვას.

ინტერნაციონალიზაციის პროცესმა გეოგრაფიულად უნდა მოიცვას ევროპა, სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ ამერიკა.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ფორმებად განიხილება პარტნიორობა უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტთა მობილობის წახალისება და სხვ.

უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული იქნება ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება.

სავალდებულო გახდება სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში უცხოური უნივერსიტეტის მონაწილეობა.

ცალკეული კურსებისათვის დადგინდება საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო სემესტრის სავალდებულო მოსმენა.

აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო ენის სწავლება სტუდენტების, მასწავლებლისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის.

უნივერსიტეტში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს უცხოელი მასწავლებლებისა და სტუდენტების ხვედრითი წილი.

უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სათანადო მატერიალური ბაზა უცხოელი სტუდენტებისა

მე-8 გვერდზე

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები

მეშვიდე გვერდიდან

და პროფესორებისათვის. ამ მიზნით აუცილებელია სტუდქალაქის ინფრასტრუქტურის გამოყენება-რეაბილიტაცია.

**პროექტი**

ინტერნაციონალიზაციის პროექტის განვითარება.

**ღონისძიებები**

შეფასების კრიტერიუმების დადგენისას უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივების გათვალისწინება.

საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან მიზნობრივი საერთაშორისო თანამშრომლობა ძირითადი მიმართულებების მიხედვით.

უცხოელი პროფესორების მოწვევა და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია.

უცხოენოვანი, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება უცხო ენებში.

ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება.

**ინდიკატორები**

თსუ-ში უცხოელი პროფესორების ხვედრითი წილი.

თსუ-ს სტუდენტების ხვედრითი წილი, რომლებიც, სულ მცირე, სამი თვის მანძილზე ისწავლიან საზღვარგარეთის უნივერსიტეტში.

თსუ-ში უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი.

## V. უწყვეტი განათლება

უწყვეტი განათლება უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა სამეცნიერო კვლევებთან და სწავლებასთან ერთად. თანამედროვე ცოდნის საზოგადოებაში სწავლა, არსებითად, მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ამასთანავე, სწავლის ეს უწყვეტი პროცესი ეფუძნება სამეცნიერო კვლევებს.

უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებისას უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს შრომის თავისუფალი ბაზრის მოთხოვნილებებზე. ამ პროცესში უნივერსიტეტს მოუწევს კონკურენცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს განსხვავებული და უფრო მაღალი სტანდარტები. თავის მხრივ, უწყვეტი განათლების სისტემამ უნდა გამოიყენოს საუნივერსიტეტო განათლების დიდი პოტენციალი, კერძოდ, ცოდნის აქტუალობა და ინოვაციის მაღალი ხარისხი, საუნივერსიტეტო სწავლების ინტერდისციპლინური ხასიათი და პროფესიულ პრაქტიკაში პირდაპირი ტრანსფერის შესაძლებლობა.

უწყვეტი განათლების ცენტრმა უნდა წაახალისოს ფაკულტეტების აქტიურობა. ამასთანავე, განსხვავებულ მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული მომსახურება კარგად უნდა იყოს კოორდინირებული და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი. უწყვეტი განათლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო ამ ჯგუფების სწავლება, არამედ სხვა საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებაც.

უწყვეტი განათლების სისტემაში უნდა ჩამოვაყალიბოთ და ფართოდ დავნერგოთ დისტანციური და ელექტრონული სწავლების ფორმები.

**პროექტი**

დისტანციური და ელექტრონული სწავლების კონცეფციის შემუშავება.

**ღონისძიებები**

ფაკულტეტების საქმიანობის წახალისება უწყვეტი განათლების სფეროში.

უწყვეტი განათლების იმ სფეროების იდენტიფიკაცია, სადაც უნივერსიტეტი კონკურენტუნარიანი იქნება.

უწყვეტ განათლებაზე ორიენტირებული მოდულების ჩამოყალიბება.

უწყვეტი განათლების ცენტრის ჩამოყალიბება.

**ინდიკატორები:**

შემოსავალი უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობიდან.

## VI. მომსახურების გაუმჯობესება

უნივერსიტეტი უნდა განვიხილოთ როგორც სწავლებისა და კვლევების სფეროში სათანადო მომსახურების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება. უნივერსიტეტი უნდა აკმაყოფილებდეს მომსახურების მაღალ სტანდარტებს.

უნივერსიტეტი, პირველ რიგში, ორიენტირებულია სტუდენტების მომსახურებაზე. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ცოდნის მიღების სათანადო პირობები. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიებს, თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, არსებული საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას და ახალი ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებას ფაკულტეტებზე, აკადემიური, არააკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

**პროექტები**

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესება.

სტუდენტთა საუნივერსიტეტო მომსახურების ცენტრის ჩამოყალიბება.

ფაკულტეტებზე სტუდენტთა მომსახურების ცენტრის ჩამოყალიბება.

**ღონისძიებები**

სტუდენტთა კონსულტაციები.

აუდიტორიების რემონტი.

ფაკულტეტებისათვის აუდიტორიების დამაგრება.

საბიბლიოთეკო ფონდის განახლება; ფაკულტეტებზე ახალი ბიბლიოთეკების შექმნა.

ბიბლიოთეკებში სპეციალური ადგილების გამოყოფა, სადაც სტუდენტებს მიეცემათ ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობა.

**ინდიკატორები**

ბიბლიოთეკის აბონენტთა და მკითხველთა რიცხვი.

სტუდენტთა განაცხადი სპეციალობების მიხედვით.

## VII. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, ისე ადმინისტრაციის საქმიანობაში.

**პროექტები**

ელექტრონული და დისტანციური სწავლების კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური სწავლების პედაგოგიურ მიზნებს და მისი განხორციელების გონივრულ სტანდარტებს.

სწავლებისა და გამოცდის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

უნივერსიტეტის მართვის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

**ღონისძიებები**

უნივერსიტეტის თანამშრომელთა სწავლება და მომზადება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში.

ბიბლიოთეკების ელექტრონული კატალოგის შექმნა.

ინტერნეტ-გამოცემების ხელმისაწვდომობა.

ინტერნეტით მომსახურების გაუმჯობესება.

## VIII. უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლება

უნივერსიტეტის იმიჯს, პირველ რიგში, განსაზღვრავს უმაღლესი დონის სამეცნიერო მიღწევები და სწავლების დონე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს დიდი ტრადიციები და ინდივიდუალური პროფილი. უნივერსიტეტმა უნდა შეინარჩუნოს და განამტკიცოს საკუთარი იდენტურობა. უნივერსიტეტის სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეულები უნდა განიხილებოდნენ როგორც უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილი. უნდა გაუმჯობესდეს შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაცია როგორც სხვადასხვა ფაკულტეტებს, ისე ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციას შორის. აუცილებელია აქტიური ურთიერთობა ადმინისტრაციის ცალკეულ ერთეულებს შორის.

უნდა აღდგეს კავშირი უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის; ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კლუბი. აუცილებელია აქტიური კონტაქტები უნივერსიტეტის იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც გამორჩეულ როლს ასრულებენ პოლიტიკაში, ბიზნეს-სექტორში და აქვთ თანამედროვე მენეჯმენტის გამოცდილება. ეს ხალხი უნდა იყოს უნივერსიტეტის ლობისტი პოლიტიკის, ეკონომიკის სფეროში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში. აუცილებელია ვიფიქროთ ამ ხალხის ჩართვაზე უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებშიც. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მონაწილეობა ალმა მატერის მართვაში უნივერსიტეტს შეუნარჩუნებს ინდივიდუალურ პროფილსაც.

უნივერსიტეტმა აქტიური კონტაქტები უნდა დაამყაროს საზოგადოებასთან. აუცილებელია მუდმივი კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებთან, მედიასთან, კულტურისა და პოლიტიკის სფეროსთან, ბიზნესთან, სკოლებთან, ქალაქ თბილისთან.

საზოგადოების ფართო წრეებისათვის ცნობილი უნდა გახდეს უნივერსიტეტის უახლოესი მიღწევები მეცნიერებასა და სწავლებაში.

**პროექტები**

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კავშირის დებულების შემუშავება. კურსდამთავრებულთა კავშირის ჩამოყალიბება.

**ღონისძიებები**

კონტაქტების გააქტიურება მედიასთან და ჟურნალისტებთან, რომლებიც სპეციალიზებული არიან განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე.

ქალაქ თბილისთან თანამშრომლობის გააქტიურება. სამუშაო ჯგუფის: „თბილისი როგორც საუნივერსიტეტო ქალაქი" ჩამოყალიბება. კონტაქტების გააქტიურება ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სამედიცინო უნივერსიტეტთან, კონსერვატორიასთან, სამხატვრო აკადემიასთან. ერთობლივი გამოფენებისა და კონცერტების, სხვა ღონისძიებების გამართვა.

ფართო საზოგადოებაზე, განსაკუთრებით სკოლებზე ორიენტირებული ღონისძიებების გამართვა. ამ ღონისძიებებში პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების ჩართვა.

მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კონტაქტების გაღრმავება.

უნივერსიტეტის არქიტექტურული სახის გაუმჯობესება, აუდიტორიების აღჭურვა თანამედროვე აპარატურით. ტერიტორიის კეთილმოწყობა, ფასადის რემონტი და სხვ.

ფართო საზოგადოებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალის (ალმანახის) გამოცემა, სადაც აისახება უნივერსიტეტის წარმატებები სამეცნიერო კვლევების სფეროში.

„ღია კარის დღის" სისტემურად გამართვა.

**ინდიკატორები**

უნივერსიტეტის თანამშრომლების კმაყოფილება სამუშაო პირობებით. ამ საკითხზე პერიოდული გამოკითხვების ჩატარება.

სკოლებთან თანამშრომლობა.

თანამშრომლობა თბილისში არსებულ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების სტანდარტების „ექსპორტი".

აქტიური კონტაქტები არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან.

## IX. უნივერსიტეტის მართვა

უნივერსიტეტი უნდა იმართებოდეს როგორც დიდი კორპორაცია, ე.წ. ახალი მენეჯმენტის წესების შესაბამისად.

მართვის საწარმო-ეკონომიკური ინსტრუმენტები ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს უნივერსიტეტის შიდა ადმინისტრირების პროცესში.

სრულყოფას მოითხოვს უნივერსიტეტის საქმიანობის ნორმატიული ბაზა. კონკრეტულად უნდა განისაზღვროს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, კომპეტენციები. ეს უნდა იყოს სისტემა, რომელიც იმუშავებს ანონიმურად და გამორიცხავს პირად სიმპათია-ანტიპათიაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. ამ მიმართულებით საქმიანობა უნდა იყოს სისტემური (სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების ორგანიზება) და არ უნდა შემოიფარგლებოდეს ერთჯერადი აქციებით. აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა ამ საკითხზე მომუშავე დასავლეთის ცნობილ ექსპერტებთან.

უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის შემდგომი დეცენტრალიზაცია, მათ შორის საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით. ცენტრალური ადმინისტრაციის გამგებლობას მიკუთვნებული ცალკეული ფუნქციები უნდა გადაეცეს ფაკულტეტებს. ის, რაც შეიძლება განხორციელდეს უმდაბლეს დონეზე, არ უნდა წყდებოდეს უმაღლეს დონეზე. ამავე დროს, დეცენტრალიზაცია არ ნიშნავს ანტი-ცენტრალიზმს. საუნივერსიტეტო მართვის იერარქიულ სისტემაში თითოეული რგოლი მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა იყოს მისთვის მინიჭებული კომპეტენციების განხორციელებაზე.

ფაკულტეტების ბიუჯეტი უნდა იძლეოდეს ფაკულტეტებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების ფინანსურ შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტში უნდა დავამკვიდროთ შრომის თანამედროვე კულტურა. ეს თანაბრად ეხება როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე ადმინისტრაციას.

ამ პროცესში უნივერსიტეტი მეტ ადმინისტრაციულ დახმარებას შესთავაზებს ფაკულტეტებს, ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დადგენასა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით.

**პროექტი**

უმაღლესი სკოლის მენეჯმენტისა და მართვის პროგრამის შემუშავება.

**ღონისძიებები**

ტრეინინგების პროგრამები უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის.

ადმინისტრაციის სტრუქტურის შემუშავება.

## X. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ზრდა

უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს მოეთხოვებათ განსაკუთრებული კვალიფიკაცია და პროფესიული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტმა უნდა იცოდეს, თუ რა შესაძლებლობები აქვთ მის თანამშრომლებს ადმინისტრირებისა და მართვის სფეროში. უნივერსიტეტმა, ასევე, ხელი უნდა შეუწყოს ამ უნარ-ჩვევების განვითარებას.

თანამშრომლების პროფესიული კარიერა უნდა იძლეოდეს მისი დაგეგმვის შესაძლებლობას. უნივერსიტეტს თანამშრომელს უნდა ჰქონდეს წარმატებული პროფესიული კარიერის პერსპექტივა.

**პროექტები**

ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების კონცეფცია.

ინდივიდუალური პროფესიული კვალიფიკაციის დადგენისა და მისი შემოწმების კრიტერიუმების განსაზღვრა.

**ღონისძიებები**

თანამშრომელთა პერიოდული გამოკითხვები.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების ტრეინინგები.

ადმინისტრაციის თანამშრომელთა ტრეინინგები.

სამეცნიერო პერსონალის ტრეინინგები უმაღლესი სკოლის დიდაქტიკასა და სწავლების მეთოდებში.

პროფესურის აქტიური ჩართვა სამეცნიერო ორგანიზაციათა მართვის სტრუქტურებში (განსაკუთრებით, სპეციალიზებულ სამეცნიერო გამოცემებში).

**ინდიკატორები:**

ტრეინინგის მონაწილეთა რაოდენობა.

ტრეინინგების რაოდენობა.

ტრეინინგებში მონაწილე ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირთა რაოდენობა.

## XI. სოციალური დაცვის ღონისძიებები

უნივერსიტეტის თანამშრომელთა ანაზღაურება უნდა იყოს მათი კვალიფიკაციის ადეკვატური. უნივერსიტეტმა უნდა მოიზიდოს ის ინტელექტუალური ელიტა, რომელიც დღეისათვის გაბნეულია კერძო, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში.

**პროექტები**

უნივერსიტეტის თანამშრომელთა სოციალური დაცვის პროგრამა.

**ღონისძიებები**

სოციალური სოლიდარობის საუნივერსიტეტო ფონდის ჩამოყალიბება.

უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის შეღავათიანი სამედიცინო მომსახურება და სოციალური დაზღვევა.

# ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნება

## ინტერვიუ ეკონომისტ ემზარ ჯგერენაიასთან

პირველი გვერდიდან



„ეს იქნება არა მხოლოდ ფოთის ეკონომიკური ზონა, არამედ მთელი საქართველოსი. ...სადაც საწარმოს დარეგისტრირება მოხდება 15 წუთში, სადაც დავებს გაარჩევენ ერთ-ორ საათში, სადაც კანონის განხორციელება იქნება მყისიერი, სადაც ბიუროკრატია იქნება ნოლთან ახლოს და სადაც წარმოებისა და ექსპორტისათვის აბსოლუტურად იდეალური პირობები იქნება შექმნილი“.

— საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გასული წლის 27 დეკემბერს ბიზნესმენებთან შეხვედრაზე გახმოვანებულ ამ ინიციატივას ექსპერტთა უდიდესი ნაწილი დადებითად შეხვდა, ნაწილმა კი ინვესტორებთან მოლაპარაკებების დასრულებამდე მოსაზრების გამოთქმისაგან თავი შეიკავა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ) შექმნის იდეა საქართველოში პირველად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს დაებადა. მაშინ აბაშიძის ამ ინიციატივას საქართველოში საკმაოდ უარყოფითად შეხვდნენ და ედუარდ შევარდნაძემაც ამ კუთხით დიალოგზე უარი განაცხადა. როგორც ჩანს, ეს ისტორია არც მიხეილ სააკაშვილს დავიწყებია. ბიზნესმენებთან შეხვედრაზე მან აღნიშნა, რომ ფოთის ეკონომიკურ ზონას თავის დროზე ასლან აბაშიძის მიერ შეთავაზებულ თეზ-თან საერთო არაფერი ექნება.

დღეისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონა 20-ზე მეტ ქვეყანაშია. თეზ-ის რა ტიპებია მსოფლიოში გავრცელებული, რომელი მოდელი შეიძლება შეიქმნას საქართველოში და რამდენად მზად არის საქართველო ამისათვის?

ამ თემაზე ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ სამეცნიერო ნაწილის რედაქტორს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს **ემზარ ჯგერენაიას** ვესაუბრეთ.

**— ბატონო ემზარ, რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ?**

— დისკუსიის დაწყება ამ თემაზე ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ვთვლი, რომ საქართველოში ამისათვის ნიადაგი უკვე საკმაოდ მომწიფებულია. უკვე დროა, დავიწყოთ ჩვეულებრივი ეკონომიკის მქონე ქვეყნისაგან განსხვავებული საინვესტიციო შესაძლებლობების შეთავაზება უცხოელი ინვესტორებისათვის.

ამ გარემოებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. თუნდაც ის, რომ საქართველო მსოფლიო ენერგოსისტემის ნაწილს წარმოადგენს. ბევრისთვის ეს თემა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც საკამათო რჩება, რადგან ჩვენ, ფაქტობრივად, არც ნავთობი გვაქვს და არც გაზი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობპროდუქტების ინდუსტრია ნავთობის არა მხოლოდ მოპოვება-გადამუშავება-მოხმარებისგან შედგება, არამედ მისი ტრანსპორტირებისგანაც.

სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებისთვის აქვს საქართველოს პოტენციალი — ენერგოტრანსპორტირების სივრცე. მით უფრო, რომ საქართველომ, როგორც სატრანსპორტო დერეფანმა, მნიშვნელოვანი სიტყვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამუშავებით უკვე თქვა. თუმცა, ამ მხრივ მდგომარეობა იდეალური ჯერ ვერ იქნება, რადგან ტვირთების რაოდენობა არასაკმარისია. საქართველო შუა აზიის ბუნებრივი კარიბჭე ვერ გახდება, თუკი მისი სატრანსპორტო საქმიანობის რეკონსტრუქცია არ ჩატარდება. ტვირთგამტარობის დონე უნდა გახდეს შავი ზღვისპირა მსხვილი პორტების ტვირთმოძრაობის შესაბამისი. აქედან გამომდინარე, იწყება მწვავე დისკუსია იმის თაობაზე — თუ რა საექსპორტო პოტენციალს განვაგებთ, რა მასშტაბის ექსპორტი გვინდა რომ გვქონდეს და რა რესურსები გაგვაჩნია ამ მიზნის მისაღწევად. რაც მთავარია, ამ ეტაპისთვის, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მოწესრიგდა ფინანსური მხარე. ახლა წარმოების გასაზრდელად ინვესტიციების სერიოზული პროვოცირებაა საჭირო. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა თავისუფალი და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნა.

**— საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ საუბრები ადრეც მიმდინარეობდა. თუმცა, ყოველთვის საკმაო სიფრთხილით ეკიდებოდნენ ამ თემას. ბევრი შიშობდა, რომ საქართველო ვერ შეძლებს მის გაკონტროლებას. როგორ ფიქრობთ, ახლა თუ არსებობს ამის საშიშროება?**

— საქართველომ უკვე სერიოზული რეფორმები გაატარა ფინანსური რეგულირების სფეროში და რაც სამიოთხი წლის წინ წარმოუდგენელი იყო, ახლა რეალურია. საფრთხეებს რაც შეეხება, ნაკლებად მგონია, ფინანსური პოლიციის და სხვა ფინანსური უწყებების ამგვარი ეფექტიანი მუშაობის პირობებში შეიქმნას უკონტროლობის საშიშროება. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ რა გავლენის მოხდენა შეუძლია თეზ-ს ქვეყანაზე, მაგალითისათვის არაბთა გაერთიანებული ემირატების შესახებ გიამბობთ. მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი ერთი ულარიბესი, დაქუცმაცებული ქვეყანა იყო, რომლის ძირითად საქმიანობას სპარსეთის ყურეში მარგალიტების მოპოვება წარმოადგენდა. სამოციანი წლების ბოლოს, არაბთა ემირი ჩავიდა თავის იმდროინდელ მეტროპოლიაში — ბრიტანეთში და ისესხა ორი მილიონი დოლარი. ამ ფულით მან საწყობები ააშენა და თავისუფალი ეკონომიკური ზონებისთვის ინფრასტრუქტურა შექმნა. სულ მალე ეს ზონები ამოქმედდა, ქვეყანა განვითარდა და გამდიდრდა.

საქართველოსთვის ასეთი შედეგი ბევრად ადვილად მისაღწევია, ვიდრე არაბთა გაერთიანებული საემიროებისთვის სამოციანი წლების ბოლოს, რადგან იმ პერიოდში, როდესაც იქ თავისუფალი ეკონომიკური ზონები იქმნებოდა, საემიროები ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. საქართველო კი ნამდვილად შორსაა ეკონომიკური კრიზისისაგან.

**— ბატონო ემზარ, მსოფლიოში რა ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონებია გავრცელებული და, საერთოდ, რა განაპირობებს მათ წარმატებას?**

— არსებობს სამი სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონა. სავაჭრო, ტექნოლოგიური და ფინანსური. სავაჭრო ზონები ძირითადად პორტებსა და აეროპორტებშია განლაგებული. ამ ტიპის თეზ-ის თვალსაჩინო მაგალითია დუბაი, სადაც მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის პროდუქცია, ჭანჭიკიდან დაწყებული, სატვირთო მანქანით დამთავრებული, საწყობებშია განთავსებული. ამ უდიდესი საწყობებიდან კი მთელი რეგიონი მარაგდება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის მეორე სახეობა — ტექნო-პარკები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა და ქალაქში ფუნქციონირებს. 2006 წლის ყველაზე წარმატებულ ტექნო-პარკად ჩინეთის ქალაქი შენ-ზენი ითვლება. ამ ქალაქმა წარმოების მხრივ ძალიან მოკლე დროში თითქმის ჰონკონგის დონეს მიაღწია. დღეისათვის მსოფლიოში მოხმარებული კომპიუტერული ტექნიკის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ ქალაქშია წარმოებული. მიუხედავად ამისა, შენ-ზენის განვითარების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. უდიდესი ,,მეცნიერებატევადი” დარგები კვლავაც გადადიან შენ-ზენში და მის კიდევ უფრო ინტენსიურ განვითარებას უზრუნველყოფენ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის მესამე სახეობაა თავისუფალი ფინანსური ზონები, ე.წ. ოფშორები, სადაც ხდება მსოფლიოს სადაზღვევო, საბანკო და სხვა სახის ფინანსური ტრანსნაციონალური გიგანტების დარეგისტრირება, მოგებისა და სხვა გადასახადის შეღავათიანობის პირობებში. დღეისათვის მსოფლიოში ცნობილი მსხვილი ფინანსური კომპანიების უდიდესი ნაწილი ოფშორული ზონებიდან იმართება.

ოფშორული საქმიანობით ცხოვრობს დღეს პაწაწინა, დაახლოებით საბურთალოს ზომის ქვეყანა — მონაკო. მასში დარეგისტრირებული კომპანიების მიერ მოგებიდან მიზერული გადასახადი მონაკოსთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ წარმატებისთვის მიეღწია, რადგან ასეთი კომპანიების რიცხვი და მათი მოგება საკმაოდ დიდი იყო. ყოველივე ამისათვის, პირველ რიგში, უდიდესი ბიძგია საგადასახადო შეღავათები. მეორე მხრივ, შრომის კანონმდებლობა, რომელიც, მაგალითად, ჩინეთს საერთოდ არ აქვს. ჩინეთის სახელმწიფო არც ერთ ეტაპზე არ ერევა მოქალაქისა და დამქირავებლის ურთიერთობებში.

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ტექნო-პარკებში არ არსებობს გარემოს დაცვითი შეზღუდვები. მაგალითად, როდესაც პლასტმასის მწარმოებელი არ არის შეზღუდული გარემოს დაცვითი სანქციებითა თუ გადასახადებით და ეროვნული ვალუტაც იაფია, ეს ყოველივე ინვესტორისთვის ამ ქვეყანაში პროდუქციის წარმოებასა და მის ექსპორტს მიმზიდველს ხდის, რაც საბოლოო ჯამში, ისევ ექსპორტიორი ქვეყნისთვისაა სარგებლის მომტანი.

**— მიუხედავად უამრავი პოზიტიური შეხედულებებისა, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ყველა კატეგორია ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასებით ნაკლებად გამოირჩევა. როგორი მოსაზრებები არსებობს თეზ-ის თითეული ტიპის მიმართ?**

— სავაჭრო ზონების მიმართ საკმაოდ პოზიტიური მოსაზრებები არსებობს, რადგან ისინი საერთაშორისო ვაჭრობაში ხელს უწყობენ ნაკლებად განვითარებული რეგიონების ინტეგრირებას.

იგივე შეიძლება ითქვას ტექნო-პარკებზეც, რადგან მათი წყალობით მსოფლიოში ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუები იქმნება. ამ სფეროს განვითარების ტემპი ყველაზე უსწრაფესია მსოფლიოში.

საკმაოდ რთული და ორაზროვანი დამოკიდებულებაა ოფშორების მიმართ, რადგან ასეთ ადგილებში ფულის გათეთრების უამრავი ფაქტია დაფიქსირებული.

უმეტეს შემთხვევებში, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ყველა ზემოთ აღნიშნული კატეგორიის შექმნა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის ან კრიზისისპირა სიტუაციიდან გამოყვანის მიზნით ხდება, ანუ მაშინ, როდესაც ქვეყანას განვითარებისთვის განსაკუთრებული ბიძგი სჭირდება.

ამ მხრივ საქართველოსთვის საჭიროა, რომ მოვიზიდოთ სერიოზული ,,მეცნიერებატევადი” დარგები, რათა განვავითაროთ წარმოება. ამით მივაღწევთ საბოლოო მიზანს — ფოთს გადავაქცევთ რეგიონული ვაჭრობის ისეთ ცენტრად, რომელიც მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან შუა აზიასა და ევროპას.

საქართველოს ხელისუფლებამ, ამ ინიციატივის გამო, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საკმაოდ დადებითი შეფასებები მიიღო. ახლა უცხოელ ინვესტორებთან, ყველა დეტალის დასაზუსტებლად, მიმდინარეობს კონკრეტული მოლაპარაკებები.







**— როგორ ფიქრობთ, რა ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიძლება შეიქმნას ფოთში?**

— რა თქმა უნდა, შერეული, რადგან ამისათვის იქ საკმაოდ მყარი ნიადაგია. ამჟამად ფოთში კონტეინერების, მშრალი და ნაყარი ტვირთების რამდენიმე სერიოზული ტერმინალია განლაგებული, რომელიც ახლაც მოქმედებს. ასევე, აქ საუკეთესო ტერიტორიაა შერჩეული მანუფაქტურული წარმოების განვითარებისთვის. ეს საწარმო საკმაოდ მომგებიანი უნდა იყოს, რადგან სატრანსპორტო დანახარჯები მისთვის მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ქარხნიდან პროდუქცია პირდაპირ გემბანზე ან მატარებელზე გადავა.

ასე რომ, ფოთში სავაჭრო-ტექნოპარკი განლაგდება, რომელიც საქართველოს ტექნოლოგიურ და სავაჭრო განვითარებას მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს.

ფოთში ეკონომიკური ზონის შექმნა კიდევ ერთი მაგალითი იქნება, როგორ შეიძლება განვითარდეს პატარა და ენერგორესურსებით ღარიბი ქვეყანა სხვა ქვეყნის მეურვეობისა და დახმარების გარეშე.

---

*უნივერსიტეტში*

# ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ქართულ-გერმანული ინსტიტუტი შეიქმნა

**მანანა ჯურხაძე**

2006 წელს ეკონომიკურ პოლიტიკაში მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი“ შეიქმნა.

ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი რევაზ გველესიანი. საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსებში 12-გზის გამარჯვებამ მას საშუალება მისცა, წლების მანძილზე, გერმანულენოვანი ქვეყნების უნივერსიტეტებში განეხორციელებინა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რამაც აღნიშნული ინსტიტუტის დაარსების წინაპირობა შექმნა. წინა წლებში მისივე ინიციატივით თსუ-ში დაფუძნდა საქართველოს ეკონომიკის კათედრა, მაგისტრატურაში გაიხსნა „ეკონომიკური პოლიტიკის“ სპეციალობა.

ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამეცნიერო მივლინებებს გერმანიაში, დოქტორანტთა ურთიერთგაცვლას, საკვალიფიკაციო ნაშრომების ორმხრივ ხელმძღვანელობას და აპრობაციას, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას და სამაგისტრო ნაშრომების ორმხრივ ხელმძღვანელობას, მაგისტრების პროფესიული პრაქტიკის გავლას გერმანიაში, საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების ორგანიზებას, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მომზადებასა და თარგმნას, კვლევებისა და ტრეინინგების ჩატარებას და, რაც მთავარია, ეკონომიკის სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

რევაზ გველესიანი:

— ქართულ-გერმანული ინსტიტუტი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ბერლინელი კოლეგების თანადგომით დაარსდა, საუკეთესო საშუალებაა ეკონომიკური პოლიტიკის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შესამუშავებლად. ასეთ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, მსხვილ კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში.

ამჟამად ინსტიტუტში ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ორი ცნობილი მეცნიერია დასაქმებული, პროფესორი ვოლფგანგ ვენგი და მსოფლიოში აღიარებული გერმანელი ექსპერტი — უმაღლესი განათლების რეფორმის საკითხებში, პროფესორი გიუნთერ ჰაითმანი.

სამომავლოდ კონტაქტები კიდევ უფრო გაფართოვდება და ვფიქრობ, შევძლებთ მაღალი დონის ეკონომიკის სტრატეგთა მომზადებას.

ხატოვნად რომ ვთქვათ, ამ ინსტიტუტის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია: ცოტაოდენი ჰარვარდი, ცოტაოდენი ჰოლივუდი და ცოტაოდენი პრუსია.

# ჟურნალისტიკაში ეთიკა თავისუფლებას არ შეგვიზღუდავს

**მაია ტორაძე**

პოსტსაბჭოთა ჟურნალისტიკას ხშირად საყვედურობენ, რომ თავს არიდებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. თუ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორს ჟან კლოდ ბერტრანს დავუჯერებთ, აქ ჟურნალისტებს „თავი წარმოუდგენიათ არა ინფორმაციის მომპოვებლებად და გამავრცელებლებად, არამედ პოლიტიკური არენის შემოქმედებად და მსახიობებად", რაც საბოლოოდ საზოგადოებასთან კონფლიქტს იწვევს.

ჟურნალისტთა ამგვარ განწყობას ობიექტური წინაპირობა აქვს — დამოუკიდებლობის თხუთმეტწლიან ისტორიაში სიტყვის თავისუფლება ყველაზე რთულად მოსაპოვებელი აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ერთგვარი სიფრთხილე — ჟურნალისტები დღესაც ეჭვის თვალით უყურებენ ყველა კანონს და კოდექსს, რომელმაც, მათი აზრით, შესაძლოა, ხვალ საფრთხე შეუქმნას სიტყვის თავისუფლებას.

თეორეტიკოსები ახლა იკვლევენ მიზეზებს — რატომაა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოში, მედია ერთმანეთს არ უკავშირებს „თავისუფლების" და „პასუხისმგებლობის" ცნებებს, რომ თავისუფლებას ხშირად არ ახლავს საზოგადოების წინაშე ვალდებულების შეგრძნება. ჟურნალისტები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ საზოგადოება თავად უნდა იყოს მზად დაბალანსებული, ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, რაც შექმნის არა მედიამფლობელის, არამედ, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაჩენის აუცილებელ პირობას.

იმის გამო, რომ ქართულ მედიასივრცეში (უფრო ზუსტად, მედიასივრცის გარეთ), გაჩნდა მოთხოვნილება — თავისუფლებას ახლდეს პასუხისმგებლობა, უფლებას — მოვალეობა, სითამამეს — ეთიკა, გაჩნდა სურვილიც — შეიქმნას ჟურნალისტთა ქცევის კოდექსი, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს მათ ქმედებას. ეჭვმა აქაც იჩინა თავი — მავანმა ეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნია, მავანმა — პირიქით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არაპროფესიონალიზმისგან გათავისუფლების მექანიზმად აღიქვა, ზოგიერთს კი მოეჩვენა, რომ ეს ბერკეტი ერთი კონკრეტული მედიასაშუალების მართვისთვის გამოიგონეს...

ვნებათაღელვა ჯერაც არ ჩამცხრალა, რადგან ქცევის კოდექსის პროექტის განხილვა 2007 წლის აპრილიდან დაიწყება. ამ ეტაპზე კი საინტერესოა, როგორ აფასებენ პროფესიონალები ამ ფაქტს, მიაჩნიათ, თუ არა, რომ ჟურნალისტებს სჭირდებათ ქცევის რეგულირების მექანიზმი? ეს მექანიზმი „სხვამ" უნდა უკარნახოს თუ მათ უკეთ იციან, რა სჭირდებათ ნამდვილი თავისუფლებისა და თვითრეგულირებისთვის?

ამ საკითხებზე საუბრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები:

### კოდექსზე დისკუსია სულაც არ არის ურიგო

**მაია წერეთელი**, ასისტენტ-პროფესორი:

— პოსტსაბჭოურ მედიაში თვისობრივი ცვლილებები მოხდა, რის მნიშვნელოვან შედეგებსაც თვალნათლივ ვხედავთ. ვფიქრობ, ჩვენთან რეალურად არსებობს თავისუფალი პრესა, ვგულისხმობ განსაკუთრებით ბეჭდურ მედიას, თუმცა არსებობს პრობლემებიც. ერთგვარი სადემარკაციო ხაზის გავლება ჭირს — სად იწყება თავისუფალი პრესა და სად შეიძლება იწყებოდეს. ამიტომ ჩნდება პრესის, ჟურნალისტის ეთიკის პრობლემა, რაც მნიშვნელოვანია და, ალბათ, ბუნებრივად მივიდა აზრი კოდექსის შექმნამდე. თავად ის ფაქტი, რომ პროექტის გარშემო ასეთი მწვავე დისკუსია მიმდინარეობს, სულაც არ არის ურიგო. პირიქით, ნორმალური მოვლენაა. სიმართლე იმათ მხარეზეც არის, ვინც ამ კოდექსის მიღებას ითხოვს — საზოგადოება ამისთვის უკვე მზადაა, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ მედიასაშუალებებისათვის ყველაზე კარგი კოდექსი არის თვითრეგულაცია.

შესაძლოა, ეს პროექტი გახდეს ერთგვარი ბიძგი თვითრეგულირების მექანიზმის ასამუშავებლად.

### უზნეობაა — ზემოდან გვიკარნახოს ვინმემ, როგორ ვიცხოვროთ საკუთარ სახლში

**დალი ჩიკვილაძე**, ასოცირებული პროფესორი:

— ქართულ მედიას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს — XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან, მოწინავე საზოგადოებას თუ რამ სატკივარი და სათქმელი ჰქონდა, ყველაფერი იწერებოდა. სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის თაობამ მოიტანა ქართული სიტყვა დღემდე. შემთხვევით არ თქვა არჩილ ჯორჯაძემ — „ილიამ შექმნა სააზროვნო საქართველოო"... და რით შექმნა? — სწორედ რომ, სიტყვით. მათ მაშინ ქცევის ჩარჩოების განსაზღვრა არ სჭირდებოდათ, რადგან ზნეობრიობა იყო ყველაზე დიდი კოდექსი.

ახლა რაც ხდება, ჩემი თაობისათვისაც კი გასაკვირია — დიახ, ქართული ჟურნალისტიკა მოიკოჭლებს ეთიკაში, დიახ, სჭირდება რაღაც ნორმების დაწესება, მაგრამ, ჩემი აზრით, ჟურნალისტმა თავისი ქცევის ჩარჩოები — იყოს ეთიკური თუ არა, წერდეს რომელიმე თემაზე თუ არა, აინტერესებდეს ცხოვრების ეს ასპექტი თუ არა, თავად უნდა გადაწყვიტოს. უზნეობაა — ზემოდან გვიკარნახოს ვინმემ, როგორ ვიცხოვროთ საკუთარ სახლში.

ჩემი აზრით, ყველა მედიასაშუალებამ თავისი კოდექსი თვითონ უნდა შექმნას. მედიამფლობელი თვითონ უნდა საზღვრავდეს, როგორი ეთიკური ნორმების მქონე მედიასაშუალების მფლობელი იქნება. ხომ იყო საქართველოში ამის პრეცედენტი — „დილის გაზეთი", რომელსაც ჰქონდა შემუშავებული ასეთი დოკუმენტი. არ მახსოვს, რომ ამ გამოცემაში არაეთიკური მასალა დაბეჭდილიყოს...

და კიდევ ერთი — თუ მაინცდამაინც ასეთი კოდექსი ყველასათვის უნდა დაიწეროს, რა საჭიროა ინგლისის კანონის გადმოწერა? ის კოდექსი ინგლისელებისთვისაა დაწერილი. მართალია, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, მაგრამ ჩვენგან შექმნილი კანონი და კოდექსი ჩვენს სინამდვილეს უნდა შევუწონასწოროთ.

### ჟურნალისტებს სჭირდებათ ქცევის ნორმების დარეგულირების მექანიზმი

**მარინე ვეკუა**, სრული პროფესორი:

— ჩვენ ამ საქმეში არც პიონერები ვართ და არც ორიგინალურები. ყველა ქვეყანაში არსებობს მექანიზმი, რომელიც არეგულირებს ჟურნალისტის ქცევას, მაგრამ ეს მექანიზმები განსხვავებულია — ზოგან კონსტიტუცია არეგულირებს ჟურნალისტის (ისე, როგორც მეეზოვისა და პოლიტიკოსის) ქცევას, ზოგან — პრესის კანონი და სტანდარტი. ჩვენს შემთხვევაში კი — გვაქვს კონსტიტუციაც, კანონიც, სტანდარტიც და ახლა კიდევ შემოდის ქცევის კოდექსი.

კი ბატონო, იყოს ყველა პრინციპი, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მით უფრო, რომ ჩვენი საზოგადოების, და, სამწუხაროდ, ჩვენი კოლეგების პოლიტიკური და მოქალაქეობრივი კულტურა ძალზე დაბალია. მაგრამ ვინ უნდა განსაზღვროს, რა შეიძლება და რა — არა? ვიმეორებ, მე არ ვდაობ, რომ, არა მხოლოდ მაუწყებლებს, არამედ, საერთოდ, ჟურნალისტებს სჭირდებათ ქცევის ნორმების დარეგულირების მექანიზმი, რასაც განსაკუთრებით ვგრძნობ პრესაზე თვალის გადავლებით. მაგრამ ვინ უნდა დააწესოს ეს კოდექსი? ჩვენ რატომღაც ყველა ნორმა ერთმა ჯგუფმა შემოგვთავაზა. არც ამაზე მაქვს პრეტენზია, მაგრამ თუ თავად ჟურნალისტი ან ჟურნალისტთა ერთობა გრძნობს, რომ მათ უნდა შეიმუშაონ რაღაცა წესი და ამ წესით იმოქმედონ, მისცენ საშუალება — თავად გააკეთონ ეს. კი, ბატონო, როგორც ჟურნალისტი, გავითვალისწინებ გულშემატკივარი და ჭკვიანი კაცის რჩევას, მაგრამ ნუ დამტოვებენ ამ პროცესებიდან განზე.

უნდა მოინახოს კარგი კანონი, კარგი კოდექსი, გაკეთდეს კომპილაცია, ვიღაცის გამოცდილებაც გამოვიყენოთ, მაგრამ მოდი, ექიმს ვკითხოთ, როგორ უმკურნალოს პაციენტს, მხატვარს ვკითხოთ, რომელი საღებავია უკეთესი ტილოზე სურათის დასახატად. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჟურნალისტებმა თავადაც იციან, რა სჭირდებათ.

ჩემი აზრით, არც ის იქნება ცუდი, თუ ყველა მედიასაშუალება თავად შეიქმნის შიდა რეგულირების ნორმებს. ქცევის რეგულირების ამგვარი ფორმა დრომ მოიტანა.

### ჟურნალისტის ეთიკა მისი ზოგადი კულტურის და განათლების „პირდაპირპროპორციულია"

**მერი ტორაძე**, ასისტენტ-პროფესორი:

— არა ვარ მომხრე ზოგადადამიანური მორალის და პროფესიული მორალის მკვეთრი გამიჯვნისა. თუ ჟურნალისტი არღვევს მორალურ კანონს, საზოგადოებრივი ზნეობის ნორმებს, მას, ისევე, როგორც სხვა ადამიანებს, საზოგადოება კიცხავს, მკაცრ შეფასებას აძლევს. თუ ჟურნალისტი არღვევს სამართლებრივ ნორმებს, კანონს, ასეთ შემთხვევაში მას უნდა სჯიდეს სამართალი, როგორც ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანს. ჟურნალისტის ეთიკა მისი ზოგადი კულტურის და განათლების „პირდაპირპროპორციულია". თუ ჟურნალისტური ეთიკის დახვეწა გვსურს, ჟურნალისტთა კულტურულ ზრდაზე ვიზრუნოთ — ეს ნებისმიერ კოდექსზე უფრო ეფექტიანი იქნება.

# მორალს ვერ დააკანონებ

## ინტერვიუ ჟურნალისტიკის დეპარტამენტის დირექტორთან დავით პაიჭაძესთან

**— ბატონო დავით, თუკი არსებობს კონსტიტუცია, არსებობს კანონი გამოხატვის თავისუფლების შესახებ, არსებობს ქცევის პრინციპების თაობაზე ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაცია და ა.შ საჭიროა თუ არა დამატებით ჟურნალისტთა ქცევის კოდექსის მიღება?**

— საჭიროა! ეს არ არის მიღება „დამატებით". მორალი კანონზე მაღლა დგას, მორალს ვერ დააკანონებ. მასზე უნდა შეთანხმდე და დაიცვა. ჟურნალისტთა ქცევის კოდექსი სწორედ მათი პროფესიული მორალის ნორმათა კრებულია.

**— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ამ საკითხის აქტუალობა — რამდენად ეთიკურია დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა და კონკრეტულმა ფაქტორებმა გამოიწვია თუ არა ჟურნალისტების მიმართ ერთგვარი გაღიზიანება?**

— ძალიან საინტერესო იქნებოდა სერიოზული კვლევის ჩატარება იმის შესასწავლად, თუ როგორ აღიქვამენ მოქალაქეები ჟურნალისტების ტრანსლირებულ ღირებულებებს. ვფიქრობ, თავად მოქალაქეები საჭიროებენ ცოდნას და მზაობას ჟურნალისტის ნამუშევრის



ადეკვატური აღქმისთვის. დავუშვათ, ვიცით, რომ ჩვენს ახლობლებს აღიზიანებთ ზოგიერთი გაზეთის პუბლიკაციები ან ზოგიერთი ტელეკომპანიის ან რადიოს საინფორმაციო თუ სადისკუსიო პროგრამები. სასურველია, ეს გაღიზიანება არ დარჩეს ემოციის დონეზე და მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს ჰქონდეს მკაფიო კრიტერიუმი თავისი უკმაყოფილების გასააზრებლად. მაშინ საზოგადოებიდანაც უფრო აქტიურად წამოვიდოდა მოთხოვნა, ჟურნალისტებს დაეცვათ პროფესიული ქცევის ნორმები. თორემ ახლა ქცევის კოდექსის მოწინაალმდეგეთა ნაწილი თავისი ისტერიით მანიპულირებს მოქალაქეთა გაუთვითცნობიერებლობით და ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ არიქა, ქცევის კოდექსის შემოღება, აუცილებლად, ცენზურის დაბრუნებას ნიშნავს.

**— უნდა დაუწესოს თუ არა „სხვამ" ჟურნალისტებს ქცევის კოდექსი? რატომ არ შეუძლიათ თავად მათ შეიმუშაონ ეს პრინციპები? არის თუ არა დღევანდელ ქართულ მედიასივრცეში ერთიანობის შეგრძნება?**

— მე მომხრე ვარ, რომ ქცევის კოდექსზე მაუწყებლები (შეგახსენებთ, ჯერჯერობით საქმე ეხება მაუწყებელთა ქცევის კოდექსს და არა მთელი მედიისა) თავად შეთანხმდნენ. რასაც თქვენ ერთიანობის შეგრძნებას უწოდებთ, ის მედიასივრცეში (ეგებ მედია-საზოგადოება სჯობდეს?) ნამდვილად არ არის — თუ ერთიანობაში გულისხმობთ თუნდაც ზოგად ნორმებზე შეთანხმებას და პროფესიულ საქმიანობაში მათ დაცვას. საქართველოში რამდენიმე წლის წინათ ჟურნალისტთა და მედია-ორგანიზაციათა ჯგუფმა მიიღო პროფესიული სტანდარტი, რომელსაც მისივე ხელმომწერები არღვევენ ხოლმე. ქართული მედიის მოზრდილი ნაწილი მათ არც შეერთებია. მიმაჩნია, რომ არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ქართველი ჟურნალისტებისა, პროფესიული თვალსაზრისით, უბრალოდ, იმორალურია. ამორალური კი არა — იმორალური.

**— მუშაობს თუ არა საქართველოში მედიასაბჭო და თუ ვერ, ან არ მუშაობს, რატომ?**

— მედიასაბჭო საქართველოში ჯეროვნად ვერ მუშაობს. ამას ვამბობ გულისტკივილით, რადგან თავად ვარ მედიასაბჭოს წევრი. არის ხარვეზები მის დებულებაში და საბჭოს ზოგჯერ უჭირს გადაწყვეტილებათა მიღება.

**— დღეს რომ გამოკითხვა ტარდებოდეს, ვის დაასახელებდით ქართულ მედიასივრცეში საუკეთესო ჟურნალისტად და რატომ?**

— უბრალოდ, არ მივიღებდი ასეთ გამოკითხვაში მონაწილეობას. საამისოდ, სულ ცოტა, ორი მიზეზია: ქართული მედიასივრცე მეტია თბილისის მედიასივრცეზე. ჩემი მზერა კი სწვდება მხოლოდ თბილისს, ისიც ნაწილობრივ. რა ვიცი, ეგებ რეგიონებში დედაქალაქზე უკეთესი ჟურნალისტები არიან? მაგალითად, გორელი გოგა აფციაური, არც ერთ თბილისელ ჟურნალისტს არ ჩამოუვარდება. სხვაგან, შეიძლება, ვინმე მისი მჯობი იყოს. მეორეც, ასეთი გამოკითხვები ყოველთვის პირობითია, რადგან ზუსტად კაციშვილმა არ იცის, რა შეადგენს საუკეთესოობის შინაარსს.

**— თქვენი აზრით, რა იყო წლის მოვლენა საქართველოში?**

— ნატოსთან საქართველოს ინტენსიურ დიალოგზე გადასვლა და ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკიდან წასვლა.

გზაჯვარედინი უცხოეთიდან

# ზღვარი ჟურნალისტიკასა და PR-ს შორის სახიფათოდ ქრება

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტიკასა და PR-ს დემოკრატიულ საზოგადოებაში განსხვავებული ფუნქციები აქვთ — ეს არის ორი სრულიად დამოუკიდებელი სამყარო, ორი სხვადასხვა პროფესია და ორი სრულიად განსხვავებული ამოცანა მედიის სისტემაში. ჟურნალისტები ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან აგროვებენ და ამუშავებენ მათ. ამის საპირისპიროდ PR-ი თავისი არსით გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარეობს, ორიენტირებულია დაკვეთებზე, ფარავს არასასურველ ფაქტებს და წარმოგვიდგენს შეკვეთილ რეალობას.

რეალური სურათი კი სრულიად განსხვავებულია: ზღვარი ამ ორ სფეროს შორის, ხშირად, არ არსებობს. ექსპერტები დღეს უკვე ხმამაღლა საუბრობენ კრიზისში აღმოჩენილ ჟურნალისტიკაზე და PR-სფეროს მზარდ ძალაუფლებაზე. ამდენად, აუცილებელი ხდება ამ ორ სფეროს შორის დაწყებული ურთიერთშერევის პროცესის შესახებ აქტიური დებატები. რა ძალაუფლება აქვს PR-ს? რა მიმართება არსებობს ჟურნალისტიკასა და PR-ს შორის? როგორ შეიძლება აღიწეროს ამ ორ დისციპლინას შორის ძალთა ბალანსი? გერმანიაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებში, ინტენსიურად მიმდინარეობს ამ თემაზე დისკუსია და მეცნიერული კვლევები.

**,,ჟურნალისტები PR-ს არ აკეთებენ"** — 2006 წლის თებერვალში, მედიის კოდექსში დაწერილმა ამ ოთხმა სიტყვამ უნივერსიტეტებში, ჟურნალისტურ სკოლებში, რედაქციებსა და ინტერნეტფორუმებში ინტენსიური დებატები წარმოშვა. მოწმობენ თუ არა ეს სიტყვები გულუბრყვილობასა და რეალობისაგან მოწყვეტას?

ფრაზა — **,,PR-მა მოახდინა ჟურნალისტიკის კოლონიზაცია!"** —ბოლო წლებში სულ უფრო აქტუალური ხდება. ამ საკითხზე მსჯელობისას ექსპერტები, პირველ რიგში, რიცხვებს (სტატისტიკას) იმოწმებენ: გერმანიაში 48 000 ჟურნალისტს ინფორმაციით 30 000-დან 50 000-მდე PR-თანამშრომელი ამარაგებს. გარდა ამისა, როდესაც ჟურნალისტების რაოდენობა სულ უფრო მცირდება, PR-დარგში მომუშავეთა რიცხვი თითქმის გაორმაგდა. უფრო მწვავე სურათია აშშ-ში, სადაც 90-იანი წლების დასაწყისისათვის 120 000 ჟურნალისტი და 162 000 PR-თანამშრომელი იყო, ხოლო ათი წლის შემდეგ PR-თანამშრომელთა რიცხვი 200 000-მდე გაიზარდა. ამ ტენდენციას არ გამორიცხავენ ექსპერტები გერმანიაშიც.

თუმცა PR-სფერომ მხოლოდ რაოდენობრივად როდი გადაწონა ჟურნალისტიკა. დაიხვეწა მეთოდებიც. PR სფეროში მოღვაწეები წარსულში სწორედ ჟურნალისტები იყვნენ და მათ საკმაოდ კარგად იციან, თუ რა სურთ კოლეგებს.

ამასობაში კი PR-ის მძლავრმა ინდუსტრიამ ჟურნალისტიკა დაასუსტა. ამის ერთერთ მიზეზად ექსპერტები რედაქციებში დროისა და პერსონალის ნაკლებობასა თუ სასაცილო ჰონორარს ასახელებენ.

იმისათვის, რათა ეს ორი მიმართულება გაიმიჯნოს, ექსპერტები თვლიან, რომ ორივე სფეროს წარმომადგენლების მიერ უნდა გატარდეს გარკვეული ღონისძიებები. მასში გათვალისწინებულია თავად უმაღლეს სასწავლებლებში PR-სა და ჟურნალისტიკას შორის მკაფიო ზღვარის გავლება.

### რას წერს ჟურნალი "Bild der Wissenschaft"

,,როდესაც ბიჭი გოგონას ეცნობა და უხსნის, თუ რა დიდებული ბიჭია იგი, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეკ-

მე-11 გვერდზე

# ზღვარი ჟურნალისტიკასა და PR-ს შორის სახიფათოდ ქრება

მეათე გვერდიდან

ლამასთან. როდესაც ეუბნება, თუ რა მომხიბვლელად გამოიყურება ქალიშვილი, მაშინ ესაა აგიტაცია. მაგრამ, როდესაც გოგონა ბიჭის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას, რადგან სხვებისგან აქვს მოსმენილი, თუ რა არაჩვეულებრივი ახალგაზრდაა იგი, მაშინ ეს არის Public Relations".

ასე ჟღერს Public Relation-ის დეფინიცია PR-ის სახელმძღვანელოში. თავისი დარგის მიზნებზე საუბრისას Microsoft-ის პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დირექტორი გერმანიაში ტომას მიქელაითი განმარტავს: ,,ჩვენი ამოცანაა, პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა საწარმოს იმიჯზე". განსხვავებით რეკლამისაგან, ზემოქმედების ასეთი ფორმა ადრესატებისათვის არ არის აშკარა. გაზეთის მკითხველებს უჭირთ დამოუკიდებელი კვლევა-ძიების შედეგად დაბეჭდილი სარედაქციო სტატია განასხვავონ პრესის პიარ-ინფორმაციისგან.

იმისათვის, რათა შევძლოთ მათი ერთმანეთისგან განსხვავება, მნიშვნელოვანი იქნებოდა წყაროების ღიად დასახელება. თუმცა ასეთი რამ დღესდღეობით არ ხორციელდება, აღნიშნავენ ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორი მიქაელ ჰალერი და PR-ის მიმართულების პროფესორი გუნთერ ბენტელე ლაიფციგის უნივერსიტეტიდან. რადგან, დღესდღეობით, სტატიების დიდი ნაწილი პრესის ინფორმაციას ეფუძნება, ჟურნალისტებს, სამწუხაროდ, არ სურთ წყაროების გამჟღავნება.

ოფიციალურად რეკლამასა და PR-ს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთმა სტატიების გამოყენებისთვის ფული არ უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა სპეკულაცია. თუმცა ამ აკრძალვას სხვადასხვა ტრიუკის საშუალებით ხშირად გვერდს უვლიან. გუნტერ ბენტელეს განმარტებით: ,,ზოგიერთი მედია გვთავაზობს PR-ტექსტების გადმობეჭდვასა და მის გამოყენებას."

ორგანიზაციებისა და საწარმოების კომუნიკაციების მენეჯერები ცდილობენ დაიპყრონ ბაზარი ტელევიზიაში, რადიოში, ინტერნეტში, მაგრამ, მიქელაითის განმარტებით, მათთვის უმაღლესი ღირებულების მქონე ყოველდღიური გაზეთებია. 14 წლის ზევით ასაკის ადამიანთა თითქმის სამი მეოთხედი რეგულარულად კითხულობს გაზეთს – ეს კი, გერმანიაში დაახლოებით, 48 მილიონზე მეტი მკითხველია. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც ყოველდღიური გაზეთები ძლიერ ზეწოლას განიცდიან.

შემოსული განცხადებებისა და შეკვეთილი სტატიების სიმრავლის გამო რედაქციებში სულ უფრო ნაკლებ ჟურნალისტს უხდება საგაზეთო გვერდების შევსება. PR-სააგენტოებისა და პრესბიუროებისთვის გაზეთებში კერძო მიზნების განხორციელებისთვის შანსები დღითიდღე იზრდება.

,,შეიცვალა ჟურნალისტების როლიც. რედაქციებში სულ უფრო ნაკლები სპეციალისტები მუშაობენ", – აღნიშნავს კომუნიკაციების მეცნიერი და საწარმო „პარმას"-ს PR-მენეჯერი დანიელ ფლაიტერი. მისი აზრით, ,,ბევრ ჟურნალისტს აკლია სპეციალური ცოდნა, ამიტომ ისინი დამოკიდებული არიან PR-წყაროების ჭეშმარიტებასა და სარწმუნოობაზე." ამგვარად, ეკონომიკური დამოკიდებულების გამო სულ უფრო და უფრო ქრება ჟურნალისტური დამოუკიდებლობა. ფლაიტერმა თავის დისერტაციაში წარმოადგინა PR-ის მწარმოებელი ორგანიზაციებისა და ეკონომიკის სფეროში მომუშავე ჟურნალისტთა საქმიანობის ანალიზი. მან ჩაატარა გამოკითხვა ჟურნალისტებთან და გერმანიის ჟურნალისტური კავშირის წევრებთან. მისი შეფასებით, პუბლიკაციები კვლევა-ძიებისას მესამე ხარისხის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ – პერსონალური ინფორმანტებისა და ინტერნეტის საძიებო მანქანების გვერდით. ფლაიტერის არასასიამოვნო დასკვნა მდგომარეობს შემდეგში: კვლევა-ძიებისას ჟურნალისტები ხშირ შემთხვევაში ნაკლებად წინააღმდეგობრივ გზას ადგანან.

ფლაიტერის კვლევის მიხედვით, ადგილობრივი რადიო და გაზეთები, ფაქტობრივად, PR-ტექსტებს გადაუმოწმებლად იყენებენ. მედია რაც უფრო სუსტია ეკონომიურად, მით უფრო მეტად ისწრაფვის ორგანიზაციებთან კოოპერაციული საქმიანობისკენ. თუმცა PR-ის პროფესორი ბენტელე ხაზს უსვამს, რომ ,,ზოგჯერ პირიქითაც ხდება, ჟურნალისტიკის გარეშე PR-მენეჯერებიც ვერ შეძლებდნენ ასე ეფექტურად მუშაობას."







ჟურნალისტური გულმოდგინებისა და კეთილსინდისიერების იგნორირების მიზეზს ბენტელე ჟურნალისტების არასაკმარის განათლებაში ხედავს.

,,ზოგიერთი გაზეთი გამოსცემს 18 ადგილობრივ სეგმენტს. ბევრი ადგილობრივი ბიურო ძალიან პატარაა იმისთვის, რომ გაუმკლავდეს შრომას. ხშირად არ რჩება საკმარისი დრო ინფორმაციის სრული ანალიზისთვის". პროფესორ ჰალერის მიხედვით სტატიების დაახლოებით 15-20 პროცენტი ემყარება პრესის ინფორმაციებს – რაც უდაოდ საგანგაშო ტენდენციაა.

თავად ჟურნალისტები PR-მენეჯერს განიხილავენ როგორც მეგობრად, ასევე, მტრადაც. უმეტესობა, ერთის მხრივ, მოხარულია შეტყობინებებისა და ინფორმაციის სიუხვით, მაგრამ მეორეს მხრივ, ბევრი ღიზიანდება იმ ფაქტით, რომ დამოკიდებულია ამგვარ ტექსტებზე და რომ მათ გარეშე გაზეთის გვერდების შევსება უჭირს. ფინანსური პრობლემების გამო თავისუფალი ჟურნალისტები სხშირად იძულებულნი არიან, მიიღონ როგორც ჟურნალისტური, ასევე PR-დავალებები. ამას ხშირად მივყავართ ინტერესთა კონფლიქტამდე და შინაარსობრივ არეულობამდე, რასაც 2004 წელს ჩატარებული ლაიფციგის უნივერსიტეტის გამოკითხვა ადასტურებს: 105 ჟურნალისტიდან 44% არ იყო დარწმუნებული იმაში, არსებობს თუ არა ამ ორ სფეროს შორის განსხვავება.

ჰალერის შეფასებით, გერმანიაში თითქმის 50 000 ჟურნალისტის გვერდით დგას მუდმივად მზარდი PR-მენეჯერთა გუნდი, რომელთა რიცხვი დღეისათვის 30 000-ია, ამას გარდა, 500 PR-სააგენტო. მათ ემატება ორგანიზაციებსა და კავშირებში შექმნილი პრეს-ბიუროების დიდი რაოდენობა. მათი ზუსტი ციფრი არ არსებობს, რადგან PR-მენეჯერი, ისევე როგორც თავისუფალი ჟურნალისტი, შეიძლება დაირქვას პრაქტიკულად ყველამ.

გერმანული PR-სააგენტოების ლანდშაფტი მრავალფეროვანია: იგი მოიცავს, როგორც ერთი პირის ფირმებს, ასევე 100-ზე მეტი თანამშრომლის მქონე სააგენტოებს. დუსელდორფში ყველაზე დიდი PR-სააგენტო "Pleon Khotes Klewes"-ის ყოველწლიური შემოსავალი შეადგენს 30 მილიონ ევროზე მეტს. ბაზარი კი სულ უფრო და უფრო იზრდება.

პროფესორი ბენტელე აღნიშნავს, რომ PR-სფეროში სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს ჯერ კიდევ არა აქვთ გამოკვეთილი ფორმა. არსებობს რამდენიმე ზოგადი საერთაშორისო ქცევის წესი. ის, რასაც ბენტელე საჭიროდ მიიჩნევს, არის კოდექსი – ანალოგიური გერმანული პრესის კოდექსისა.

PR-საქმიანობაში ყოველთვის მოიძებნებიან ,,შავი ცხვრები", რომლებიც დარგს იმიჯს ულახავენ. ამის მაგალითი იყო Süddeutsche Zeitung-ის მიერ ბოლო წლებში განსაზღვრული კონცერნების ინტერესების სასარგებლოდ სარეკლამო კამპანიის წარმოება.

ზოგიერთი PR-სააგენტოს მიერ წინასწარ განზრახული არასწორი ქცევა და არაპროფესიონალური მუშაობა ჩრდილს აყენებს დარგის იმიჯს. ,,ყველაზე ხშირ შეცდომებს მიეკუთვნება ის, რომ ზოგიერთ PR-პასუხისმგებელს, როგორც ჩანს, არ შეუძლია რეკლამის PR-ისგან განსხვავება, რის შედეგადაც პრესის სტატიის ნაცვლად აქვეყნებენ სარეკლამო ბროშურას", – მიაჩნია ბენტელეს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში PR-ის დარგი საკმაოდ პროფესიონალური გახდა.

ბენტელე აუცილებლობად მიიჩნევს ჟურნალისტიკასა და PR-ს შორის ძალაუფლებრივი ბალანსის არსებობას. სწორედ ეს აქცევს ,,პრესის ლანდშაფტს" დემოკრატიულ ინფორმაციულ სისტემად. ჰალერთან ერთად, ბენტელეც აკეთებს პროგნოზს, რომ შემდგომ წლებში PR-ის დარგი უფრო დიდ ძალაუფლებას მოიპოვებს: – ,,რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, ფულის შოვნა სწორედ აქ შეიძლება."

**სტატიაში გამოყენებულია ჟურნალ "Bild der Wissenschaft"-ის პუბლიკაცია**

ბიზნესი

# ბიზნესი და ეთიკა ჩვენთან ჯერ კიდევ არ დამეგობრებულან

**შურთხია ბეროშვილი**

ბიზნესი შემოქმედებაა
ბიზნესი ბრძოლაა
ბიზნესმენებად იბადებიან
ბიზნესი – სამყაროა საზღვრებს გარეშე
ბიზნესი ეს არის – მიიღო სწორი გადაწყვეტილება...

ასე თვლის და ასე ასწავლის მზია ქირთბაია მათ, ვისაც სურთ ამ რთულ სფეროში გზა გაიკვლიონ. პროფესიით ფილოლოგი, ბუნებით – რომანტიკოსი და ლირიკო-




სი, მომავალ თაობას არა მარტო იმას ასწავლის, როგორ მოიპოვონ სიმდიდრე, არამედ იმასაც, თუ როგორ გამოიყენონ ის თავიანთ, თუ სხვათა სასიკეთოდ. ქალბატონმა მზიამ ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ არც თუ ისე ადვილად შესასრულებელ ჭეშმარიტებას მიაგნო: „ბიზნესის ეთიკის საფუძველი პატიოსნება, გულწრფელობა და სიტყვის ერთგულებაა".

მას შემდეგ, რაც მისმა ნაშრომმა – „საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი ქართულ ჰაგიოგრაფიაში" დიდი მოწონება დაიმსახურა და ქალბატონმა მზიამ ლექციების კურსის წაკითხვის უფლება მოიპოვა, გადაწყვიტა თავისი ნაფიქრი ფართო საზოგადოებისთვისაც გაეცნო. მისი წიგნი, „ბიზნესის ეთიკა", თამამად შეიძლება ითქვას, მხოლოდ სტუდენტებისა და ბიზნესმენებისათვის კი არ არის განკუთვნილი, არამედ მათთვისაც, ვისაც სურს, ცხოვრებისგან მიიღოს ყველა სიკეთე, რასაც ის გვთავაზობს. ანტიკურ ფილოსოფოსთა აზრები თუ თანამედროვე მდიდარი ადამიანების გამოცდილების გაანალიზება, რელიგიის დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ, კონკრეტული მაგალითები თუ სახალისო ტესტები წიგნის წარმატების საწინდარია. თურმე ფრანკლინი თვლიდა, რომ სინდისის ყოველდღიური შემოწმება ყველასთვის აუცილებელია. იგი ყოველ ღამე თავის თავს ეკითხებოდა, რა სიკეთე გააკეთა მან იმ დღეს და ამით საკუთარი სულის წვრთნის მაგალითს იძლეოდა.

დასავლეთი განებივრებულია ბიზნესზე გამოცემული ლიტერატურით, საქართველოში კი ამის დეფიციტია, ჩვენთან ხომ ბიზნესი და ეთიკა ჯერ კიდევ არ „დამეგობრებულან". ქართველი ბიზნესმენი ჯერ არცთუ ძალიან განსხვავდება კომუნისტური რეჟიმის წიაღში წარმოშობილი საქმოსნებისგან. ქალბატონი მზია ქირთბაია სტუდენტებში სწორედ ამ ცნობიერების შეცვლას ცდილობს. „ცხოვრება რომ კარგი გახდეს, მხოლოდ ერთი რამეა საჭირო, – თვითონ ვიყოთ უკეთესი", – მიაჩნია მას.

## ინტერვიუ წიგნის – ,,ბიზნესის ეთიკის'' ავტორთან

**– ქალბატონო მზია, ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ სტუდენტები ბიზნესით არიან დაინტერესებულნი, ეს პროფესია ხომ ჩვენს დროში ასე პრესტიჟულია. მაინც როგორ აკავშირებენ ისინი ბიზნესს და ეთიკას ერთმანეთთან?**

– დაინტერესება მართლაც არნახულია. წარმოიდგინეთ, 750 სტუდენტიდან 400-მდე ჩემი კურსი აირჩია. ამჟამად ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე ვკითხულობ ლექციებს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ასეთივე ინტერესს იჩენდნენ მათემატიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის თუ ბიოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებიც. ჩემს ლექციებზე დასწრება თავისუფალია და თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ აუდიტორია ყოველთვის გადაჭედილია. ვცდილობ, სტუდენტებს ავუხსნა, რომ მხოლოდ იმ საქმეს აქვს სასურველი შედეგი, რომელიც გიყვარს, მით უმეტეს, ბიზნესში წამხედურობით ვერაფერს გახდები. წარმატებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიო, როდესაც რეალურად შეაფასებ შენს პოტენციურ შესაძლებლობებს.

**– თქვენს წიგნში ,,ბიზნესის ეთიკა'' ბევრი სასიკეთო რჩევაა როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი ბიზნესმენებისთვის, მაგრამ ალბათ, ამის განხორციელება პრაქტიკაში უფრო რთულია. ,,წარმატებული ბიზნესის'' მზა რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ მაინც, პირველ რიგში, რა შეიძლება ვურჩიოთ მათ?**

– როდესაც ლექციების კურსის წაკითხვას ვიწყებ, ყველას ვთხოვ, დამიწერონ თავისუფალი თემა, რადგან კოლოკვიუმებით და ტესტირებებით იმდენ ინფორმაციას ვერ ვიღებ მათზე, რამდენსაც მათი გულახდილი თემებით. ვცდილობ, ვასწავლო ფიქრი, სწორად აზროვნება. იმისთვის, რომ თავიანთი ძალების რეალიზაცია შეძლონ, სწორი არჩევანი უნდა გააკეთონ. სტატისტიკურად ცნობილია, რომ მსოფლიოში ადამიანთა სამოცდაათი პროცენტი პროფესიას სხვისი მიბაძვით ირჩევს. მხოლოდ ოცდაათი პროცენტი ახერხებს ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება. თუ შენი გზით არ წახვედი, წარმატებული ვერ გახდები. ცნობილი ფრანგი ეკონომისტი კენე სამეფო კარზე ექიმად მუშაობდა. სამოცი წლის ასაკში დაწერა თავისი ,,ეკონომიკური ტაბულა", რომლითაც შემორჩა იგი ისტორიას. აქედან ის დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ არც ისე ადვილია განსაზღვრო, სად გადის შენი შესაძლებლობების ზღვარი. ამ დასკვნას ზოგი ადრე აკეთებს, ზოგი გვიან. ჩემი მიზანიც ის არის, რომ მივეხმარო მათ არჩევანის გაკეთებაში.

**– თქვენი წიგნის ლაიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბიზნესი მორალურად სუფთა ადამიანების საქმეა. ცხოვრებაში კი უამრავი მაგალითია, როდესაც ადამიანები მორალური კოდექსის დარღვევით მდიდრდებიან და კარგადაც გრძნობენ თავს. მათი დევიზია – ,,მიზანი ამართლებს საშუალებას''. ამას როგორღა უხსნით სტუდენტებს?**

– ჩემი ლექციები არ მიმდინარეობს მონოლოგის რეჟიმში. ამ თემაზე საკმაოდ მწვავე დისკუსიები იმართება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივი თაობა მოდის, ჩემი მიზანი სწორედ ეს არის, რომ მათ აზროვნებას სწორი მიმართულება მიეცეს. დავანახო ზნეობის პრიორიტეტები. ძველ ებრაელებს უთქვამთ: მე ბევრი ვისწავლე ჩემი მეგობრებისაგან, პედაგოგებისაგან, ყველაზე მეტად კი – ჩემი მოწაფეებისგან. მახარებს ის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას საღად განსჯის უნარი აქვს. მაგალითად, ერთი ლექცია დავუთმეთ იმაზე მსჯელობას, რამდენად სწორია, როდესაც „შავი ფულით" შენდება ტაძრები. სტუდენტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამას საქმოსნები ცოდვების გამოსყიდვის მიზნით აკეთებენ, უმრავლესობა კი თვლის, რომ უზნეო გზით ნაშოვნი ფულით არ შეიძლება სიწმიდეს შეეხო. მინდა გაიგონ, რომ მთავარი ფულის შოვნა არ არის. გარწმუნებთ, რეალობაა – ვინც უკანონოდ დააგროვა ფული, მალევე დაკარგა. სხვათაშორის, ეს დიდმა ბიზნესმენებმაც იციან.

**– როგორ ფიქრობთ, საქართველოში რამდენად არის შესაძლებელი ეთიკური ნორმების დაცვით მიაღწიო მიზანს და გახდე წარმატებული ბიზნესმენი?**

– საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ჩვენი ბიზნესმენების უმრავლესობამ რუსეთში დააგროვა ფული. აქამდე დამკვიდრებული იყო აზრი, რომ საქართველოში არ შეიძლებოდა „სუფთა" ბიზნესის კეთება. ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა, მაგრამ მე ვხედავ, რომ სიტუაცია ნელ-ნელა სასიკეთოდ იცვლება. თუმცა ჩვენ ამ მხრივ ძალიან ბევრი გვაქვს საზრუნავი. კახა ბენდუქიძის ნაამბობს შეგახსენებთ: თურმე მას კახეთში მეგობარი შეხვდა, რომელმაც „შესჩივლა": უმუშევარი დავრჩი, ამიტომ რამდენიმე ჰექტარი მიწა ვიყიდე და მას ვამუშავებო. ჩვენი აზროვნება ხშირ შემთხვევაში დამახინჯებულია, გვგონია, რომ „მუშაობა" მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებაა, მაგრამ ვიმედოვნებ, სიტუაცია შეიცვლება. ეს რომ არ მჯეროდეს, სტუდენტებთან არც ვიმუშავებდი.

**– დამწყებ ბიზნესმენებს სახელმწიფოსგან თუ აქვთ ხელშეწყობა?**

– დასავლეთის ქვეყნებში ამას დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენთან კი დამწყებ ბიზნესმენს ძალიან ბევრი ბარიერის გადალახვა უწევს. იაპონიის მაგალითი ავიღოთ: ადამიანს, რომელსაც საქმის დაწყება უნდა, ჯერ უპროცენტო კრედიტს აძლევენ, შემდეგ გრძელვადიან კრედიტს და ასე შემდეგ. ჩემი ოცნებაა ბიზნესკომუნიკაციის ცენტრის შექმნა, მაგრამ ვიცი, რომ დაბრკოლებები შემხვდება და ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებ. იმედი მაქვს, რომ როდესაც ჩვენი სტუდენტები უნივერსიტეტს დაამთავრებენ, მათ ხელსაყრელი ბიზნესგარემო დახვდებათ და თავიანთ მიზნებს განახორციელებენ.

**– თქვენი აზრით, პოლიტიკოსი შეიძლება იყოს ჩაბმული ბიზნესში?**

– ერთდროულად ორი საქმის კარგად კეთება შეუძლებელია. თუ პოლიტიკური სარბიელი აირჩიე, კეთილი ინებე და იყავი პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, საქართველოში ბიზნესცხოვრება ჯერ კიდევ დასახვეწია. ბევრი ულირსია ჩაბმული შოუბიზნესში, ასევე სხვადასხვა სფეროში. მაგრამ წარმატებებიც გვაქვს.

**– ვის თვლით საქართველოში ყველაზე ზნეობრივ ბიზნესმენად?**

– გოგი თოფაძეს და ლაშა პაპაშვილს, ისინი ბევრ ეროვნულ საქმეს აკეთებენ და, ჩემი აზრით, ეთიკურ ღირსებასაც ნაკლებად





არღვევენ. ისინი უფრო ეროვნულობაზე არიან ორიენტირებულები, რაც ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია. მრეწველობა და, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობა უნდა აღორძინდეს. მათი პრიორიტეტი თავიანთ საქმიანობაში სწორედ ეს სფეროა.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, XXI საუკუნე იქნება არა კონკურენციის, არამედ პარტნიორობის საუკუნე. ამის მიღწევა კი მაღალი ზნეობის გარეშე წარმოუდგენელია.

# ბევრი საინტერესო იდეა დაფინანსების გარეშე დარჩა

მაია ტორაძე



ნოდარ ლეკიშვილი

ცნობილმა სამეცნიერო ჟურნალმა "PкLYMER NEWS"-მა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, 2005 წელს გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელიც ქართველი მეცნიერის ნოდარ ლეკიშვილის მოღვაწეობას ეხება. ჟურნალი წერდა: „ძვირფასო კოლეგებო, გახსოვდეთ, რომ სადღაც შორს, პატარა და მშვენიერ ქვეყანა საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს კეთილი და ღირსეული ქართველი ქიმიკოსი, სიმპათიური სამხრეთევროპული გარეგნობით. ის ყველაფერს აკეთებს გამოყენებითი ქიმიის შემდგომი განვითარებისათვის. ოჯახის წევრებს და მის სტუდენტებს ის უყვართ, კოლეგები პატივს სცემენ, ხოლო პარტნიორები — ენდობიან მას“.

ნოდარ ლეკიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების სრული პროფესორია. მისი გამოკვლევები ქიმიკოსთა მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. იგი ამაყობს იმით, რომ მოსკოვის ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის ინსტიტუტში ასპირანტურის კურსის გავლისას მისი საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, ელემენტორგანული პოლიმერების ქიმიის მესაძირკვლე, აკადემიკოსი კუზმა ანდრიანოვი.

ბატონი ნოდარის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: მასალები სპეციფიკური თვისებებით, ოპტიკური ბოჭკოები და ოპტიკური ანიზოტროპული მასალები, ბუნებრივი რესურსებისა და მეორადი ნედლეულის გამოყენება სპეციფიკური თვისებების მქონე კომპოზიციურ მასალებში, ახალი ტიპის მეტალორგანული კომპლექსნაერთების სინთეზი და სხვა. გასულ წელს იგი აირჩიეს ავანგარდული მასალების მსოფლიო ფორუმის (აშშ) სამეცნიერო კომიტეტის წევრად, აგრეთვე ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრად.

პედაგოგიური და მეცნიერული გამოცდილება ბატონ ნოდარს უფლებას აძლევს, კრიტიკული იყოს ყველა იმ მოვლენის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, საუნივერსიტეტო რეფორმის წარმატებით დასრულებას ხელს უშლის.

**— ბატონო ნოდარ, თქვენ უცხოეთის ბევრ უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობთ და კარგად იცნობთ მათ სასწავლო სისტემას. როგორ შეაფასებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმას?**

— რეფორმას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ ბევრი რამ არის საყურადღებო. ჩვენ დავანგრიეთ ძველი და ვიწყებთ ახლის შენებას, რისთვისაც არსებობს ორი გზა: ერთი — როცა ჯერ მოსუფთავდება ადგილი და იწყება ახალი სისტემით, მასალით და კადრებით მუშაობა, და მეორე — როცა ხდება ძველის ნაწილობრივი დემონტაჟი და შენება იწყება ძველი კადრით, ძველი მასალით და ახალი იდეებით. ასეთ დროს მშენებლობის სისტემა და მეთოდი შესაძლებელია შეუსაბამო აღმოჩნდეს, რაც, საბოლოო ჯამში, არასასურველ შედეგს მოგვცემს. ახალ შენობას ახალი მასალა, ახალი მეთოდი და ახალი კადრი სჭირდება, თორემ არაფერი გამოვა.

ჩემი აზრით, კონკურსის შედეგებით ნაწილობრივ გულდაწყვეტილი და წარმატებული პროფესორ-მასწავლებლები ერთად უნდა დავდგეთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ პრინციპულად ახალი ტიპის, დასავლური სტანდარტების შესაბამისი ეროვნული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შესაქმნელად. ჩემთვის წარმოუდგენელია, როდესაც ხელფასს უნივერსიტეტიდან იღებ და ამავე დროს, ეზოში საუნივერსიტეტო რეფორმის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგზე დგები.

სამწუხაროდ, რეფორმა ბევრს შეეხო. მათ შორის, ჩემს ოჯახსაც — ჩემი ვაჟი, რომელიც თავის დარგში ერთერთი იმედისმომცემი, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდა მეცნიერია და სამწლიანი სამეცნიერო სტაჟირება ჰოლანდიასა და გერმანიაში გაიარა, უნივერსიტეტის გარეთ დარჩა. მან კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვა, იმ მოტივით, რომ მასში მე ვმონაწილეობდი.

ჩვენ დავაგვიანეთ რეფორმა. ის გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მაშინ ამის პოლიტიკური ნება არ იყო. დღეს პოლიტიკური ნებაც არის და მეტ-ნაკლებად სახსრებიც გამოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია, შეიქმნას ის მინიმალური პირობები, რაც ჩვენს სტუდენტებს ხარისხიანი ცოდნის შეძენის საშუალებას მისცემს და მათ მეტად კონკურენტუნარიანს გახდის. ახლა ამ პროცესს ხელის შეშველება სჭირდება და არა ხელოვნური დაბრკოლებები, რაც ხშირად გვეღობება გზაზე. საჭიროა მართვის სისტემის დახვეწა. ადმინიტრაციას უკეთ უნდა ჰქონდეს ორგანიზებული და ჩამოყალიბებული ეს სისტემა, ხოლო რეგლამენტი — რა დროში რა უნდა გაკეთდეს, ზუსტად უნდა იყოს გათვლილი. ვფიქრობ, ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია მიმდინარე პროცესების მონიტორინგის მექანიზმი, რაც ყველაზე რთულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ამ სფეროშიც თანდათან უკეთესი პერსპექტივა ისახება.

ვფიქრობ, რომ სწავლებაშიც და მეცნიერებაშიც ამოცანების სწორად ჩამოყალიბებაა საჭირო. ცვლილებები ეტაპობრივად და სიღრმისეულად უნდა განხორციელდეს.

**— რას მიიჩნევთ პირველი რიგის ამოცანად?**

— მიუხედავად იმისა, რომ დაგვკიჟინებენ, უნივერსიტეტი კოლეჯად აქციეთო, პირველ რიგში, მაინც, საბაკალავრო პროგრამა უნდა დაიხვეწოს და შეუწონასწორდეს საერთო ევროპულ განათლებას. ამის შემდეგ კი უფრო მოქნილი უნდა გახდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რადგან ჩვენმა თაობამ კარგად მომზადებული ცვლა მიიღოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სეგმენტში ადვილია უცხოელებთან ურთიერთობის დამყარება. შესაძლებელია მასტერკლასებისა და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაც. აქ ერთმანეთს შეავსებს მათი კარგი ბაზა და ჩვენი ენერგია და ახალგაზრდა კადრები. ჩემთვის ცნობილია, რომ რექტორი გეგმავს უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების მოწვევას ჩვენს უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად, რაც ძალზე სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. მაგალითად, ჩვენ გვყავს უცხოეთში მოღვაწე შესანიშნავი ქიმიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე, რომელსაც ბატონმა გიორგიმ მისცა საშუალება პერიოდულად აქაც წაიკითხოს ლექციები და გაუძღვეს ქიმიის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას — ფიზიკურ ქიმიას. ასეთი ურთიერთობები თუ დაიხვეწება, მინიმუმ 5-7 წელიწადში გვექნება რეალური შედეგი. ამაზე სწრაფად, არა მგონია, სიღრმისეული ცვლილებები განხორციელდეს.

**— რექტორის საარჩევნო პროგრამაში ხაზგასმულია, რომ პრიორიტეტი ენიჭება საუნივერსიტეტო სწავლებისა და მეცნიერული კვლევების ხარისხს. თქვენი აზრით, რა არის საჭირო ამ პროცესის ხარისხის ასამაღლებლად?**

— არ არსებობს კარგი ლექტორი თუ ის კარგი მკვლევარიც არ არის. სასწავლო და სამეცნიერო პროცესები არ შეიძლება უნივერსიტეტში ცალ-ცალკე განიხილებოდეს, რადგან ეს არის ერთი მთლიანობა, რისთვისაც საჭიროა ფინანსები და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რადგან ამ ეტაპზე სახელმწიფო დაფინანსება მთელ სამეცნიერო სიბრტყეს ვერ ექნება, კვლევების ხარისხის ასამაღლებლად ერთადერთი სწორი პოლიტიკაა საგრანტო პოლიტიკა — მეცნიერთა დაფინანსების უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც აუცილებლად ობიექტური და პატიოსანი უნდა იყოს.

გრანტების განაწილების დღევანდელი წესი სავსეა ნაკლოვანებებით. წარდგენილ პროექტებზე თუ ორი უცხოელი ექსპერტი მაღალ ქულებს წერდა, ჩვენი — ყოვლად დაუსაბუთებლად აძლევდა ნაშრომს ამ ქულების ნახევარს, რის გამოც ბევრი საინტერესო იდეა დაფინანსების გარეშე დარჩა. სხვათა შორის, ამის თაობაზე მინისტრსაც ეცნობა. დარწმუნებული ვარ, რომ ის ძალისხმევას არ დაიშურებს უფრო ეფექტური და ობიექტური საგრანტო პოლიტიკის გასატარებლად. მე ობიექტური ვარ, რამეთუ საგრანტო პროექტი წელს არ წარვადგინე.

**— პროექტები თქვენი ფაკულტეტიდან იყო წარდგენილი?**

— დიახ, ჩემმა რამდენიმე კოლეგამ წარადგინა პროექტები. ორმა მიიღო დაფინანსება, ორი მსოფლიო რეზონანსის მქონე პროექტი კი არ დაფინანსდა.

ჩემი აზრით, ძალიან ცოტაა თითო დარგში ორი-სამი გრანტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის ეს მეცნიერთა დაფინანსების ერთადერთი წყაროა.

მეორე მხრივ, ჩვენც ბევრი რამის გაკეთება მოგვიწევს. პირველ რიგში, უნდა ვისწავლოთ გრანტის კარგად შედგენა — ძალიან ხშირად საინტერესო იდეა გვაქვს და მას სათანადოდ ვერ ვასაბუთებთ, ამიტომ მაღალ ქულებსაც ვერ ვიღებთ. მიზეზი ისაა, რომ ქართველი მკვლევარების გარკვეული ნაწილი მეცნიერული იდეის სათანადო ჩამოყალიბებისა და საგრანტო პროექტის ჯეროვნად გაფორმების ტექნოლოგიას ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ფლობს. აქ ხან პრაქტიკის არქონა იჩენს თავს, ხან — ენობრივი ბარიერი. მეც მიწერია გრანტები და ბევრი ისეთი ნიუანსია, მიიღებ რეცენზიას და გაგიკვირდება — ეს როგორ გამომეპარა, ეს ხომ ვიცოდი...

ამდენად, მეცნიერული კვლევების და, ცხადია, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, უპირველესი ამოცანაა, ფინანსების მოძიება და ადგილობრივი საგრანტო ფონდის გაფართოება, რასაც უნდა ახლდეს ობიექტურობისა და საჯაროობის პრინციპები. ფინანსების მოძიების კარგი რეზერვებია ჩადებული ადგილობრივი ბიზნესმენების საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და განათლებისაკენ შემობრუნებაში.

**— თქვენი აზრით, მეცნიერების განვითარებას საქართველოში მხოლოდ დაუფინანსებლობა უშლის ხელს?**

— სახსრების უქონლობა ერთერთი მიზეზია, მთავარი წინააღმდეგობა კი ორი მიზეზით არის განპირობებული. ამათგან ერთი ჩვენი ტრადიციული ზერელე და დილეტანტური ხასიათია — ძალიან მასიური რომ გახდა მეცნიერება და ყველას რომ მოგვინდა უცებ, მეცნიერები ვიყოთ და მეორე — ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვაქვს სწორი დაგეგმვა და მეცნიერული იდეების პროპაგანდის, გაფორმებისა და განხილვის სრულყოფილი ორგანიზაციული სისტემა. თუ ამ სფეროს ძირეულად გარდაქმნას მოვახერხებთ, ნელ-ნელა ახალგაზრდა კადრების აღზრდის სისტემა ეფექტური გახდება. ამაშია ჩვენში მეცნიერების განვითარების რეალური რეზერვები.

ჩვენ უნდა დავარწმუნოთ უცხოელი პარტნიორები, რომ დიდი პოტენციალი გვაქვს. ვინც საქმეში ჩახედულია, იცის, რომ ქართველ მეცნიერთა ძალიან ბევრი კარგი მასალა შედარებით მეორეხარისხოვან ჟურნალებში იბეჭდება, რადგან აქ ნდობის ფაქტორიც მოქმედებს. არ გვიცნობენ, არ არის დამყარებული კონტაქტები უცხოეთის წამყვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან და შედეგიც სათანადოა. მე მომწონს და მხარს ვუჭერ საუნივერსიტეტო რეფორმაში ამ კონტაქტების გაფართოების სამომავლო გეგმებს, რადგან ეს საკითხი მართლა მოსაგვარებელია. მეტად უნდა დავაინტერესოთ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება, რომ მონაწილეობა მივიღოთ საერთაშორისო კონფერენციების, ვორქშოპების, სიმპოზიუმების მუშაობაში, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დიდი ყურადღებით ეკიდება ჩვენი საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საქმეს.

პირადად მე, ბოლო პერიოდში, 5 საერთაშორისო კონფერენციაზე ვიყავი მიწვეული. ესპანეთში, სადაც კონფერენცია იმართებოდა საყლაპავი წამლების ქიმიის განვითარების საკითხებზე და ნიუ-იორკში — მასალათმეცნიერების საერთაშორისო საბჭოს სხდომაზე; ასევე მიწვეული ვიყავი ერევანში, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ერთ-ერთი სექციის ხელმძღვანელი. ეს საერთაშორისო კონფერენცია სპეციფიური თვისებების მქონე მასალების ქიმიის ტექნოლოგიას მიეძღვნა; მიმიწვიეს ივანოვოში, სადაც წარმოადგინეს კომპოზიციური მასალების შექმნის და თვისებათა კვლევის საინტერესო შედეგები. ახლა მიწვეული ვარ ბრაზილიაში საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის თემაა „ავანგარდული მასალები და ტექნოლოგიები“. სამწუხაროდ, ვერსად ვერ წავედი. როგორ მივიდე რექტორთან და ვთხოვო სამივლინებო თანხა, როცა ჯერ კიდევ არასაკმარის დონეზეა სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გვაკლია ქიმიური რეაქტივები და ხელსაწყოები.... მე მირჩევნია იმ თანხით რეაქტივები შევიძინო და სტუდენტს კარგად ვასწავლო, ვიდრე წავიდე სამდღიან კონფერენციაზე. ახლა ვეძებთ სპონსორებს და თუ მოვიძიეთ, ჩვენი მიმართულების ახალგაზრდებს აუცილებლად გავუშვებთ საერთაშორისო კონფერენციებზე, რომ სათანადო ინფორმაცია ჩამოიტანონ და უშუალოდ გაეცნონ დარგის წამყვან სამეცნიერო საზოგადოებას. ახლა ყველაზე მთავარი ასეთი ნაბიჯების გადადგმა და ამ კუთხით მუშაობის გააქტიურებაა საჭირო.

**— თქვენი აზრით, როგორი ლექტორი სჭირდება, დღეს, სტუდენტს და უნივერსიტეტს?**

— თბილისის უნივერსიტეტში აკადემიური კონკურსის შედეგად მოხვედრილ ლექტორებს სწავლება ნამდვილად ხელეწიფებათ. ლიტერატურაც, ასე თუ ისე, არის, სახელმძღვანელოებს ვადგენთ, ლექციების კურსს ვამუშავებთ, მაგრამ ამასთან, საჭიროა ლექტორსა და სტუდენტს შორის დამყარდეს უფრო ეფექტური კონტაქტები, შედგეს დიალოგი, რასაც უნდა დაერთოს სტუდენტთა ინტენსიური ჩაბმა სამეცნიერო კვლევებში.

ჩემი მიმართულებით მე მაქვს ჩამოყალიბებული სამი ტიპის სემინარი — სტუდენტთა სამეცნიერო, პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდური და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო — სამივე სემინარი წარმატებით მუშაობს, საკმაოდ მწვავედ და კრიტიკულად განიხილება მოხსენებები. სტუდენტი ასეთ მუშაობაში იზრდება და გარკვეულ ცოდნას იძენს. ყველა მეცნიერი ვერ გახდება, მაგრამ სპეციალისტისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს კი აუცილებლად შეიძენს.

ჩემი აზრით, თითოეულ ლექტორთან ორი-სამი სტუდენტი ინდივიდუალურად უნდა იყოს ჩაბმული სამეცნიერო თემატიკაში. არა ფორმალურად, არამედ მოწაფე-მასწავლებლის უშუალო ურთიერთობითა და დიალოგით. ცოდნა, რომელიც სტუდენტმა ლექციაზე მიიღო, გაფართოვდება, გაღრმავდება და მატერიალურ ძალად გადაიქცევა. შედეგიც არ დააყოვნებს.

უნივერსიტეტში

## ორი უძველესი ქართული სასწავლებლის საერთო გეგმები

27 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი მარგველაშვილმა.

ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის გაფორმებული მემორანდუმი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ უფრო მაღალი სტანდარტის განათლება.

„როგორც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს, ისე თსუ-ს გააჩნია თავისი ინდივიდუალური პროფილი. არის მიმართულებები, სადაც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი მართლაც უალტერნატივოა, კონკურენციის გარეშეა. თსუ-ის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ ცოდნა იმ მიმართულებებში, რაც განსაკუთრებით მძლავრად არის განვითარებული თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის სტუდენტები იქ დაესწრებიან ლექციებს, ანუ მოხდება კრედიტების გაცვლა. თავის მხრივ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ექნებათ თსუ-ში მოისმინონ ლექციები და მიიღონ კრედიტები იმ მიმართულებებში, სადაც ჩვენი უნივერსიტეტი ტრადიციულად ძლიერი იყო“, — განაცხადა თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ხუბუამ მემორანდუმის გაფორმებისას

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ზრდიდა სამეცნიერო ელიტას, ხოლო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ზრდიდა სახელოვნებო ელიტას. ამდენად, თსუ-სთან თანამშრომლობა გვისახავს მეტად საინტერესო პერსპექტივებს. თავის მხრივ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს უკვე აქვს თსუ-ს სტუდენტების მომზადების



გამოცდილება. იმედი მაქვს, მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ეს თანამშრომლობა სრულ მასშტაბებს შეიძენს“, — აღნიშნა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ამ მემორანდუმის გაფორმება იმითაც არის საინტერესო, რომ ურთიერთთანამშრომლობაზე ორი უძველესი ქართული უნივერსიტეტი შეთანხმდა.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

## ასეთი თანამშრომლობით პირველ რიგში სტუდენტი მოიგებს



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან. 27 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაფორმდა მორიგი მემორანდუმი თსუ-სა და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს შორის.

მემორანდუმის გაფორმებისას თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ირმა რატიანმა საუნივერსიტეტო და აკადემიური ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე გაამახვილეს ყურადღება.

გიორგი ხუბუას თქმით, ასეთი თანამშრომლობით, პირველ რიგში, მოგებული რჩება სტუდენტი, რადგან მას საშუალება ეძლევა, თანაბრად გამოიყენოს როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული, ასევე ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა პოტენციალი.

ირმა რატიანმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებისათვის. ახალი ტიპის პროგრამებში გაზრდილია კვლევითი კომპონენტი, ამიტომ ამ პროცესში ლიტერატურის ინსტიტუტის პოტენციალის ჩართვა მეტად სასარგებლო იქნება.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

# საქართველოში რომ არ გყავდეს ასეთი კაცი, უნდა გამოიგონო...

## სტუდენტებმა გოდერძი ჩოხელს უნივერსიტეტში შემოქმედებითი საღამო მოუწყვეს

**შურთხია ბეროშვილი**

„უჩვეულო“ – ეს სიტყვა თითქოს გაიცვითა და თავისი პირველადი სიღრმისეული თვისება დაკარგა, თუმცა სხვა განმარტება ვერავინ მოუძებნა უჩვეულო კაცის – მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის საღამოს. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილ სტუმრებს საუნივერსიტეტო სტუდენტური გაზეთის „ახალგაზრდა იურისტის“ სახელით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არჩილ კაიკაციშვილი და მარიკა არევაძე მიესალმნენ. „გოდერძი ჩოხელი ის შემოქმედია, რომელსაც ყველა დროში ექნება აწმყო. ის სხვას არ გავს, იგი თავის ლექსს ჰგავს, თავის პროზას, თავის შემოქმედებას“, – განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.



მართალია, თავად მწერალი ავადმყოფობის გამო თავის შემოქმედებით საღამოს ვერ დაესწრო, მაგრამ სტუდენტების მიერ წაკითხულმა მოთხრობებმა და წარმოდგენილმა ფილმებმა, გარკვეულწილად, ეს დანაკლისი შეავსო. სტუმრებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ისიც, რომ მწერალთან შეხვედრის ინიციატივა იურისტებმა გამოიჩინეს. ,,ჩვენს დროს ასეთ საღამოებს, ძირითადად, ფილოლოგები და ისტორიკოსები მართავდნენ,” – ღიმილით აღნიშნავდნენ ისინი. ,,გოდერძი ჩოხელის დარბაზში არყოფნის სევდა” სხდომის წამყვანმა დათო ტურაშვილმა გააპროტესტა.

„დარდების შემგროვებელმა“ თავისი სურვილი... თავის მეგობარს ნინო ზედელაშვილს გამოატანა:

**,,უნივერსიტეტში 1984 წელს მომიწყვეს შეხვედრა. მას მერე არ გამნელებია იმ შეხვედრით მოგვრილი სითბო და სიყვარული. იმიტომ, რომ უნივერსიტეტი მიმაჩნია დიდ ტაძრად და ასე ადვილად არავის უწყობდნენ ამ ტაძარში შეხვედრას. მაშინ ,,ადამიანთა სევდა‘‘ ახალი გადაღებული მქონდა და ის ვაჩვენე. უნივერსიტეტმა მაშინ იმხელა სითბო და სიყვარული მაგრძნობინა, რომ მას შემდეგ ჩვეულებად მექცა, თუ ვინმეზე ვიყავი გაბრაზებული, უნივერსიტეტის ბაღში მოვდიოდი, ეზოში, სკამზე ვჯდებოდი და ვწყნარდებოდი. ახლა ვნატრობ, ნეტა ახლაც შემეძლოს ისევ ისე დავჯდე ეზოში, ვუყურო თეთრ ტაძარს, წარმოვიდგინო გაუტეხელი ვაჟა-ფშაველა და აღვივსო ძალ-ღონით. მე კი ისიც არ შემიძლია, მოვიდე და გიყუროთ, როგორ ატარებთ ჩემთან შეხვედრას. მე თქვენს გვერდით არა ვარ, თუმცა, არა! – მე მაინც თქვენთან ვარ, ყველგან და ყოველთვის. თქვენ ხომ ჩემი სულის ნაწილი ხართ. თქვენ ხომ ჩემი მომავალი საქართველო ხართ. რა ბედნიერებაა, როცა დაუსწრებლად გიხდიან საღამოს. მადლობა მინდა გითხრათ იმ სიყვარულისთვის, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო შვილებო, მომიტევეთ, მომიტევეთ, რომ ახლა თქვენს გვერდით არა ვარ, გწამდეთ, რომ მაინც თქვენთან ვიქნები. ბედნიერ მომავალს, შობა-ახალ წელს გისურვებთ, ჩვენი წმინდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი. სიყვარულით, თქვენი გოდერძი ჩოხელი‘‘.**

დათო ტურაშვილის მცდელობამ – გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე საუბრისას სევდა უნდა მოვიშოროთ, რადგან მისი ფილმები და მოთხრობები პირიქით, იმედით და სიხარულით გვავსებსო – შედეგი არ გამოიღო. მისი მეგობრები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ გოდერძი ჩოხელის დარდის მიზეზი მისი უმოქმედობაა, რადგან მას ამჟამად არა აქვს საშუალება, ფილმი გადაიღოსო.

მოწვეულ სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა: „უნივერსიტეტი მოხარულია, რომ ამ კედლებში ტარდება ასეთი შესანიშნავი საღამო, არაჩვეულებრივი თვითონ გოდერძი ჩოხელია და მისი შემოქმედება. განსაკუთრებით მივესალმები ჩვენი ქართული ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს. დიდი ხანი არ არის, რაც უნივერსიტეტმა ივანე ჯავახიშვილის იუბილე აღნიშნა, შეგახსენებთ, რომ პირველი ლექცია, რომელიც ამ კედლებში მან წაიკითხა, ეხებოდა ადამინის პიროვნებას და მის როლს ქართულ საისტორიო-ფილოსოფიურ ლიტერატურასა და ცხოვრებაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ უნივერსიტეტი იმთავითვე ორიენტირებული იყო სწორედ პიროვნების სულიერი ღირებულებების დაფასებით. შემიძლია დავადასტურო, რომ უნივერსიტეტი მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებს ამ ტრადიციას. დრო იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება გვიწევს ღირებულებათა გადაფასების პერიოდში, ჩვენი ახალგაზრდობა აცნობიერებს ტრადიციების სიძლიერეს. ეს საღამოც, რომელიც იურისტების ინიციატივით ეწყობა, ამის დასტურია.

ძალიან ვწუხვარ, რომ ბატონი გოდერძი აქ არ არის და ვერ ისმენს ჩვენს სურვილებს. მინდა გთხოვოთ, რომ პირადად ჩემგან, მთელი უნივერსიტეტის სახელით გადასცეთ დიდი კრძალვა და მოწიწება, იმედი მაქვს, რომ ის მაინც გვესტუმრება, როგორც რიგითი ქართველი მკითხველი და მაყურებელი, იმედს ვიტოვებ, რომ კვლავ გაგვახარებს თავისი შემოქმედებით“.

გიორგი ხუბუამ გოდერძი ჩოხელს, როგორც თვითონ აღნიშნა, უნივერსიტეტის სახელით „მოკრძალებული საჩუქარიც“ გაუგზავნა.

მოსაგონარი და გასახსენებელი ბევრი ჰქონდათ მის კოლეგებსა და მეგობრებს. კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ ის დღეები გაიხსენა, როცა პირველად „აღმოაჩინა“ გოდერძი ჩოხელი. „ის კინომცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. როდესაც პირველი სარეჟისორო ფაკულტეტი გაიხსნა, ერთერთი სახელოსნოს ხელმძღვანელად დამნიშნეს. ერთხელ ჩემთან მოვიდა ძალიან მორიდებული, შეუმჩნეველი პატარა ბიჭი და გაოცებულმა მითხრა – მეგონა, რომ იქ, სადაც მე ვსწავლობ, კინოს გადაღების საშუალება მექნებოდა, მაგრამ თურმე მხოლოდ კინოზე უნდა ვწერო, მე კი ფილმის გადაღება მინდაო. ისეთი მომხიბლავი იყო მისი გულუბრყვილობა, რომ გადავწყვიტე, პატარა ფორმალობების მოგვარების შემდეგ ჩემთან გადმომეყვანა. **განგების მჯერა და დარწმუნებული ვარ, მწერლობაც და რეჟისორობაც მისი ბედისწერა იყო. მაოცებდა მისი ფილოსოფიური ხედვა, ამავე დროს იგი ისეთი გულუბრყვილოა, როგორც ბავშვი. გოდერძი ჩოხელი უკვე არსებობს როგორც მოვლენა. იგი ჩამოვიდა გუდამაყრის ხეობიდან და თან მოიყოლა „დარდების შემგროვებელი“, „ვარდისფერი კაცი“, „გუდამაყრელი დედაკაცები“, „ბაკურხეველი ხევსური“ და კიდევ სხვა ბევრი ვინმე.** ყველამ იცის, ვისაც მწერლობასთან რაიმე შეხება აქვს, რა ძნელია სიუჟეტების მოგონება. მისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მისი „დარდების შემგროვებელი“ დადის სოფელსოფელ, კარდაკარ, ზურგზე მოკიდებული დარდებით სავსე გუდით – ეს მსოფლიო სევდას უტოლდება. გოდერძი მესამე კურსზე იყო, როდესაც მისმა ფილმმა „ადგილის დედა“, ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა. გუდამაყრის მთებში გადაღებულმა ფილმმა, სადაც ოთხმოცი წლის ქალი თამაშობს, გერმანელი მაყურებელი აღაფრთოვანა. ეს ქართული კინოს გამარჯვებაც იყო. ბედნიერი ვარ, როდესაც ვხედავ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას აინტერესებს მისი შემოქმედება. მას ახლა ძალიან სჭირდება თითოეული თქვენგანის თანადგომა.“



როგორც მისმა მეგობრებმა აღნიშნეს, გოდერძი თითოეულ ადამიანს, როგორც თითო მოთხრობას, ისე უყურებს. პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა უნივერსიტეტში გამართულ საღამოს სევდის და სიხარულის ზეიმი უწოდა. მისი აზრით, ჩოხელის სევდა რომელიმე ხელისუფლების ან წყობის გამო კი არ არის, არამედ მისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე მომდინარეობს. „მისი სევდა ვაჟას სიტყვებითაც შეიძლება გამოვხატოთ: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა“ – ის ჩვენი სულის ნაწილია. მოვეფეროთ, ხელი შევუწყოთ, რამდენადაც შეგვიძლია. ჩვენ, ქართველებს მაინდამაინც წაქცეული მუხები გვიყვარს, ფეხზე მდგარ მუხას არავინ ზოგავს“ – განაცხადა მან.

კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ გოდერძი ჩოხელის ფილმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის თავისუფლად შეიძლება კინოკლასიკოსად ჩაითვალოს. „მისი ფილმები კინომატოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებია. ზოგიერთები თვლიან, რომ ის მწერლობაში უფრო ძლიერია, მაგრამ ეს ასე არ არის. მისი შემოქმედება მეტ დაფასებას იმსახურებს. ის მორიდებული ადამიანია. ასე მგონია, აქაც იმიტომ არ მოვიდა, რომ ეს ქებადიდება არ მოესმინა“.

მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ ჩვეული არტისტიზმით გამოხატა თავისი დამოკიდებულება – **„საქართველოში რომ არ გყავდეს ასეთი კაცი, უნდა გამოიგონო. ის პლანეტის კაცია. ბედნიერი და ამასთან უბედური. მისი ბედნიერებაა გუდამაყარი, ჩოხი, სამშობლო, შვილები, ტყე, ველი, არწივი, ჩიტი, არაგვი... არაგვს ჰგავს გოდერძი – ლაღი, ამღვრეული, წმინდა, დაუმორჩილებელი...“**

გივი ბერიკაშვილი თვლის, რომ ბედნიერია, რადგან საშუალება ჰქონდა გოდერძი ჩოხელის ფილმებში ეთამაშა. – **„იგი არასდროს არ არის მარტო. მხოლოდ მაშინ არის საცოდავი და უბედური, როცა არ მუშაობს.** რკინის ქალამნები მაცვია და დავდივარ, იქნებ როგორმე გამოვძებნო ადამიანი, ვინც ფილმის გადაღებაში დაეხმარება. ჩემი ოცნებაა მის „ვარდისფერ კაცში“ ვითამაშო, როგორ მინდა ავისრულო ეს სურვილი.“ მსახიობმა გოდერძი ჩოხელს ვაშინგტონიდან მისი მეგობრის და გულშემატკივრის კახი კავსაძის მოკითხვაც გადასცა.

საღამო „ბაკურხეველი ხევსურის“ და „ადგილის დედის“ ფილმების ჩვენებით დამთავრდა. ვუყურებდი კლდეებს და საჯიხვეებს, საიდანაც „კარგად ჩანს საქართველო“.

---

**უნივერსიტეტში**

# გაკეთებულს დანახვა უნდა

**მანანა ჯურხაძე**

უნივერსიტეტში, ალბათ, წლების მანძილზე არ გარემონტებულა სასწავლო კორპუსები, აუდიტორიები, ლაბორატორიები. მოძველდა და მწყობრიდან გამოვიდა გათბობის სისტემა, რის გამოც ზამთარში ლექციების ჩატარება შეუძლებელი გახდა. არა და სტუდენტებსა და პედაგოგებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად სათანადო პირობების შექმნა სჭირდებათ. ბუნებრივია, დაგროვილი პრობლემების მოგვარება ერთი ხელის მოსმით წარმოუდგენელია, რადგან იგი უამრავ ტექნიკურ თუ ფინანსურ საკითხებთანაა დაკავშირებული. ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ კეთილმოწყობის სასიკეთო ძვრები დაიწყო და ეს უკვე ნათლად დაეტყო უნივერსიტეტის კორპუსებს.



ასლთა გადამრავლების ახალი ჯიხური მეორე კორპუსში

**თემურ ჯიშკარიანი,** მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე:

გასული წლის ბოლოს უნივერსიტეტში ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა გათბობის ორგანიზებულად ჩართვა იყო. თსუ მე-3 კორპუსში, უმოკლეს ვადაში, თითქმის ერთ თვეში, ახალი თანამედროვე საქვაბე დამონტაჟდა და ექსპლოატაციაში გავუშვით. შეიცვალა კარებების და ფანჯრების საკეტები.

რაც შეეხება ბიოლოგების კორპუსს, იგი კონსტრუქციულად ისეა აშენებული, რომ ვერ ხერხდება გერმეტიზაცია, მოსაწესრიგებელია ფანჯრებიც, ამიტომ გათბობის სისტემა, შეიძლება ითქვას, არაეფექტურად მუშაობს. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ სამუშაო ოთახებსა და აუდიტორიებში ელექტროტენების საშუალებით ნორმალური ტემპერატურის შენარჩუნება. რაც შეეხება ცენტრალურ გათბობას, წელს ვგეგმავთ ძველი საქვაბეების შეცვლას ახალი ტექნოლოგიებით, რაც IV და VI კორპუსებსა და ბიოლოგების კორპუსში ხელს შეუწყობს გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის ეკონომიურ ხარჯვას.

მზადდება უნივერსიტეტის ახალი წლის ბიუჯეტი, ანუ თსუ წარადგენს 2007 წლის ხარჯთაღრიცხვას, რომელსაც განიხილავენ განათლებისა და მეცნიერების, ასევე, ეკონომიკის სამინისტროები. გამოყოფილი სახსრების მიხედვით შევჯერდებით – თუ რისი გაკეთების საშუალებას მოგვცემს ჩვენი შემოსავლები და ამის მიხედვით დავგეგმავთ სამომავლო პერსპექტიულ გეგმას. პროცესი იქნება გამჭირვალე, ინფორმაცია კი – ღია, ყველას წინასწარ ეცოდინება, რა უნდა გავაკეთოთ, რას ვერ ვაკეთებთ და რატომ.

ჩვენი მიზანია, რომ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ზედმეტი დრო არ დახარჯონ და შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილოთ მათი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები, ანუ უნივერსიტეტის ტერიტორიაზევე გავუწიოთ შესაბამისი მომსახურეობა. ამ მიზნით პირველი ნაბიჯიც გადავდგით, მაღლივსა და მეორე პორპუსებში დავამონტაჟეთ ასლთა გადამრავლების ჯიხურები. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ვგეგმავთ კვების ობიექტების ამუშავებას, სამედიცინო პუნქტების გახსნას. აუცილებელია, მივხედოთ სტუდქალაქს, ამასთანავე მასიურად დაიწყება აუდიტორიების და კაბინეტ-ლაბორატორიების შეკეთება-განახლება, საპატრონოა უნივერსიტეტის კუთვნილი სასტუმროები ავლაბარსა და ბაგების ტერიტორიაზე.

და, რაც მთავარია, მიმაჩნია, რომ თსუ-ში შემორჩენილი მოძველებული სტერეოტიპებისაგან უნდა გავთავისუფლდეთ და სასიკეთო სიახლე ყველამ ერთად გავითავისოთ.

## ბრძანებები

**ბრძანება № 01-01/01. 03.01.07**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ტურიზმის სკოლის“ შექმნის შესახებ.

**ბრძანება № 01-02/681. 29.12.06**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანება სიღნაღის ფილიალში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნის შესახებ.

**ბრძანება № 01-01/316. 29.12.06**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის ფილიალებში 2006 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის შესახებ.

- **ბრძანებათა სრული ტექსტი იხილეთ უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე (www.tsu.ge).**
- **ბრძანებები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას თსუ-ს ყველა კორპუსსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებში.**

# რა, სად, როდის

პატარა მუსიკალურ თეატრებს, როგორც ჩანს, ორკესტრებისთვის ადგილი საძებნელი აღარ ექნებათ. მათ ახალი კომპიუტერული პროგრამა orchextra შეცვლით, რომელსაც სახელად „ვირტუალური ორკესტრი" დაარქვეს. ტექნიკოსების განცხადებით, ახალი პროგრამა ძველებისგან საგრძნობლად განსხვავდება და განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ბგერითა და ჟღერადობით გამოირჩევა.

ასეთ პროგრამებს შეუძლიათ შესრულების დინამიკა შეცვალონ, ვოკალისტის პარტიას მიჰყვნენ და დირიჟორის ჯოხსაც კი დაემორჩილონ. ჯერ კიდევ 2003 წელს, ამის გამო, ბროდვეის მუსიკოსები გაიფიცნენ. მათ შეეშინდათ, რომ კომპიუტერები მალე დაუსაქმებლად დატოვებდნენ.



ახალი ტექნოლოგია, რომელიც 13 წელი იქმნებოდა, მოსწავლეებსაც დაეხმარება სოლო პარტიები „ნამდვილ" ორკესტრთან ერთად შეასრულონ. გარდა ამისა, ამ ჭკვიან პროგრამას სწავლაც შეუძლია და ხელმეორედ ჩართვის შემდეგ ნებისმიერი ადამიანის სტილს მოერგება.

* * *

ამერიკელი მხატვრის, ტომას იკინსის ტილომ, „გროსის კლინიკა", რომელიც ფილადელფიის, თომას ჯეფერსონის სახელობის უნივერსიტეტის კუთვნილება იყო და მისივე ინიციატივით, აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს, უჩვეულო მღელვარება გამოიწვია. ქალაქის მოსახლეობამ არ მოისურვა 68 მილიონ დოლარად შეფასებული ტილოს დათმობა. ქველმოქმედებით 30 მილიონი დოლარი შეკრიბეს, დარჩენილი თანხა კი ბანკებმა კრედიტით გამოყვეს. პრესკონფერენციზე ქალაქის მერმა ყველას დი-



დი მადლობა გადაუხადა და განაცხადა: – მჯერა, რომ დიადი ქალაქები ასეთი საქმისთვის ყოველთვის იბრძოლებენო.

სურათის შესყიდვის ყველაზე რეალური პრეტენდენტი ვაშინგტონის ეროვნული გალერეა იყო, მაგრამ მის ხელმძღვანელობას პროტესტი არ გამოუთქვამს, პირიქით, – ფილადელფიელების სიხარულს ჩვენც ვიზიარებთო, – აღნიშნეს.

* * *

სწავლულმა ნანოტექნოლოგებმა დნმ მოლეკულის საფუძველზე „რობოტის ხელი" შექმნეს და იგი ორგანზომილებიან კრისტალურ დნმ-მატრიცას მიამაგრეს. მკვლევართა აზრით, ნანორობოტოტექნიკის განვითარების საქმეში ეს მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია. „დნმ მოლეკულების საფუძველზე პერიოდული სტრუქტურების შექმნა ჯერ კიდევ ათი წლის წინ დავიწყეთ, ახლა კი ნანომექანიკური დნმ-მანქანების კონსტრუირებას ვცდილობთ, რთული ნა-




ნომექანიკური მოწყობილობის მატრიცა-კასეტაზე ისე მიბმა, რომ მისი ფუნქციონირება შეგვენარჩუნებინა, პირველად შევძელით". – განაცხადა ცნობილმა მეცნიერმა ნედ სიმენმა. მისივე აზრით, ამ მოწყობილობის ტირაჟირება გენური ინჟინერიის დახმარებით უნდა მოხდეს და მაშინ, ისეთი ნანომანქანების შექმნაც გახდება შესაძლებელი, რომელიც რთულ, დაპროგრამებულ მოძრაობებს შეძლებს.

* * *

ამერიკელმა და რუსმა ასტრონომებმა მარსზე წყლის არსებობის უტყუარი საბუთები მოიპოვეს. პლანეტოლოგებმა მარსის ჩრდილოეთ პოლუსზე, მუდმივი გამყინვარების რაიონში აღმოაჩინეს ფენა, რომელიც სანახევროდ ყინულისგან შედგება. მონაცემები ამერიკულმა ზონდმა – „მარსიანული ოდისეა" გადმოსცა, რომელიც უკვე ორი წელია მარსის ორბიტაზე იმყოფება. მკვლევარების აზრით, საბოლოო დასკვნა მხოლოდ მაშინ უნდა გამოიტანონ,



როცა კიდევ სამი მისია: – ევროპული, იაპონური და ამერიკული – დამატებით ინფორმაციას მოიპოვებს. ეს მისიები მარსისაკენ უკვე გაემგზავრნენ, მაგრამ მას მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ მიაღწევენ. სამივე მათგანი მარსზე დაშვებას გეგმავს, მაგრამ ისინი ზომიერ სარტყელში დაეშვებიან, პლანეტოლოგთა აზრით კი, ზუსტი მონაცემები მხოლოდ პოლარული ქუდის მიმდებარე ტერიტორიიდან შეიძლება მიიღონ.

* * *

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში, არქიეპისკოპოსის ეპარქიაში, მოიძებნა პარტიტურა, რომელიც, ექსპერტების აზრით, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს ეკუთვნის. ეპარქიის არქივში ოთხი უცნობი პარტიტურა აღმოაჩინეს. საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ერთერთი მათგანი მოცარტმა, სავარაუდოდ, ექვსიდან ათამდე წლის ასაკში დაწერა. უცნობი ნაწარმოები პირველად ზალცბურგში, საქველმოქმედო კონცერტზე შესრულდება.



* * *

საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ 2007 წელი მეოცე საუკუნის ყველაზე ცნობილი საოპერო მომღერლის, მარია კალასის წლად გამოაცხადა. ამ ნაბიჯით იგი ცდილობს თავისი ცნობილი თანამემამულის ხსოვნას პატივი მიაგოს და მისი შემოქმედებისადმი ინტერესი თავად ბერძნებში გააღვიძოს. როგორც ცნობილია, მარია კალასი ამერიკაში დაიბადა და მოღვაწეობდა, 54 წლის ასაკში კი, გულის შეტევით, პარიზში გარდაიცვალა.

ათენის ანტიკურ თეატრში ყოველი წლის სექტემბერში ტრადიციულად იმართება საოპერო ვარსკვლავთა კონცერტი, რომელიც მარია კალასის ხსოვნას ეძღვნება. მასში მონაწილეობას ოცამდე ქვეყნის მომღერალი იღებს. კულტურის



სამინისტრო რა ღონისძიებების დამატებას აპირებს საიუბილეო თარიღისთვის, ჯერჯერობით ასაიდუმლოებს.

* * *

ორმა ცნობილმა სამოდელო სახლმა: Versace და prada, ზედმეტად გამხდარი მოდელების წინააღმდეგ კომპანია წამოიწყეს. მათ მხარი უმაღლესი ხარისხის ტანსაცმლის სამკერვალო სახლებმა და იტალიის მთავრობამ დაუჭირეს. ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა და წამყვანმა სამოდელო სახლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ზედმეტად გამხდარი მოდელები ცუდ ზეგავლენას ახდენენ ახალგაზრდა ქალებზე, ვინც მათი მიბაძვით შიმშილით იკლავენ თავს. იტალიაში პირველად გაჩნდა ტერმინი – „სხეულის მასის ინდექსი", რომლის საშუალო რიცხვად 18 დასახელდა. „თუ მესამე ქვეყნის წარმომადგენელთა სხეულის მასის ინდექსი 18,5-ია, მათ გაეროს ჰუმანიტარული დახმარება ჭირდებათ," – განაცხადა მინისტრმა. ამ აქციის შედეგად მოდელთა უმეტესო-



ბას ხელშეკრულება შესთავაზეს, რომლის თანახმადაც, ან წონაში უნდა მოიმატონ, ან პროფესია შეიცვალონ.

იტალიელთა წამოწყებას ბრაზილიისა და არგენტინის სამოდელო სახლები გამოეხმაურენ და სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. მოძრაობა ფართოვდება და თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა, „უმუშევართა" სიაში მალე ცნობილი მოდელები მოხვდებიან, მათ შორის, კლაუდია შიფერი – 17,7, კეიტ მოსი – 16,1, და ნაომი კემპბელი – 16,5.

მასალა მოამზადა
**მანანა მიქელაძემ**

# უნივერსიტეტის საახალწლო ნაძვისხის ზეიმზე









**საკონტაქტო ტელეფონები:**

| | |
|---|---|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| რექტორის მოადგილის მისაღები | 29-08-25 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 23-03-80 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური | 29-08-46; 25-08-13 |
| სტუდენტთა მომსახურების განყოფილება | 91-27-91 |
| საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი | 22-56-79 |
| სამუზეუმო სამსახური | 29-08-42 |
| დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური | 25-08-13; 25-36-18 |
| **ფაკულტეტების დეკანატები:** | |
| ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-08-07 |
| ჰუმანიტარული ფაკულტეტი | 22-21-08 |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-05-94 |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 30-45-36 |
| იურიდიული ფაკულტეტი | 22-37-10 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 94-34-54 |

რედაქტორი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამარ კაციტაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
@ newspaper@tsu.ge